ლელო

№110 (12 179)

12 მაისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია

ახალკაცი თუ ახალი კაცი?

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ათი კითხვა სამ კანდიდატს 2-3

მამუკა კვარაცხელია

ვაი, ახალკაცს, ეს თანხა ფედერაციის ანგარიშზე რომ არ დამხვდეს!

გასხვენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 კითხვა 3 კანდიდატს

1 პატიოსნად ჩაიარა თუ არა წინასაარჩევნო კამპანიამ? ხომ არ იყოს ზეწოლა სახელმწიფოს მხრიდან?

2 როგორ უნდა აამაღლოს ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის დონე? რა საშუალებები აქვს ამისათვის?

3 რა უნდა იღონოს ფედერაციამ ბავშვთა ფეხბურთის დონის ასამაღლებლად?

4 რამდენი გუნდია ოპტიმალური ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისთვის? რა მინიმალურ ცენზს უნდა აკმაყოფილებდეს გუნდი?

5 უნდა იყოს თუ არა მსაჯთა კომიტეტი დამოუკიდებელი? რა მექანიზმით შეებრძოლებით ჩაწყობილ თამაშებს? უნდა ჩაერიოს თუ არა ამ საქმეში პროკურატურა?

6 როგორ უნდა გადანაწილდეს ფუნქციები ფედერაციასა და პროფლიგას შორის?

7 რითი შეიძლება დაეხმაროს სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას? პირდაპირ თუ ირიბად?

8 რომელი ფინანსური ჯგუფები გიჭერენ მხარს?

9 თქვენთან ერთად ვინ იმუშავებს ფედერაციაში?

10 ვინ იქნება ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელი?

არჩევნებამდე

ნოდარ ახალკაცი: ჩვენ ერთი გუნდი ვართ

1. - პირველ კითხვაზე პასუხი იმდენად ბუნებრივია, რომ მოკლე კომენტარით შემოვიფარგლები: წინასაარჩევნო კამპანია სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური ნეიტრალიტეტის დაცვით წარიმართა. ამ პროცესში სხვაგვარი მიდგომა, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

2. - საამისოდ უკვე ორი წელია აქტიურად ვმუშაობთ. ამ საკითხს კომპლექსურად ვუდგებით. არსებობს სხვადასხვა მიმართულება. ამის დასტურად, არაერთი ფაქტის მოყვანა შეიძლება: ეროვნულ პირველობას თავისი სპონსორები ჰყავს. ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე მეტყველებს ისიც, რომ წლიდან წლამდე მკაცრდება საკლუბო ლიცენზირების პირობები. ყველა კლუბი აბსოლუტურად თანაბარ პირობებშია. სამსაჯო სექტორში ჩავატარეთ რეფორმა, რის შედეგად კადრების გადახალისება და ხელახალი მომზადება მოხდა. მსაჯობა აეკრძალათ არბიტრებს, რომლებიც ასაკის გადაკეთების მანიპულაციაში იყვნენ შემჩნეულნი. აშკარაა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მიმართ ინტერესმა იმატა და ტრიბუნაზე გულშემატკივართა რაოდენობა გაიზარდა. ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ჩვენი გუნდის მოსვლამდე, სტადიონებზე დასწრება საერთო ჯამში 294 ათასი იყო. მიმდინარე სეზონში კი მაყურებელთა რაოდენობა 460 ათასამდე გაიზარდა..ეს იმაზე მეტყველებს, რომ ყველა იმ ღონისძიებამ, რომელიც ჩვენ ეროვნული პირველობის დონის ამაღლებისთვის ჩავატარეთ, თავისი შედეგი უკვე გამოიღო. ჩემპიონატის სპონსორები "საქართველოს ბანკი", "აქსისი", "ჯეოსელი"და სხვა ცნობილი კომპანიები არიან. თასის გათამაშებას "ყაზბეგი" აფინანსებს, სუპერთასს კი - "ფოლკსვაგენის" აქაური წარმომადგენლობა და მის გვერდით მდგომი ბიზნესჯგუფი. ამ პროცესთან მჭიდრო კავშირშია ინფრასტრუქტურის განვითარება. რაც უფრო კარგია მოედნის საფარი, მით უკეთესია ჩემპიონატის დონე. ასე რომ, ეს ყველაფერი იმ ჯაჭვის რგოლებია, რომელსაც ქართული ფეხბურთი ჰქვია. ტალანტების მოძიების პროგრამაც ჩემპიონატის დონის ამაღლებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, რეგიონების გუნდებს უკვე ეძლევათ შანსი, შევსება რეგიონებშივე მიიღონ. წარმოუდგენელია, რომ მასობრივი ფეხბურთის განვითარებამ, რეგიონებში მინი-მოედნების რაოდენობის ზრდამ ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებამდე არ მიგვიყვანოს.

3. - წარმატებით უნდა განვახორციელოთ ყველა ის პროექტი, რომელიც უკვე დაწყებულია. ბავშვთა ფეხბურთის სკოლების ლიცენზირების პროგრამა, რომელიც ასევე დაიწყო, მალე აკრეფს ტემპს. როცა სამწვრთნელო მომზადების დონე, C ლიცენზიის მქონე მწვრთნელების რაოდენობა გაიზრდება, ბავშვთა ფეხბურთში სურათი უფრო უკეთესი იქნება. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საშეჯიბრო სისტემის სრულყოფა. ჩვენი მიზანია, ტალანტების მომზადების პროგრამა, რომელიც 17-წლამდელებში ჩატარდა, იმავე მასშტაბით განვახორციელოთ 16, 15, 14, 13-წლამდეთა ასაკშიც. საბოლოო ჯამში, ეს ბავშვთა ფეხბურთში ვითარებას სასიკეთოდ შეცვლის.

4. - ვფიქრობ, საკითხის ამ ფორმულირებით დასმა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ზოგი თვლის, რომ რეგიონებში ფეხბურთის განვითარებისთვის, უმაღლეს ლიგაში 18-20 გუნდი უნდა იყოს. ორი წლის წინ, უმაღლესი ლიგა 10-დან 16 გუნდამდე გავზარდეთ. გვინდოდა, რეგიონებში ფეხბურთის განვითარებისთვის მიგვეცა ბიძგი. ახალციხის "მესხეთი" და ზუგდიდის "მგლები" უკვე აღზევდნენ უმაღლეს ლიგაში. ამასთან, მესამე ადგილისთვის იბრძვიან ჭიათურის "მაღაროელი", აგარის "მეშაქრე" და "გაგრა". ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ორი წლის წინ გადადგმულმა ნაბიჯმა შედეგი უკვე გამოიღო. რეგიონებში ფეხბურთის ბუმი უკვე საგრძნობია... რაც შეეხება ოპტიმალურ რაოდენობას. ეროვნულ ჩემპიონატში უეფას საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნების დანერგვამ სწორედ ის სურათი მოგვცა, რასაც ადრე ვამბობდით. ჩვენი მიზანია, გარკვეული ბუნებრივი გადარჩევა მოხდეს და საფეხბურთო ბაზარმა თავადვე დაარეგულიროს ვითარება. ფინანსური კრიტერიუმის გათვალისწინებით, ორი გუნდი ჩემპიონატში არ დავუშვით. ანუ, იმის თქმა მსურს, რომ უმაღლეს ლიგაში ოპტიმალური თავისთავად ხდება კლუბების ის რაოდენობა, რომელიც ლიცენზირების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ 16 გუნდის მომხრე ვარ, მაგრამ ლიცენზირების სისტემაც არ უნდა დაგვავიწყდეს. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში კიდევ უკეთესი ჩემპიონატი გვექნება. ეს პროგრესი გაგრძელდება და საბოლოოდ, ქართული ფეხბურთის წინსვლას განაპირობებს. ჩვენი ამოცანაა, ეროვნულ ნაკრებში რაც შეიძლება ბევრი მოთამაშე იყოს საქართველოს ჩემპიონატიდან... ახლა ცენზზეც ვთქვათ. ამას ლიცენზირება განსაზღვრავს, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის გათვალისწინებით. მათ შორის დისბალანსი არ უნდა იყოს. ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების განყოფილება ივლის-აგვისტოში დასაწყები ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს ერთი წლით ადრე, ნოემბერში იწყებს და საბოლოო შეჯამებას ზაფხულში აკეთებს.

5. - ეს კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ დგას, არამედ პირდაპირ ფიფასა და უეფას მოთხოვნაა. უეფამ უკვე დაამტკიცა ევროპის სამსაჯო კონვენცია. მასში ეს საკითხი ფიფა-უეფას მოთხოვნებიდან გამომდინარეა ფორმულირებული: ეს ორგანო ყველა სხვა სუბიექტისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის შიდა სტრუქტურაში. ეს ეხება პროფლიგასაც... ბუნებრივია, გარიგებული მატჩების წინააღმდეგაც ვიბრძვით. სამსაჯო საკითხი წინა პლანზეა დაყებული. ყველა გუნდი თანაბარ პირობებშია. ამ საკითხში დიდი როლის შესრულება შეუძლია უშუალოდ კლუბებს შორის თანამშრომლობას. ამაზე არაერთხელ იყო საუბარი, როგორც ფედერაციის აღმასკომის, ასევე პროფლიგის გამგეობის სხდომებზე. ბევრი რამ კლუბების მხრიდან სამართლიანი თამაშის წესების დაცვაზეც იქნება დამოკიდებული. აღმასკომზე აღვნიშნეთ კიდეც, რომ საეჭვო მატჩების გარკვევაში პროკურატურის ჩართვა გამორიცხული სულაც არა, მაგრამ ეს უკიდურესი ღონისძიება იქნება. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ დამტკიცდება დანაშაულებრივი ქმედება, რა თქმა უნდა, პროკურატურა განზე ვერ დარჩება.

6. - ფედერაციისა და პროფლიგის თანამშრომლობა ყველგან ფიფა-უეფას წესდებებთან შესაბამისობით ხდება. ქვეყანაში მთელ საფეხბურთო მეურნეობას ფედერაცია აკონტროლებს და ამაზე პასუხისმგებელია. შესაბამისად, ეროვნული ჩემპიონატის, თასისა და სუპერთასის ორგანიზება ლიგის მიერ შეიძლება ხდებოდეს. თუმცა ჩემპიონატი, თასი თუ სუპერთასი, რეალურად ფედერაციის პროდუქტია, რომელსაც მმართველობაში იჯარით გადასცემს პროფლიგას. ჩვენ ამ ურთიერთობას თანამედროვე მოთხოვნებს ვუსადაგებთ, გადავდივართ თანამშრომლობის აქტიურ, დინამიურ ეტაპზე. ალბათ, მომავალი სეზონის დაწყებამდე ფედერაციასა და პროფლიგას შორის ახალი ხელშეკრულებაც გაფორმდება. იქ დეტალურად ჩაიწერება ორივე სუბიექტის უფლება-მოვალეობები. ჩვენ ხომ მაინც ერთი გუნდი ვართ... სხვათა შორის, ჩვენგან განსხვავებით, ბევრ ქვეყანაში ფედერაციასა და პროფლიგას შორის დაძაბული ურთიერთობაა...

7. - სახელმწიფოსგან დახმარება, პირველ რიგში, ქართული ფეხბურთის თანადგომაში გამოიხატება. ამ მხრივ, დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას ყველა ხედავს. მეამაყება და ფედერაციის დამსახურებად მივიჩნევ, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ხდება. ვიტყოდი, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ქართული ფეხბურთის განვითარებაში, გაასმაგებულია. ერთობლივი ძალებით არაერთი პროექტი განვახორციელეთ. თუნდაც მინი-მოედნების პროექტი ავიღოთ: ნაცვლად 29-ისა, მთელს საქართველოში 70 მინი-მოედანი გაკეთდა. როცა ვსაუბრობთ მასობრივი ფეხბურთის განვითარებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს "პეპსის თასიც". ეს გათამაშება, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ფეხბურთის ფედერაციის, თბილისის მერიის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თავად კომპანია "პეპსის" საერთო ძალისხმევით ჩატარდება. უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან ქართული ფეხბურთის პირდაპირი დაფინანსებაც. აშკარაა, რომ სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციის ინტერესები აბსოლუტურად იდენტურია. ჩვენ ქართული ფეხბურთისა და, შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს ჯარისკაცები ვართ და ვცდილობთ, ქვეყნის განვითარებაში წვლილი ამ პოზიციიდან შევიტანოთ. რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას, ნორმატიულ აქტებს, ფეხბურთი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ხშირად საკანონმდებლო ბაზას ამ პროცესებთან მისადაგება სჭირდება. ერთი სიტყვით, მიდის აქტიური თანამშრომლობის პროცესი და უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ეს ფედერაციაში ჩვენი მოსვლის დღიდან დაიწყო... ამას გარდა, 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის საკითხი გაყინული იყო და ამ საქმესაც სწორედ ერთობლივი ძალებით ეშველა. ჩინებული სტადიონი გაკეთდა ბორჯომში, არენის რეკონსტრუქცია მიდის გორში, ახალი სტადიონები იქნება ზუგდიდსა და ბათუმში... ეს ყველაფერი, ფეხბურთთან მიმართებაში სახელმწიფოს აქტიური პოზიციის დაფიქსირებაა. დაწყებული ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ საკაშვილით, და ყველა სახელმწიფო მოხელით დამთავრებული, ასეთი მხარდაჭერისთვის ყველას დიდ მადლობას ვუხდი.

8. - კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ყველა ის პროექტი, რომელიც დაწყებულია, გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, წარმატებით დასრულდება. რაც შეეხება ფინანსურ ჯგუფებს, ზემოთ ნახსენებ სოლიდურ კომპანიებს, ახლახან, "მაკდონალდსიც" დაემატა. "პეპსის" გარდა, მოლაპარაკება მიდის "კოკა-კოლასთანაც", მასშტაბური საბავშვო შეჯიბრებების დაფინანსებაზე. გვერდით გვიდგანან "სილქ როუდ ჯგუფი", "ტაობანკი", "ჰიუნდაი"... ასე რომ, რამდენიმე სოლიდური ბიზნესჯგუფია და ყველას თავისი წვლილი შეაქვს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. ბუნებრივია, მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება. ორი წლის წინ, ქართულ ფეხბურთს იმიჯი დამსხვრეული და შელახული ჰქონდა. საერთოდ, ქართული ფეხბურთი არ წარმოადგენდა ისეთ სფეროს, რომელიც სანდო და საინტერესო იყო ინვესტიციებისთვის. თუმცა ჩვენ მნიშვნელოვნად გამოვასწორეთ ვითარება. თუ ადრე, რეპორტაჟების გადაცემაზე, ტელევიზიებთან ხვეწნა-მუდარით მიდიოდნენ, დღეს უკვე ასარჩევად გვაქვს საქმე. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი ფეხბურთით, ქართულის გარდა, უცხოური ტელეკომპანიებიც დაინტერესდნენ.

9. - ფედერაციაში ის ხალხი იმუშავებს, ვინც დღეს მუშაობს: ვიცე-პრეზიდენტები, გენერალური მდივანი და სხვა თანამშრომლები. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყოველთვის ერთ გუნდად დავრჩებით.

10. - დაწყებული ეროვნული გუნდიდან, სხვადასხვა ასაკის ნაკრებებით დამთავრებული, ყველას ჰყავს თავისი მწვრთნელი და ამ მხრივ, ვითარება არ შეიცვლება.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

გიორგი ნემსაძე: კლუბებს ფული, მსაჯებს პრემიები

1. - ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ზეწოლაზე საუბარიც არ შეიძლება, სახელმწიფო საფეხბურთო საკითხებში კანონის სრული დაცვით, ზომიერად ერევა. ყველასათვის ცნობილია, რომ მეც და ნოდარ ახალკაცსაც სახელისუფლებო წრეებში საკუთარი მხარდამჭერები გვყავს.

2. - მთავარია, კლუბებს გააჩნდეთ სათანადო ფინანსური პირობები. მათ მაქსიმალურად დავეხმარებით, საამისოდ სახსრებს არ დავიშურებთ. ფიფადან და უეფადან შემოსულ გრანტებს ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

3. - უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მწვრთნელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მკვეთრადაა გასაუმჯობესებელი ინფრასტრუქტურა, ჩემს გუნდთან ერთად, ამ კუთხითაც აქტიურად ვიმუშავებ. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება რეგიონებს. მთელი საქართველო მოვიარე, მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში ვერ მოვასწარი ჩასვლა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. საკუთარი თვალით ვნახე პერიფერიებში არსებული მძიმე ვითარება. პირობას ვდებ, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, რეგიონებში საფეხბურთო ცხოვრება გამოცოცხლდება.

4. - მომავალი სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში თოთხმეტი გუნდი უნდა დარჩეს, დანარჩენს კი ლიცენზირების პროცესი გვიჩვენებს. ამას წინათ, ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს. ნამდვილად არ მითქვამს, რომ უმაღლესში 18-20 გუნდის ასპარეზობას ვემხრობი. მე ის ვთქვი, რომ ეს ვარიანტი იდეალურ შემთხვევაშია მისაღები და არა დღეისათვის. 2008 წლიდან უეფა ლიცენზირებას ძალიან მკაცრი კრიტერიუმებით დაიწყებს და სერთიფიკატის მიღება ოცს კი არა, თოთხმეტ კლუბსაც გაუჭირდება.

5. - ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ მსაჯთა კომიტეტი ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩება, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ასე უფრო ეფექტურად ვიმუშავებთ. სიტყვამ მოიტანა და ბონუსების სისტემის შემოღებას ვგეგმავთ. ის მსაჯები, რომლებიც ამა თუ იმ მატჩს თავს წარმატებით გაართმევენ, ხელფასთან ერთად, პრემიასაც მიიღებენ. გარიგებულ მატჩებს რაც შეეხება, ამ თემაზე მე და ჩემს თანამოაზრეებს ბევრი გვისაუბრია და პრობლემის მოგვარების გზებიც დაგვისახავს, თუმცა დაკონკრეტებისგან დღეისათვის თავს შევიკავებ.

6. - ფედერაცია და პროფლიგა პირობითად არიან გაყოფილნი, თორემ რეალურად ეს ერთი ორგანიზაციაა, რომლის ერთადერთი მიზანიც ქართულ ფეხბურთზე ზრუნვაა. მათი თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი უნდა იყოს.

7. - სახელმწიფო ქართულ ფეხბურთს რომ მხარში უდგას, ამას თუნდაც ის ფაქტი ცხადჰყოფს, რომ გერმანელი მწვრთნელების გასამრჯელო ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. რაც მთავარია, სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისათვის სახსრებს მომავალშიც გამოყოფს. პირობას ვდებ, რომ ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხული ერთი თეთრიც კი არ გაუჩინარდება, თითოეული თეთრი გააზრებულად დაიხარჯება.

8. - ბიზნესწრეებში ძალიან ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი მყავს, საინტერესო იდეები გვაქვს, თქვენი ნებართვით, ჩემს პარტნიორებზე ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ.

9. - კონკრეტულად არც ამ კითხვას ვუპასუხებ. ბევრი თანამოაზრე მყავს, გვერდში პროფესიონალი და კომპეტენტური ხალხი მიდგას. ყველასთან ვითანამშრომლებ, ვინც ჩემს იდეებს გაიზიარებს და ვისაც ქართულ ფეხბურთზე შესტკივა გული.

10. - კლაუს ტოპმიოლერის თაობაზე საკუთარი პოზიცია უკვე დავაფიქსირე. მას კონტრაქტი ორი წლით აუცილებლად უნდა გავუხანგრძლივოთ. ამ ეტაპზე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეცვლა არაფერს გვარგებს. ტოპმიოლერი უმაღლესი კლასის სპეციალისტია და თავისი იდეების განსახორციელებლად დრო უნდა მივცეთ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მას ნაკრებში აქამდე არ უმუშავია და სანაკრებო სპეციფიკასაც ბოლომდე უნდა შეეგუოს. სხვა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს რაც შეეხება, მათ კონტრაქტები ამ წლის ბოლომდე აქვთ გაფორმებული. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ისინი თანამდებობებზე აუცილებლად დარჩებიან, შემდეგ კი მათ თაობაზე გადაწყვეტილებას ნაჩვენები შედეგების მიხედვით მივიღებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის XII ყრილობა

დღის წესრიგი

1. ყრილობის შემადგენლობის დამტკიცება.
2. სფფ-ის წინა, მე-11 ყრილობის ოქმის დამტკიცება.
3. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის დამტკიცება.
4. 2006 წლის ფინანსური ანგარიშის დამტკიცება.
5. აუდიტის დასკვნის დამტკიცება.
6. სფფ-ის დამოუკიდებელი აუდიტის შერჩევა და დანიშვნა.
7. 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
8. სფფ-ის წესდებასა და დებულებაში ცვლილებების შეტანის წინადადების განხილვა.
9. სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები.
10. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.

არჩევნების პროცედურა

დელეგატები აიღებენ საარჩევნო ბიულეტენს, რომელზეც სამივე კანდიდატის გვარ-სახელი იქნება ჩამონერილი. დელეგატი სამიდან ერთ-ერთ კანდიდატს მონიშნავს. თუ დელეგატის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე არცერთი ან ერთზე მეტი პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება მონიშნული, მაშინ ასეთი ბიულეტენი გაუქმებულად ჩაითვლება. არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც დელეგატთა საერთო რაოდენობის (33) 50%+1 ანუ 17 ხმას დააგროვებს. თუ ყრილობას 33-დელეგატიდან ერთი ან რამდენიმე ვერ დაესწრება, გამარჯვებისთვის მაინც 17 ხმა იქნება საჭირო. თუ პირველ რაუნდში ამ კრიტერიუმს პრეზიდენტობის ვერცერთი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს, მაშინ დაინიშნება მეორე ტური, რომელშიც პირველ-მეორე ადგილზე გასული კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას, იმ შემთხვევაში, თუ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვეს. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დელეგატთა არა საერთო, არამედ იმ დროისათვის არსებული რაოდენობის 50%+1 ხმას დააგროვებს.

ზუსტად იმავე პროცედურით ჩატარდება აღმასკომის წევრთა არჩევაც. აღმასკომის 15 კაციანი შემადგენლობიდან ფედერაციის პრეზიდენტი ავტომატურადაა აღმასკომის თავმჯდომარეა. დანარჩენ 14 ვაკანსიაზე კი არჩევნები გაიმართება. ყრილობის დელეგატი ვალდებულია ბიულეტენში ჩამონერილი 26 კანდიდატიდან 14-ის გვარ-სახელი მონიშნოს. თუ ბიულეტენში, 14-ზე მეტი კანდიდატი იქნება მონიშნული, ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

ყრილობა 13 მაისს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" 11 საათზე დაიწყება. რეგისტრაცია კი 9:30 სთ-დან იწარმოებს.

მამუკა კვარაცხელია: ვაი, ახალკაცს, ეს თანხა ფედერაციის ანგარიშზე რომ არ დამხვდეს!

1. - რას ნიშნავს არჩევნების 27 დღით ადრე გამოცხადება? რას ნიშნავს სპორტის მინისტრის ბატონი გიორგი გაბაშვილის საჯარო მხარდაჭერა ახალკაცის მიმართ? რატომ ახსენებთ ჟურნალისტები არჩევნებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად პოლიტიკოსთა გვარებს და არა ჩიკვაძეს, ხურცილავას, გაბელიას, ხინჩაგაშვილს, მაჩაიძესა და სხვებს? განა დანიაში ვინმე დაუკავშირებს საფეხბურთო არჩევნებს დედოფალ მარგრეტე მეორის სიმპათია-ანტიპათიებს? ანდაც გერმანიაში კანცლერ ანგელა მერკელთან გაიგივდება ბუნდესფედერაციის არჩევნები?

2. - ა) გუნდების შემცირება; ბ) მოედნების მიხედვა; გ) ჩემპიონატის სისტემის შეცვლა (გაზაფხული-შემოდგომა); დ) მთელი საქართველოს მასშტაბით ბაზების მშენელობა; ე) მსაჯთა ასოციაციის ნაწილობრივი გამიჯვნა; ვ) სპორტის აკადემიის ჩართვა; ზ) მსაჯებისთვის ანაზღაურების გაზრდა; თ) სტადიონების კეთილმოწყობა. რაც შეეხება საშუალებებს, ეს თანხა ფედერაციას უნდა ჰქონდეს ანგარიშზე, ფიფასგან, უეფასგან და სპონსორებისგან. და ვაი, ახალკაცს, თუ ეს თანხა ფედერაციის ანგარიშზე არ დამხვდა!!!

3. - ა) რეგიონებზე გადართვა, ანუ თელაველი ბავშვი სათამაშოდ ქობულეთში არ უნდა მიდიოდეს. ჩემპიონატი რეგიონთა შორის უნდა ტარდებოდეს; ბ) ყველა გამარჯვებული გუნდის უცხოურ ტურნირზე გაგზავნა; გ) ყველა მწვრთნელის ლიცენზირება; დ) "დანიური მოდელის" დანერგვა - ყველა მშობლის ჩართვა. ეს ის მოდელია, როცა მშობელთა მწვრთნელობას ხელს უწყობენ და სფფ-ში საამისო ფულიც საკმარისია.

4. - 10 გუნდი ოთხ წრედ, ოღონდ ამ ეტაპზე. მინიმალური ცენზი ნახევარი მილიონი ლარი უნდა იყოს, რომელიც ნებისმიერი სერიოზული ბანკის ანგარიშზე ამ ბანკის პრეზიდენტის პირადი გარანტიით დადასტურდება.

5. - აუცილებლად ჩავრეკ პროკურატურას. მსაჯები ნაწილობრივ დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. მექანიზმი? პატიოსანი დელეგატი.

6. - როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, პროფლიგამ უნდა მიხედოს ჩემპიონატს (მხოლოდ და მხოლოდ) არ უნდა შეეხოს მსაჯებს და დელეგატებს, არც ფორმალურად, არც ფინანსურად. ჩვენთან, მსაჯებს თანხას ლიგა უნაზღაურებს.

7. - კანონით, რომელიც ბიზნესმენებს დააინტერესებს და არამც და არამც ფულის გამოყოფით. სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არის!

8. - მე არ მინდა ბიზნესმენთა მხარდაჭერა, კლუბებს დაეხმარონ ფინანსურად. ფედერაციაში ფული საკმარისია, მთავარია, ის სწორად განკარგო. 2005 წელს 4,5 მილიონი დაიხარჯა, 2006 წელს 10 მილიონი ლარი, 2007 წელს კი 11 მილიონია გათვალისწინებული. 25 მილიონი სფფ-ს ერთად არ ჰქონია 1990-2004 წლებში. ანუ, ამ სამ წელიწადში წინა თხუთმეტი წლის ბიუჯეტია!!!

9. - ყველა წესიერი კაცი, მათ შორის, 50 პროცენტი ჟურნალისტები იქნებიან.

10. - 30 ნოემბრამდეა ტოპმიოლერი და მისი ბრიგადა, მაგრამ ისინი 30 დღიდან 30 დღე იცხოვრებენ საქართველოში, დაესწრებიან ყველა მატჩს (უმაღლესი, პირველი, რეგიონული, ბავშვთა) და მოეთხოვებათ შედეგი!!! ტოპმიოლერს სამი საშინაო მოგება და სამი საგარეო ფრე, დანარჩენებს კი ჯგუფიდან გასვლა. თუ არა და, ყველაფერს გავაკეთებ თემურ ქეცბაიას ჩამოსაყვანად! ეს თუ არ გამოვიდა, უკვე ვესაუბრე ევროპის 1992 წლის ჩემპიონს რიკარდ მიოლერ-ნილსენს, რომელიც აქ ჩამოსასვლელად მზადაა. ყველა სხვა დანარჩენი მწვრთნელი ქართველი იქნება. ყველა მათგანი (პლუს უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელი), ყოველ წელს სტაჟირებას გაივლის წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში.

მერაბ მამულაშვილი

P.S. გუშინ, კვარაცხელიამ არჩევნების წინ ბოლო პრესკონფერენცია გამართა:

- ფედერაციამ ყრილობაზე უნდა დაამტკიცოს 2007 წლის ბიუჯეტი, რომელიც წინასწარვე დეფიციტურია. შემოსავლების სახით 10 844 მილიონი ლარია ნავარაუდევი, გასავალში კი 11 717 მილიონი იგეგმება. ხელფასებს არ იკითხავთ? 2 983 მილიონი ლარია?! ცალკე პუნქტი ასეთია: "ერ. ნაკრების მწვრთ. საბიუჯ." - 2 577 მილიონი. ანუ თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 2 500 ლარია. ეტყობა, საფრანგეთის ან დანიის ფედერაციაში მუშაობენ. რომ ამბობენ, ჟორდანიამ დაგვაქციაო, მაშინ წლიური სახელფასო ფონდი 200 000 ლარი იყო, ახლა კი მარტო ერთ თვეში 250 ათასია გათვალისწინებული! მაშინ, სამი წლის განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტი 7 მილიონი გახლდათ. თუ ეს პროექტი დამტკიცდა, ახალკაცის ფედერაციის სამი წლის ბიუჯეტი 25 მილიონი იქნება. არც ვმალავ, ჟორდანია ჩემი მეგობარი იყო, წინა ფედერაციამ ცარიელი ანგარიში და მილიონიანი ვალი დაგვახვედრა, რაც გადავიხადეთ კიდეც და პატარა ახალკაცს ანგარიშზე თანხაც დარჩა. გრანტებით, მცხეთის ბაზაზე 3-ათასიანი ტრიბუნა, 2 სტანდარტული მოედანი, განათება და სულ 14 რამ უნდა გაკეთებულიყო. მილებული და ათვისებული თანხა მილიონ დოლარამდეა, მაგრამ შესრულდა ეს სამუშაო? ასევე არ აშენდა რეგიონული ფედერაციების ოფისები. აზერბაიჯანში მოყვარულთა ნაკრებს საინტერესო ამბავი შეემთხვა. შეიცარიელებთან 0:1 წააგეს და 0:3 ჩაუთვალეს. აღმოჩნდა, რომ უეფამ ფედერაციაში გააგზავნა ფაქსი, რომელშიც იუწყებოდა, რომ ერთ-ერთი მოთამაშე, წინა ტურნირში მილებული ბარათის გამო, დისკვალიფიცირებული იყო. აზერბაიჯანიდან დარეკეს და აღმოჩნდა, რომ ფაქსი ფედერაციაში არ უნახავთ! სხვათა შორის, რეგიონთა თასის ფინალი ბულგარეთში ტარდება და მე ვიქნები მედია-ოფიცერი.

- გამარჯვების რა შანსი გაქვთ?

- ქვეყანაში, სადაც ერთი ზარით წყდება ყველაფერი, ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა. მე ყველა დელეგატს ვთხოვ, შომისმინონ და მერე აირჩიონ, ვისი პროგრამაა უკეთესი.

- ნემსაძე რომ აირჩიონ, მაშინაც ყველაფერს ერთი ზარი გადაწყვეტს?

- გარანტია არავის აქვს. თუმცა ის ყველაზე სოლიდური კანდიდატია.

- მიშელ პლატინის პირადი სიმპათია არჩევნებზე გავლენას არ მოახდენს?

- არანაირად. ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, ის მაინც ითანამშრომლებს მასთან. წინასწარ ვამბობ: ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ფედერაციის თანამშრომელთა 50 პროცენტი ჟურნალისტები იქნებიან.

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებამდე

კანდიდატები ტელეეთერში

"იმედის" გადაცემა "რე-აქციის" "საფეხბურთო შოუ" დიდად ალბათ, ვერ განაპირობებს არჩევნების შედეგებს, რამეთუ, ფედერაციის პრეზიდენტს მოსახლეობა კი არა, საფეხბურთო ოჯახი ირჩევს, 33 დელეგატი, რომელთაგან უმეტესობას ამ შოუმდე ექნებოდა გაკეთებული არჩევანი - ამაში ფედერაციის პრეზიდენტობის ზოგიერთ კანდიდატს აშკარად გაუმართლა.

ნოდარ ახალკაცის ორწლიანმა პრეზიდენტობამ მის ოპონენტებს ბევრი საშუალება მისცა, არგუმენტირებულად და კორექტულად შედავებოდნენ მას ღია ეთერში. მაგრამ ზოგი ალბათ, ტელესტუდიის ატმოსფერომ დააბნია, ზოგს თავი უბანში ეგონა, ზოგმაც, უბრალოდ, არსებითი ვერაფერი თქვა.

იყო კითხვები, რომელთა პასუხის გაცემას ახალკაცმა თავი ვერ აარიდა, მაგრამ ასეთი კითხვები ძალიან ცოტა იყო. სულ სხვა არის უცხოეთში მიღებული განათლება იმასთან შედარებით, რასაც კაცი მხოლოდ გაზეთებიდან თუ ტელევიზორიდან ითვისებს. ახალკაცი საკუთარ კოზირს იყენებდა.

წინა არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ორი პირამენეჯერი დაიქირავა, კონსულტაციები ჰქონდა ჟურნალისტებთანაც, რამეთუ, სოლიდურად სურდა საკუთარი პერსონის წარმოჩენა. მან კანდიდატურა მაინც მოხსნა და ახლა ახალკაცის გუნდშია.

არ არის გამორიცხული, შარშანდელი პრეცედენტის მსგავსი ახლაც განმეორდეს, ანუ არჩევნების შემდეგ ოპონენტები ერთ გუნდში აღმოჩნდნენ.

ტელესტუდიიდან პირველი ახალკაცის ოპონენტები გამოვიდნენ. სუფთა ჰაერზე ისინი უფრო თავისუფლად საუბრობდნენ, თუმცა უკმაყოფილებაც ეტყობოდათ, შოუში მათ ახალკაცის დამარცხება ვერ მოახერხეს.

უფრო თავდაჯერებულები ჩანდნენ ახალკაცის მომხრეები. ისინი, ალბათ, მძლავრ შეტევებს ელოდნენ.

და ხელისუფლება, რომელიც დარბაზში არ გამოჩენილა, თითქოს ფანტომი იყო შოუში, რომელიც უნდა გაგრძელდეს.

დავით თავართქილაძე

ნოგა ზარ სუარძის ფოტოები

გადაცემის შემდეგ

გოგი ძავთარაძე:

- ვფიქრობ, აშკარად ჩანს, რომ ჩვენ ვართ ის მხარე და ის გუნდი, რომლებიც ვლაპარაკობთ მართლა არგუმენტებით უკვე გაკეთებული საქმით. ამასთან, კონკრეტულად ვსაუბრობთ იმაზე, რის გაკეთებასაც ვაპირებთ მომავალში და ვამბობთ იმასაც, თუ რა საშუალებებით ვაპირებთ ამა თუ იმ ჩანაფიქრისა და იდეის განხორციელებას. სამწუხაროდ, ჩვენი კონკურენტები მხოლოდ ზოგადი ფრაზებით იფარგლებიან. საუბრობენ იმაზე, რომ გამოსასწორებელია მდგომარეობა ბავშვთა ფეხბურთში, ეროვნული ჩემპიონატს დონის ამაღლება ესაჭიროება და რეგიონებში ფეხბურთის მდგომარეობა გამოსასწორებელია. ნოდარ ახალკაცის თქმისა არ იყოს, აბსოლუტურად ზოგადი ფრაზებია. ის, რაც ჩვენ 2 წლის განმავლობაში გავაკეთეთ, ყრილობაზე კიდევ ერთხელ დაინახავენ დელეგატები, ჟურნალისტები და მონაწილენი სტუმრები. ძალიან გვინდა და უკეთესი იქნება, რომ საუბარი არასდროს არ გადავიდეს არგუმენტებისა და ფაქტების იქით და მიუღებელი ფორმა არ მიიღოს.

უჩა უგულავა:

- ჩვენ ვთქვით ის, რაც გავაკეთეთ ამ ორი წლის განმავლობაში და რაც ჩვენი ვალდებულება იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ იმასაც არ ვმალავთ, რომ გასაკეთებელი ბევრია გაჟღერებული მიზნის მისაღწევად, 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა ვითამაშოთ...

რევაზ არველაძე:

- ასეთ დებატებს და ყველა საჭირბოროტო საკითხის ასეთ ფართო სპექტრში განხილვას მივესალმები. ფეხბურთი ჩვენი ცხოვრებაა და მიხარია, რომ ქართული ფეხბურთი ასეთ აჟიოტაჟს იწვევს. ჩვენ კონკრეტული ფაქტებით ვსაუბრობთ და ასევე კონკრეტულად ვამბობთ თუ რის გაკეთებას როგორ ვაპირებთ.

კობა ჟორჟიკაშვილი:

ოდესღაც **ნოდარ ახალკაცის** ფავორიტი და მოქმედი პრეზიდენტის მომხრე "ზესტაფონში" "თბილისიდან" სკანდალურად გაქცეული **კობა ჟორჟიკაშვილი გიორგი ნემსაძის** მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა.

მიზეზი საქართველოს ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრებებიდან მისი მოულოდნელი გათავისუფლება აღმოჩნდა. გუშინდელ "რე-აქციაში" ბატონმა კობამ ბრძანა, რომ ასაკობრივ ნაკრებებში გერმანელი მწვრთნელები თავიანთ ქვეყნებში მწვრთნელებად არ მუშაობდნენ და მათი ჩამოყვანის კრიტერიუმები გაუგებარიაო. ჩვენი საუბარი ამ საკითხში გარკვევის მცდელობაა.

- ბატონო კობა, ასეთ განცხადებებს დასაბუთება სჭირდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ მწვრთნელობის გამოცდილება არ ჰქონდეთ ჰერბერტ ცანკერსა და ჰაინც ტოპმიოლერს.

- მწვრთნელები იყვნენ, მაგრამ ნაკრებში ყველაზე გამოცდილ და წარმატებულ სპეციალისტებს ინვევენ. ელემენტარულად, მას ჯერ გუნდში მთავარი მწვრთნელის სტატუსით მუშაობის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. აბა, ჰაინც ტოპმიოლერი რომელიმე გუნდს წვრთნიდა? იგივე მინგე მთავარი სად იყო?

- თქვენ არ იცით თუ ვარაუდობთ რომ ასეა?

- მე ვიცი მათი ბიოგრაფიები და ამიტომაც ვსაუბრობ. დაბალი რანგის გუნდებში ასისტენტებად მუშაობდნენ. ნაკრები, მით უფრო უცხო ქვეყნის, რომ ჩაგაბარონ, გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა უნდა გიმაგრებდეს ზურგს. უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურასთან, ატმოსფეროსთან გამოუცდელ სპეციალისტები მოვუშვით და მათი წარსულით არც დავინტერესებულვართ.

- სამწუხაროდ, ქართველი მწვრთნელების საერთო კვალიფიკაცია დაბალია და ტოპმიოლერის ჩამოყვანაც ამ სამწუხარო ფაქტმა განსაზღვრა.

- გეთანხმებით, ბევრი კარგი სპეციალისტი არ გვყავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც არიან ჩვენში სერიოზული სპეციალისტები, რომლებიც იგნორირებულები არიან.

- მოდით, კონკრეტულად ვისაუბროთ და არა ზოგადად - პირადად რატომ გახდით ფედერაციისთვის მიუღებელი? იქნებ, ეს თქვენი ბრალიცაა?

- რა არის ჩემი ბრალი? ორჯერ რომ გავიყვანე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე? თუ ის, 2002 წელს დანიაში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე იმ გერმანიას რომ ვუგებდით, რომელშიც ლუკას პოდოლსკი გამოდიოდა? სხვათა შორის, გერმანელებმა სწორედ მისი გოლით გაგვითანაბრეს ანგარიში (გოლი პაულ ტომიკმა გაიტანა). იმ პირველობაზე ჩვენ გავედით მეხუთე ადგილზე, სადაც გამოდიოდნენ რონალდუ, რუნი, სენდეროსი. გერმანელებზე გაცილებით უკეთესი შედეგი გვქონდა. როგორც მახსოვს, იტალიაში, ლინიანოს ოლიმპიური თამაშებიც ქართველმა სპეციალისტებმა მოვიგეთ.

მიზეზი სხვა რამაა. პირდაპირ მითხრეს, ჩვენს გუნდში ვერ ჩაჯექიო. რა კრიტერიუმით, ეს მეც მაინტერესებს. ნორმალურად არც ამიხსნეს, რა დავაშავე და მომიშორეს.

ქართველს ნაკრებში ასისტენტად თავისი ძმა რომ დაენიშნა რა დღეში ჩაგდებდნენ? ტოპმიოლერის ძმის დანიშვნა კი, ვითომც არაფერიო, ისე გავატარეთ. კიდევ ერთია მნიშვნელოვანი: ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველებს უეფასა და ფიფას უცხოურ სემინარებზე აღარ უშვებენ. ჩვენი განათლებისთვის გამოყოფილი თანხებით დადიან ისევ და ისევ გერმანელები.

- რას ქვია, არ ყოფილან? სვანაძე და დარსაძე პორტუგალიაში არ გაუშვეს?

- ეს ადრე იყო. შეგიძლიათ ნახოთ, ახალკაცის მოსვლის მერე, ბოლო ორი წლის განმავლობაში მარტო დარსაძე წავიდა. ახლახან რუმინეთში აღმოსავლეთ ევროპის მწვრთნელთა სემინარზე საქართველოს რალფ მინგე წარმოადგენდა. ადრე თუ გვიან, გერმანელები წავლენ და საქმეს ბოლოს მაინც ქართველები გავაკეთებთ.

დავით ცაბაძე
მერაბ მამულაშვილი

ქალაქე ალექსში იცვლება?

"მილანი" დაცვის ხაზის გაახალგაზრდავებას გეგმავსო, გვამცნობენ იტალიური სააგენტოები. ისე, "როსონერის" უკანა ხაზი მართლაც "კრიტიკულ" ასაკშია. ეს თითქოს ერთგვარი საკლუბო ტრადიციაცაა. დაცვაში "მილანი" ყოველთვის ასაკოვან და, შესაბამისად, გამოცდილ ფეხბურთელებს ანიჭებდა უპირატესობას. ახლა კი ამბობენ, რომ **კარლო ანჩელოტი** "ეინდჰოვენის" მცველ **ალექსით** დაინტერესებულა. ბრაზილიელმა მართლაც ჩინებულად ჩაატარა ეს სეზონი, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაშიც. თუმცა "მილანი" ვერ სრულყოფს ტრანსფერს მანამდე, ვიდრე ფეხბურთელის საკონტრაქტო სიტუაციას ნათელი არ მოეფინება.

დღესდღეობით, ალექსი "ჩელსის" საკუთრებაშია, მაგრამ პრემიერლიგაში სათამაშოდ, სამუშაო ვიზა არ აქვს. ეს პროცესი უსაშველოდ გაიწელა. "არისტოკრატები" გამოსავალს, თურმე, ბრაზილიელის გასხვისებაში ხედავენ - ვითომდაც, მზად არიან, ალექსი "მილანს" დაუთმონ, თუ გარიგებაში **კახა კალაძეს** ჩართავენ. ორი წლის წინ, საქართველოს ნაკრების კაპიტანს ლონდონში გადაბარგებამდე თითქოს არაფერი უკლდა, მაგრამ ბოლო მომენტში ისევ "მილანში" დარჩენა ამჯობინა.

კალაძესთან დაკავშირებით, "მილანელოში" პოზიცია არ შეუცვლიათ. აი, რა განაცხადა **ადრიანო გალიანიმ**: *"კალაძე, ისევე როგორც ჩვენი გუნდის სხვა გამორჩეული მოთამაშეები, არ იყიდებიან. ისინი მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნებიან და ამ თემაზე მოლაპარაკებების დაწყებას არ ვაპირებთ".*

ითამაშებს ასათიანი ლიგვასთან?

მალხაზ ასათიანი მოედანს დღემდე ვერ დაუბრუნდა. მართალია, ოპერაცია იანვარში გაიკეთა, თუმცა საბოლოოდ დღემდე ვერ გამოჯანმრთელდა.

მისი თქმით, მიზეზი ფსიქოლოგიურ სფეროს უფრო მიეკუთვნება. მალხაზი "სპორტ-ექსპრესთან" ამბობს: *"ჯერ მე ფსიქოლოგიურად სათამაშოდ მზად არ ვარ. აღდგენითი პროცესი გამიგრძელდა და ამასთანავე, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ თავს კომფორტულად ვგრძნობ. ფეხი ისევ მტკივა. უფრო სწორედ, სისუსტეს ვგრძნობ და დღეს 80-90 პროცენტით თუ ვარ მზად. კიდევ მჭირდება მომაგრება, ფეხის კუნთების გაძლიერება. ორმხრივ ვარჯიშებში ვმონაწილეობ, მაგრამ ხისტ ბრძოლას ვერიდები."*

საკითხავი ისაა, ივნისში ლიტვა-საფრანგეთთან ჩასატარებელი მატჩებისთვის მაინც თუ შეძლებს მალხაზი საქართველოს ნაკრების დახმარებას? ასათიანი ჯვაროსნებს ჰაერივით სჭირდება. თუმცა მანამდე სამი კვირაა დარჩენილი და იმედი დავიტოვოთ.

ჩიხრაძე: საქართველოს ნაკრებში თამაში პოლიტიკამ ჩამიშალა

ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიაში" გადასულმა **ალექსანდრე ჩიხრაძემ** ფანების სიყვარული მალე დაიმსახურა. წერს "კომსომოლკას" რეგიონული ფილიალის ჟურნალისტი, რომ ფეხბურთელი პრინციპულად არ ეკონტაქტება მედიას და როდესაც მისგან მოულოდნელი თანხმობა მიიღო, უპირველესად ამის მიზეზებზე დაეკითხა: *"ეს უბრალოდ, ცრურწმენაა. ერთხელ, ჩემი ინტერვიუს შემდეგ გუნდმა წააგო და მას შემდეგ ვერიდები პრესას. წყენა არაფერ შუაშია."*

სხვათა შორის, წერს რუსული მედია წელს, რომ "ლუჩ-ენერგიას" ორი თაბანარი ძალის მეკარე, ჩეხი **მარეკ ჩეხი** და ალექსანდრე ჩიხრაძე ჰყავს. სასიამოვნოა - ჩეხეთის ნაკრების მეკარე და წარმოშობით ქართველი ერთ რანგში განიხილება.

"ჯერჯერობით, მარეკს უფრო უმართლებს, ვიდრე მე. აბა, 92-ე წუთზე რომ გაგიტანენ, რა უნდა იფიქრო? "(ბოლო ტურში "ლუჩმა" "როსტოვთან" ბოლო წუთზე წააგო - რედ.)

თუმცა ინტერვიუში ჩვენთვის უფრო საინტერესო ის კითხვა აღმოჩნდა, სადაც მას საქართველოს ნაკრებში მიწვევაზე ეკითხებიან, მართალია, თითქოს ორმაგი მოქალაქეობაც მიიღეთო?

"ნაკრებში მართლა მიწვევდნენ. დამირეკა რეზო არველაძემ, რომელიც თბილისის "დინამოში" ჩემი მწვრთნელი იყო. მითხრა, ყველა დოკუმენტი მზად არის და მხოლოდ თბილისში ჩამოსვლა დაგჭირდებაო. იქ მე პრეზიდენტ სააკაშვილს უნდა შევხვედროდი, რომელიც დოკუმენტს გამიფორმებდა. თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განმარტება გააკეთა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ორმაგ მოქალაქეობაზე შეთანხმება არ არსებობს. ამიტომაც არ გავრისკე და საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ვთქვი. სხვაგვარად, რუსეთში ლეგიონერად ჩავითვლებოდი. მათი რიცხვი კი პრემიერლიგაში ყოველწლიურად მცირდება."

31 წლის მეკარეს კითხვა პოლიტიკაზეც დაუსვეს, რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობამაც ხომ არ შეგიშალათ ხელი ორმაგი მოქალაქეობის მილებაშიო? ჩიხრაძის პასუხში საინტერესო მინიშნებაა: *"სწორედ ამ დროს იყო ორ ქვეყანას შორის ყველაზე დაძაბული ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ჩემს გადაწყვეტილებაზე ამან მცირედით, მაგრამ მაინც იმოქმედა."*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დაკავშირება;
CDN ბოჭვა კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უსაფრთხო მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაწყვეტა სახლიდან გუნდურად
სატელეფონო საუბრების ნამბრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, მოგაკითხავთ, ჩაგიყენებთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXIV ტური. წინათქმა

მთავარი ამბავი ვაკეში, ცალი თვალი კი გორში

იაშვილს (წინა პლანზე) და დინამოს დღეს სამი ქულა სჭირდებათ

ოცდამეოთხე ტურს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია როგორც ცხრილის ზევით, ისე ქვემოთ. ამ ტურის შემდეგ გუნდებს კიდევ ორ-ორი თამაში დარჩათ ჩასატარებელი მეთვრამეტე ეროვნულში, თუმც დღეს ისეთი მატჩებია, შესაძლოა, დარჩენილმა ორმა ტურმა ველარაფერი შეცვალოს.

ცხრილის ქვემოთ უმთავრეს ის არის, თუ ვინ დაიკავებს მე-12 ადგილს, ანუ ვის მოუწევს საფლეიოფო შეხლა პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან უმაღლესი ლიგის საგზურისთვის.

საჩემპიონო რბოლა შესაძლოა დღესვე დამთავრდეს, თუ "დინამომ" წააგო და "ოლიმპმა" მოიგო, მაგრამ ისიც სავსებით შესაძლებელია, ყველაფერი პირიქით მოხდეს.

ერთი სიტყვით, დღეს მნიშვნელოვანი ტურია, თუნდაც იმიტომ, რომ "დინამო" მისთვის ძალიან უხერხულ მეტოქეს ეთამაშება...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	23	17	5	1	52-7	56
2. დინამო	23	17	2	4	47-17	53
3. ამერი	23	15	5	3	44-14	50
4. ზესტაფონი	23	14	8	1	46-10	50
5. ვიტ ჯორჯია	23	12	8	3	39-23	44
6. სიონი	23	11	3	9	27-20	36
7. ტორპედო	23	9	4	10	21-26	31
8. ბორჯომი	23	7	6	10	24-31	27
9. ბათუმი	23	6	6	11	21-26	24
10. ლოკომოტივი	23	5	6	12	14-31	21
11. ჩიხურა	23	5	6	12	13-33	21
12. მერანი	23	4	8	11	15-35	20
13. დილა	23	2	5	16	15-54	111
14. კახეთი	23	0	2	21	19-70	2

ბომბარდირები

1	ს. იაშვილი (დინამო)	16
2	ფიფია (ზესტაფონი)	13
3	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	10
4-5	იონანიძე (ზესტაფონი)	9
	ტატანაშვილი (ამერი)	9
6-8	დვალიშვილი (ოლიმპი)	8
	ს. დავითაშვილი (ამერი)	8
	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	8
9-11	გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
	დოლიძე (ამერი)	7
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	7
12-13	კახელიშვილი (ოლიმპი)	6
	შ. ჯიქია (ბორჯომი)	6

დინამო-ვიტ ჯორჯია

12 მაისი. თბილისი. მ. მესხი. 17:00

პირველ წრეში: 1:2

სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, ლ. მერებაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, ს. იაშვილი
დისკვალიფიკაცია: ხუციშვილი
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე, სახოკია, ბერიაშვილი, ლუჭაშვილი
არბიტრი: ბეუქლიშვილი
ასისტენტები: ჯვარიძე, მ. ურუშაძე

პირველ წრეში მცხეთაში ვიტელებმა "დინამოს" 2:1 მოუგეს, მაგრამ მაშინ სულ სხვა ვითარება იყო - **დავით დილმელაშვილი** და **გიორგი ფეიქრიშვილი** ვიტელები იყვნენ, ახლა კი ისინი დინამოელები არიან. "დინამო" მეორე წრეში უფრო მძლავრად თამაშობს, ვიდრე პირველში. "ვიტ ჯორჯია" კი პირიქით - ჰოდა, დღეს ამ წყვილში ფავორიტი "დინამო" უნდა იყოს.

ლოგიკა ერთია, მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" თითქოს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, როგორ გაუმკლავდეს საქართველოს უტიტულოვანეს გუნდს. ვიტელებს ყველაზე უფრო თავდასხმაში უჭირთ, საგოლე მომენტების გამოყენებაში ნესტორ მუმლაძის გუნდი ძალიან მოიკოჭლებს, თანაც არა გვგონია, დღეს "ვიტ ჯორჯიამ" ბევრი საგოლე მომენტი შექმნას.

"დინამოს" ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს. თუ დღეს დუშან უპრინის გუნდი მოიგებს, დარჩენილ ორ ტურში ქულებს ალბათ არ დაკარგავს "ჩიხურასთან" და "ბათუმთან" და იმას დაელოდება, წაიფორხილებს თუ არა "ოლიმპი".

დილა-ოლიმპი

12 მაისი. გორი. თ. ბურჯანაძე. 17:00

პირველ წრეში: 1:5

სავარაუდო შემადგენლობები

დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ტლაშაძე, კ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ვარდოსანიძე, კობახიძე, გონჩაროვი
ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი, ქებაძე, აფციაური, გეწაძე, კახელიშვილი, რ. გოცირიძე
არბიტრი: კრიჭაშვილი
ასისტენტები: ელიკაშვილი, ჩიგოგიძე

გორის "დილას" ალმაცერად ნუ შეხედავთ, რამეთუ შესწევს ძალა, მასზე ძლიერ გუდებს ხელი შეუშალოს და ნერვები აუშალოს. თუ დღეს რუსთავის "ოლიმპი" ასი პროცენტით არ დაიხარჯება, არა გვგონია, გორიდან სამი ქულით ხელდამშვენებული წამოვიდეს.

ძნელია გოლი გაუტანო ასეთ გუნდს, თერთმეტი კაცით რომ იცავს თავს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ "დილას" არგავარდნის თეორიული შანსი ჯერ არ დაუკარგავს. რუსთაველები გორში სტუმრობას იოლად ვერ გადააგორებენ.

"ოლიმპს" ძლიერი ნერვები დასჭირდება, თუ **რევაზ ძოძუაშვილის** გუნდს ფსიქოლოგიაში ნაპრალი გაუჩნდა, ვინ იცის, რა მოხდება...

"დინამოს" ცალი თვალი გორისკენ ექნება. "ოლიმპის" "დილასთან" მარცხი ძალიან დიდი სენსაცია უნდა იყოს, ფრე კი ის შედეგია, რუსთაველთა მდევარი რომ ნატრულობს.

სიონი-ზესტაფონი

12 მაისი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 17:00

პირველ წრეში: 0:3

სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: მამალაძე, კობაური, სვანიძე, ორბელაძე, ბოიომო, ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი, სანიკიძე, კორღალიძე, დარასელია, ჩასემი
ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, ღ. ღონღაძე, სანტოსი, კ. ჩხეტიანი, რ. ონიანი, კესანი, გ. ჭელიძე, კვასხვაძე, ვიაირა, ფიფია
არბიტრი: სილაგავა
ასისტენტები: გაბრიაძე, რუსიშვილი

"ზესტაფონი" თასის ფინალისტია, თუმც უეფას თასზე თამაშის საგზური ჩემპიონატიდანაც შეუძლია მოიპოვოს. ზესტაფონელები არც ინტერტოტოზე გამოსვლაზე ამბობენ უარს. მოკლედ, ჩემპიონატში "ზესტაფონის" მოტივაცია ისევ მაღალია.

პირველ წრეში ზესტაფონელებმა 3:0 იმარჯვეს "სიონთან". მას შემდეგ ბოლნისელები შედარებით კი მოღონიერდნენ, მაგრამ თუ გათამაშების ცხრილში ჩავიხედავთ, გუნდს ქულები დიდად არ უნდა ჭირდებოდეს.

შარშანდელ ჩემპიონს ისღა დარჩენია, სპორტული პრინციპი ბოლომდე დაიცვას - საკუთარ გულშემატკივარს პატივი სცეს და კუდი მძლავრად მოიქნიოს. სხვა თუ არაფერი, შარშანდელი 0:3 ბოლნისელებს მწარედ უნდა ახსოვდეთ.

მერანი-ამერი

12 მაისი. თბილისი. შევარდენი. 17:00

პირველ წრეში: 0:4

სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, ჯანგიძე, აფშილავა, ბესარაშვილი, ფურცელაძე, ბურჯანაძე, კობერიძე, ფურთუხია, ქორიძე, ზედელაშვილი
დისკვალიფიკაცია: გლუნჩაძე
ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი
დისკვალიფიკაცია: ჩიკვილაძე
არბიტრი: კიკაჩეიშვილი
ასისტენტები: მიქელაძე, ი. ურუშაძე

"მერანს" მინიმუმ ქულა სჭირდება, "დილას" მისი არდაწევის შანსი რომ მოუსპოს. მერანელებს ალბათ იმის იმედიც აქვთ, რომ "ამერს" არცთუ იშვიათად უჭირს ისეთ მეტოქეებთან თამაში, მისი უშუალო კონკურენტები რომ არ არიან.

"ამერი" თასის ფინალისტი კია, მაგრამ ამით არ მთავრდება მისი ამბიცია - თასი და რაც შეიძლება მაღალი ადგილი ჩემპიონატში - ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია.

ტორპედო-ლოკომოტივი

12 მაისი. ქუთაისი. ცენტრალური. 17:00

პირველ წრეში: 3:0

სავარაუდო შემადგენლობები

ტორპედო: ქვილითაია, ტაბიძე, გურული, ბარაბაძე, ხურცილავა, ზივზივაძე, ზ. ჩხეტიანი, კირკიტაძე, ნადირაძე, გოდერიძე, ქუთათელაძე
ლოკომოტივი: ზუხბაია, კუპრეიშვილი, თუთბერიძე, ებრალიძე, ფოფხაძე, მალიჩავა, გულორდავა, სამხარაძე, სოსელია, გოჩაშვილი, ჟლენტი
დისკვალიფიკაცია: გვარამაძე, გუშარაშვილი
არბიტრი: კვარაცხელია
ასისტენტები: თოდრია, ფიფია

"ლოკომოტივს" ორი საკვანძო ფეხბურთელი არ ეყოლება - მეკარე **დავით გვარამაძე** და მცველი **ნიკა გუშარაშვილი**, რაც **გიორგი კიკნაძის** გუნდისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. "ლოკომოტივის" ამოცანაა, მე-12 ადგილამდე არ დაეშვას და თუ დღეს ფრეს მოინაგრებს, საქმეს წინ წაიგდებს - ასეთი შედეგი ლოკომოტიველებისთვის ალბათ, მაქსიმუმი იქნება.

ბათუმი-ჩიხურა

12 მაისი. ბათუმი. ადელი. 17:00

პირველ წრეში: 0:1

სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, ცანავა, ნერგაძე, შალამბერიძე, მაკარიანი, კუნჭულია, დარჩიძე, კვარაცხელია
დისკვალიფიკაცია: გალოგრე
ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ვაშაკიძე, ბუცხრიკიძე, თავბერიძე, მახარაძე, ი. ზაბახიძე, გ. მიქაძე, დვალი
დისკვალიფიკაცია: ქუცურუა
არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: გ. დოგრაშვილი, გაგნიძე

თავი ქუდში არც "ბათუმს" აქვს და არც "ჩიხურას" - ორივეს ემუქრება ფლეი ოფში თამაში. შედარებით უარეს მდგომარეობაში მაინც საჩხერელები არიან. ამ წყვილში შანსები ალბათ თანაბარია.

ბორჯომი-კახეთი

12 მაისი. ბორჯომი ჯ. ზეინკლიშვილი. 17:00

პირველ წრეში: 2:0

სავარაუდო შემადგენლობები

ბორჯომი: შეყრილაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, თ. ლონლაძე, გოგიჩაიშვილი, შ. გრიგალაშვილი, კომკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე
კახეთი: გ. იაშვილი, მ. ხიდაშელი, მურველაშვილი, კუპრაშვილი, იოსებაშვილი, გერგიშვილი, ჩუთლაშვილი, კევლიშვილი, გ. ხიდაშელი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი
არბიტრი: ხეცაძე
ასისტენტები: მენთეშაშვილი, გუნთაძე

თორელები თითქმის სამშვიდობოს არიან გასულები. შინ, ხელოვნურსაფარიან მოედანზე "ბორჯომს" "კახეთთან" გამარჯვება და საგაისოდ უმაღლესი ლიგის საგზურის დაბევება არ უნდა გაუჭირდეს.

დავით თავართქილაძე
ლევან ჯანეზაშვილი

დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს
გამოიცანი თერთმეტი მატჩი
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ჩიხურა-ბორჯომი	კახეთი-სიონი
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)	მაღაროელი-გაგრა
ოლიმპი-დინამო (თბ)	ზენიტი-კრილია სოვეტოვ
მერანი-დილა	მილანი-ფიორენტინა
ლოკომოტივი-ამერი	სპარტაკი (მოს)-რუბინი
ზესტაფონი-ტორპედო	

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIV ტურის წინ

ბარსელონა რეალის სუნთქვას გრძნობს

რეალი თამაშს კარგ განწყობაზე ხვდება

დღეს

რეალი-ესპანიოლი
სევილია-რაკრეატივო

ხვალ

ბილბაო-დეპორტივო
სელტა-ლევანტე
ხეტაფე-ატლეტიკო
სიმანსკი-რეალ სოსიედადი
ოსასუნა-ვილიარეალი
რასინგი-მალიორკა
ბარსელონა-ბეტისი
ვალენსია-სარაგოსა

"რეალი" "ბარსელონას" კუდში მიჰყვება. ბოლო ტურში სევილიელთა დამარცხებით სამეფო კლუბმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. კატალონიელებმა სტუმრად "რეალ სოსიედადს" მოუგეს და ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. დღეს "რეალი" უეფას თასის ფინალისტ "ესპანიოლს" უმასპინძლებს. მადრიდელებს ბოლო 12 მატჩში ერთი წაგება აქვთ. "ბარსა" ცხრილის ქვედა ეშელონში მყოფ "ბეტისს" იღებს. ამ სეზონში კატალონიელები "კამპ ნოუზე" არ დამარცხებულან.

"რეალს" **დევიდ ბექჰემი** და **რობინიო** არ ეყოლება. ისინი სასჯელებს იხდიან. ძირითადში ითამაშებს "სევილიასთან" ერთი კვირისწინანდელი მატჩის გმირი **ხოსე მარია გუტიერესი**. "ესპანიოლის" თავკაცი **ერნესტო ვალვერდე** უეფას თასის ფინალზე ფიქრობს. ამიტომ შემადგენლობაში კორექტივების შეტანას აპირებს. სავარაუდოდ, ბარსელონელები შესუსტებულ გუნდს გამოიყვანენ. წამყვანი ნახევარმცველი **იტო** დისკვალიფიცირებულია. ფლეიმეიქერი **ივან დე ლა პენია** და თავდამსხმელი **ვალტერ პანდიანი** გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ ალბათ თადარიგში იქნებიან.

"ბარსელონის" პრეზიდენტი **ხოან ლაპორტა** ზედიზედ მესამე ტიტულს უმიზნებს. ის ამბობს, რომ მის გუნდს სეზონის ღირსეულად დასრულება შეუძლია. "ხეტაფესთან" სამეფო თასის საპასუხო ნახევარფინალის შემდეგ მის ნათქვამს ბევრი ეჭვით უყურებს. **ბერნდ შუსტერის** შეგირდებმა ბარსელონურ რაუნდში 2:5 განადგურება არად ჩააგდეს და კატალონიელებს უმძიმესი დარტყმა მიაყენეს - 4:0. შეუძლებელია, ამ შედეგმა **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდების განწყობაზე არ იმოქმედოს. "ხეტაფესთან" ავადსახსენებელ მატჩში არ ითამაშა **ლეო მესიმ**. მწვრთნელმა მისი გამოყვანა საჭიროდ არ ჩათვალა. "ბეტისთან" მას აუცილებლად ძირითადში ვიხილავთ. დაშავებულები არიან ნახევარმცველები - **ტიაგო მოტა** და **დეკუ**, აგრეთვე ცენტრალური მცველი **რაფა მარკესი**.

უეფას თასის ფინალში "ესპანიოლის" მეტოქე "სევილია" ანდალუსიურ დერბის გამართავს. მისი მეტოქე "რეკრეატივო" იქნება. სევილიელები ისტორიული შედეგის ზღვარზე დგანან. ორი მატჩის ჯამში "დეპორტივოს" 5:0 განადგურებით, პირველად ბოლო 45 წელინადში მათ სამეფო თასისი ფინალში გააღწიეს. იქ **ხუანდე რამოსის** შეგირდები "ხეტაფეს" შეხვდებიან. უეფას თასის ფინალი და "ესპანიოლთან" მოახლოებული დაპირისპირება უკვე ვახსენეთ. მართალია, წინა ტურში "სევილიამ" "რეალთან" წააგო და პრიმერა დივიზიონის ლიდერ "ბარსელონას" ოთხი ქულით ჩამორჩა, მაგრამ ჩემპიონობის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

დღეს მასპინძლებს მცველი **აიტორ ოსიო** და თავდამსხმელი **ერნესტო ჩევანტონი** ვერ დაეხმარებიან. ორივე დისკვალიფიცირებულია. საეჭვოა **ანტონიო პუერტასა** და **ადრიანო კორეიას** თამაში. "ესპანიოლისა" არ იყოს, სევილიელებსაც ცალი თვალი უეფას თასის ფინალზე ექნებათ. ამიტომ შეიძლება, სახეცვლილი შემადგენლობა დაიყენონ.

"ვალენსია"-"სარაგოსის" მატჩი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლაა. ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ვალენსიელებს შეიძლება ნახევარმცველი **რუბენ ბარახა** დაუბრუნდეთ. წამყვან თავდამსხმელ **ფერნანდო მორიენტესს** საზარდულის ტრავმა აწუხებს. მცველი **კურო ტორესი** კი დასჯილია. სარაგოსელებს დაშავებული ნახევარმცველი **ხერარდ პიკე** და დისკვალიფიცირებული მცველი **კარლოს დიოგო** არ ეყოლებათ.

"ატლეტიკო", რომელსაც ესპანურ გრანდებს შორის უსუსტესი თავდასხმა ჰყავს (36 გოლი 33 მატჩში), იმ "ხეტაფეს" უმასპინძლებს, რომელიც ასევე ვერ დაიკვეხნის მრისხანე თავდამსხმელებით (32 გოლი 33 მატჩი), მაგრამ შუსტერის კოლექტივი "ბარსელონასთან" საარაკო მოგებითა და სამეფო თასის ფინალითაა ფრთაშესხმული. მადრიდელების საუკეთესო ბომბარდირის, **ფერნანდო ტორესის** თამაში საეჭვოა. მთავარმა მწვრთნელმა **ხავიერ აგირემ** რაღაც უნდა იღონოს, თუ რა სურს, რომ უეფას თასის მიღმა არ დარჩეს.

ცხრილის ბოლოში ორი პრინციპული დაპირისპირებაა. პრიმერაში ადგილის შესანარჩუნებლად **ხრისტო სტოიჩკოვის** "სელტა" "ლევანტეს", ხოლო "ხიმნასტიკი" "რეალ სოსიედადს" შეხვდება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	33	19	8	6	63-29	65
2. რეალი	33	19	6	8	51-31	63
3. სევილია	33	18	7	8	57-31	61
3. რეალი	33	19	6	8	51-31	63
4. ვალენსია	33	18	5	10	47-32	59
5. სარაგოსა	33	15	10	8	47-32	55
6. ატლეტიკო	33	14	9	10	36-28	51
7. რეკრეატივო	33	14	8	11	45-43	50
8. ხეტაფე	33	13	10	10	32-24	49
9. რასინგი	33	12	13	8	39-39	49
10. ვილიარეალი	33	13	8	12	35-39	47
11. ესპანიოლი	33	11	12	10	38-39	45
12. მალიორკა	33	13	6	14	38-42	45
13. დეპორტივი	33	11	10	12	24-33	43
14. ოსასუნა	33	10	7	16	38-42	37
15. ბეტისი	33	7	14	12	31-40	35
16. ლევანტე	33	7	12	14	27-42	33
17. ბილბაო	33	8	9	16	36-54	33
18. სელტა	33	7	9	17	31-50	30
19. სოსიედადი	33	6	9	18	23-40	27
20. ხიმნასტიკი	33	6	6	21	30-58	24

კარლოს ტეცესი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტურის წინ

გასარკვევია მესამე გაპარდნილის ვინაობა

უეფას თასის ერთ საგზურსაც დღეს უნდა გამოუჩნდეს პატრონი

დღეს

ბლეკბერნი-რედინგი
ბოლტონი-ასტონ ვილა
ჩელსი-ევერტონი
ლივერპული-ჩარლტონი
მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი
მიდლსბრო-უოლხემი
პორტსმუთი-არსენალი
შეფილდ იუნაიტედი-ვიგანი
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი
უოტფორდი-ნიუკასლი

ბოლო ტურის წინ პრემიერლიგაში ყველაფერი ცნობილია, ყველაფერი მესამე გავარდნილი გუნდის ვინაობის გარდა. ამიტომ ტურის უმთავრესი მატჩი შეფილდის "ბრემელ ლეინზე" გაიმართება. "შეფილდ იუნაიტედი" "ვიგანს" უმასპინძლებს. მნიშვნელობის მხრივ, მეორე ადგილზეა "ოლდ ტრეფორდის" შეხვედრა. არა "მანჩესტერ იუნაიტედის", არამედ "ვესტ ჰემის" გამო. გავარდნა დაახლოებით 40-მილიონიან ზარალს ნიშნავს. ამიტომ სასწორზე მხოლოდ კლუბების პრესტიჟი არ დევს. "შეფილდისა" და "ვიგანის" შეხვედრაში გამარჯვებულს დარჩენა გარანტირებული აქვს. "ვესტ ჰემმა" სიმშვიდისთვის ერთი ქულის მოპოვება უნდა სცადოს.

"შეფილდსა" და "ვესტ ჰემს" 38-38 ქულა აქვთ. "ვიგანი" მათ სამი ქულით ჩამორჩება. თუ "შეფილდი" მოიგებს ან ფრედ ითამაშებს, დარჩება. "ვიგანს" კი მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. შეფილდელები ნაგების შემთხვევაშიც შეიძლება გადარჩნენ, მაგრამ მაშინ "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ვესტ ჰემი" უნდა დაამარცხოს. "ვესტ ჰემს" გადარჩენის ასეთი შანსიც აქვს: თუ წააგებს და "შეფილდიც" დამარცხდება, მაგრამ ეს უკანასკნელი შინ ოთხ და მეტ ბურთს გაუშვებს. ვიგანელთა თავკაცი **პოლ ჯუელი,** ალბათ, ფიქრობს, რატომ აღმოჩნდნენ მისი შეგირდები ასეთ მდგომარეობაში. გუნდმა სეზონი ნორმალურად დაიწყო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი თავდაყირა დადგა. გუნდმა ბოლო რვა შეხვედრაში 24 შესაძლებლიდან მხოლოდ 3 ქულა მოიპოვა. ბოლო ტურში "მიდლსბროსთან" შინ დამარცხება კულმინაცია გახლდათ. "ვიგანი" ამ სეზონში პირველად ჩაეშვა გასავარდნ ზონაში. *"თუ მოვიგებთ, გადავრჩებით, თუ წავაგებთ, გავვარდებით - შეუძლებელია, ვითარება ამაზე მარტივი იყოს. ჩვენი ბედი სხვა მატჩების შედეგებზე დამოკიდებული არ არის. ის მხოლოდ ჩვენს ხელშია,"* - ამბობს ჯუელი.

შეფილდელებს ნახევარმცველი **ნიკ მონტგომერი** დააკლდებათ. ვიგანელები კი წამყვანი მცველების, **ლეიტონ ბაინესისა** და **არიან დე ზეეუვის** ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ბოლო ცნობებს ელოდებიან. ბაინესის უთამაშებლობის შემთხვევაში, მის ადგილს გამოცდილი **დევიდ ანსუორთი** დაიკავებს.

რაც შეეხება "ვესტ ჰემს", წინა ტურში "ბოლტონთან" 3:1 მათი მეექვსე წარმატება იყო უკანასკნელ რვა შეხვედრაში. ცოტა ხნის წინათ "ჩაქუჩები" უიმედოდ განწირულები იყვნენ. ახლა კი უსაფრთხო ზონისგან ერთი ქულაღა ჰყოფთ. მთავარია, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ თავისსავე გადაწყვეტილებას არ გადახედოს და სატრანსფერო კანონმდებლობის დარღვევის გამო, ლონდონელებს ქულები არ წაართვას. კლუბს ინგლისური ფეხბურთისთვის სარეკორდო ჯარიმის, 5.5 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრეს. "ვესტ ჰემი" თანახმაა, თანხა უაპელაციოდ გადაიხადოს, ოღონდ მის ქულებს საფრთხე არ შეექმნას.

"მანჩესტერ იუნაიტედი" უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანას აპირებს ერთი გამონაკლისით: სკამზე იჯდება **კრისტიანო რონალდო** ან **უეინ რუნი**. ძირითადში ვიხილავთ **ალან სმიტს**. "ვესტ ჰემის" მაისურით შეიძლება, უკანასკნელი მატჩი ჩაატაროს **კარლოს ტევესმა**. ნახევარმცველის მარცხენა ფრთას **ლუიშ ბოა მორტეს** ჩააბარებენ.

სტუმრებისთვის ერთი ქულა და გადარჩენა მთავარია, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ თამაშის შემდეგ "მანჩესტერს" ჩემპიონის თასს გადასცემენ - მეთექვსმეტედ კლუბის ისტორიაში და მეცხრედ პრემიერლიგაში, ასევე მეცხრედ **სერ ალექს ფერგიუსონის** მანჩესტერულ კარიერაში. გამარჯვების შემთხვევაში, ეშმაკები 29-ე თამაშს მოიგებენ. ეს კი კლუბის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი იქნება. აქამდე მას ყველაზე მეტი, 28 თამაში 1956-57 და 1999-2000 წლების სეზონში მოუგია. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ **ალან კერბიშლიმ** "ვესტ ჰემში" მოღვაწეობა 17 დეკემბერს, სწორედ "მენიუსთან" მატჩით დაიწყო და სენსაციურად გაიმარჯვა, 1:0. მას მერე "ჩაქუჩებმა" 11-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს და მხოლოდ ჩემპიონატის მიწურულს გამოასწორეს მდგომარეობა: ექვსი მოგება რვა მატჩში.

ბოლო ტურმა კიდევ ერთ კითხვას უნდა უპასუხოს: ვინ ითამაშებს უეფას თასზე. ერთი საგზური "ევერტონს" თითქმის განაღდებული აქვს. ის დღეს უმოტივაციოდ დარჩენილ "ჩელსის" ესტუმრება. "არისტოკრატები" **ანდრეი შევჩენკოს, მიხაელ ბალაკს, დიდიე დროგბას, რიკარდო კარვალიოს, არიენ რობენსა** და **სკოტ სინკლერს** ვერ დაიხმარენ. **ფრენკ ლემპარდი** და **პეტრ ჩეხი**, რომლებმაც "მანჩესტერთან" მატჩისას დაისვენეს, ძირითადში ითამაშებენ. "ევერტონის" თავდამსხმელი **ენდრიუ ჯონსონი** ისევ დაშავებულია. ამიტომ შეტევაში ახალგაზრდებს, **ჯეიმს ვოგანსა** და **ვიქტორ ანიჩებეს** დაყენებენ. "ჩელსის" უმაღლესი დივიზიონის რეკორდის დამყარება შეუძლია. თუ არ წააგებს, მისი წაუგებელი საშინაო სერია 63 მატჩამდე ავა. ეს კი ლეგენდარული "ლივერპულის" შედეგის გამეორება იქნება. მერსისაიდელებმა ამდენი დაუმარცხებელი შეხვედრა 1978 წლის 25 თებერვლიდან 1980 წლის 27 დეკემბრამდე ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ **ჟოზე მოურინიოს** პრემიერლიგის საშინაო მატჩი ერთხელაც არ წაუგია. ლონდონური კარიერისას "სტემფორდ ბრიჯზე" გამართული 87 შეხვედრიდან კი მხოლოდ ორჯერ დამარცხდა: "ბენფიკასთან" ჩემპიონთა ლიგაში და "ჩარლტონთან" ლიგისას თასზე - ჩარლტონელებთან, სხვათა შორის, პენალტებით.

ზემოთ უეფას თასის საგზურები ვახსენეთ. მეორე საგზურზე ერთბაშად სამი გუნდი - "ტოტენჰემი", "ბოლტონი" და "რედინგი" აცხადებს პრეტენზიას. ხუთშაბათს "ტოტენჰემმა" "ბლექბერნთან" გამოტოვებული მატჩი ჩაატარა, 1:1. ხვალ ის "მანჩესტერ სიტის" უმასპინძლებს. "მამლებს" **ჯერმეინ ჯენასი, რიკარდო როჩა, მიდო, იან პიო ლი** და **სტიდ მალბრანკი** ჰყავთ დაშავებული. თუ "ბოლტონს" ევროპაში თამაში სურს, აუცილებლად უნდა დაამარცხოს ფორმაში შესული "ასტონ ვილა". "რედინგის" თავკაცი **სტივ კოპელი** კი ამბობს, ჩემი გუნდი უეფას თასისთვის მზად არ არის. ამიტომ "ბლექბერნთან" მოსაგებად თამაში იქნება არც ღირდესო.

"ლივერპულსა" და "არსენალს" 67-67 ქულა აქვთ. გრანდები მესამე ადგილზე აცხადებენ პრეტენზიას. სპორტული თვალსაზრისით, მესამე და მეოთხე ადგილები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. სამაგიეროდ, განსხვავებაა ფულში, რომელსაც კლუბები მიიღებენ. ბოლოს და ბოლოს, მესამე ადგილზე გასვლა პრესტიჟის საქმეა. "ლივერპული" გავარდნილ "ჩარლტონს" ეთამაშება, ხოლო "არსენალი" "პორტსმუთის" სტუმარია. ლივერპულელთა შემადგენლობაში უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს **რობი ფაულერი**. ბოლოჯერ უნდა ეთამაშა **იერჟი დუდეკსაც**, მაგრამ მეკარეს საზარდულის ტრავმა აქვს და შეიძლება, ფანებს ვერ გამოემშვიდობოს. ასეთ შემთხვევაში, კარს იტალიელი დებიუტანტი **დანიელე პადელი** დაიცავს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ	37	28	5	4	83-26	89
2. ჩელსი	37	24	10	3	63-23	82
3. ლივერპული	37	20	7	10	55-25	67
4. არსენალი	37	19	10	8	63-35	67
5. ევერტონი	37	15	12	10	51-35	57
6. ტოტენჰემი	37	16	9	12	55-53	57
7. ბოლტონი	37	16	7	14	45-50	55
8. რედინგი	37	16	6	15	49-44	54
9. პორტსმუთი	37	14	11	12	45-42	53
10. ბლეკბერნი	37	15	6	16	49-51	51
11. ასტონ ვილა	37	11	16	10	41-39	49
12. მიდლსბრო	37	11	10	16	41-48	43
13. ნიუკასლი	37	11	9	17	37-46	42
14. მანჩესტერ ს	37	11	9	17	28-42	42
15. ფულჰემი	37	8	15	14	37-57	39
16. შეფილდი	37	10	8	19	31-53	38
17. ვესტ ჰემი	37	11	5	21	34-59	38
18. ვიგანი	37	9	8	20	35-58	35
19. ჩარლტონი	37	8	9	20	32-58	33
20. უოტფორდი	37	5	12	20	28-58	27

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИТАЛИА. СЕРИА A. XXXVI ТУРИС ВИН

ზოგი უმოტივაციო, ზოგიც პრინციპული...

ხვალ

ინტერი-ლაციო
რომა-ტორინო
პარმა-მესინა
ფიორენტინა-კალიარი
კატანია-მილანი
უდინეზე-ატალანტა
ლივორნო-სამპდორია
ასკოლი-პალერმო
რეჯინა-კიევო
სიენა-ვერონა

ITALIIIს ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ცოტა რამ გარკვეულია და ბევრიც გასარკვევი დარჩა. მთავარი ბრძოლები ცხრილის ქვედა ნაწილში მიდის. ბოლო ტურებში აქ სიტუაცია უფრო დაიძაბება. მაგრამ მოდით, თავიდან დავიწყოთ. უმოტივაციო ჩემპიონი "ლაციოს" მასპინძლობს. იტალიის თასის ნახევარფინალში "რომასთან" კატასტროფულმა მარცხმა, ალბათ, "ინტერს" გარკვეული სტიმული უნდა მისცეს იმისთვის, რომ ტიფოზების თვალში ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინოს. **რობერტო მანჩინი** 100-ქულიან ზღვარს ვეღარ წვდება, თუმცა დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმუმის აღებას აპირებს. რაც შეეხება "ლაციოს", მას მხოლოდ ერთი ქულა სჭირდება, რათა შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში გაინაღდოს. "ბიანკოჩელესტე" ეცდება, ეს პრობლემა დღესვე გადაჭრას. **დელიო როსი** კარში დააბრუნებს **ანჯელო პერუცის**, თუმცა ტრავმის გამო ვერ ითამაშებს წამყვანი ნახევარმცველი **სტეფანო მაური**. შუა ხაზში **კრისტიან მანფრედინის** ადგილს **გაბი მუდინგაი** დაიკავებს. "ინტერში" დაშავებულები არიან **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, **დუგლას მაიკონი** და **ვალტერ სამუელი**, **ივან კორდობას** კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. **ფრანჩესკო ტოლდოს** ნაცვლად, კარში **ჟულიო სეზარი** დაბრუნდება. სავარაუდოდ, მანჩინი **ესტებან კამბიასოს**, **ლუიგი ფიგუსა** და **ერნან კრესპოსაც** ათამაშებს.

ასევე უმოტივაციოდაა "რომა", რომელიც მძიმე მდგომარეობაში მყოფ "ტორინოს" მიიღებს. ამ უკანასკნელისთვის, "ოლიმპიკოს" მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. "ტორომ" იქ ბოლოს 1992/93 წლების სეზონში მოიგო (5:4). მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. "ბროწეულებმა" თუნდაც ქულა უსიკვდილოდ უნდა აიღონ. აქვე გავითვალისწინოთ, რომ ამ სეზონში "ჯალოროსი" შინ ყველაზე ცოტა გოლს (8) უშვებს, "ტორინოს" კი, სტუმრად გატანილი გოლების (11) მხრივ, "სიენასთან" ერთად ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს. "რომას" არ ეყოლებიან **როდრიგო ტადეი** და **კრისტიან კივუ**. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს **დავიდ პისაროც**. სამაგიეროდ, მარცხენა ფლანგზე **მაქს ტონეტო** ბრუნდება. "ტორინოს" მწვრთნელ **ჯანი დე ბიაზის** ფორვარდ **რობერტო მუცის** ტრავმა აღელვებს. თუმცა არის შანსი, ვეტერანი სასტარტოშიც გამოჩნდეს.

თუ "პარმას" სერია A-ში დარჩენა სურს, რაც ნამდვილად ასეა, საკუთარ მოედანზე ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოუგოს "მესინას", რომელიც უკვე გავარდნილია. თუმცა, ასეთ დროს, მეტოქე უფრო სახიფათოც შეიძლება იყოს. ბოლო პერიოდში "პარმა" უკეთესად თამაშობს. უკანასკნელი 4 მატჩიდან **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა 3 მოიგეს. ვარაუდობენ, რომ გამოცდილი მწვრთნელი დღეს 4-3-3 სისტემით ითამაშებს. მცირე ტრავმა აწუხებს **ჯუზეპე როსის**, ხოლო **ზლატან მუსლიმოვიჩი** და **იგორ ბუდანი**, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან შედეგიან საიერიშო ოპერაციებზე, მწყობრში არიან.

პრინციპული მატჩი იქნება ფლორენციაში, სადაც უეფას ზონაზე პრეტენზიის მქონე "ფიორენტინა" (ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს) ჯერაც საეჭვო მდგომარეობაში მყოფ "კალიარის" მიიღებს. სარდინიელებისთვის, გამარჯვება, ფაქტობრივად, ლიგაში დარჩენის გარანტიაა, თუმცა ისიც კარგად ესმით, რომ "არტემიო ფრანკიდან" 3 ქულის წაღება უაღრესად ძნელი იქნება. **ჩეზარე პრანდელი** დაცვაში **დარიო დაინელის** დააბრუნებს. **ლუკა ტონი** კი, ალბათ, სკამზე იჯდება. ოფიციალური მიზეზი ტრავმაა, მაგრამ მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ტონის იგნორირება **ჯამპაოლო პაცინის** ბრწყინვალე თამაშითაა ნაკარნახევი. პრანდელი ცამდე მართალია: წასასვლელად გამზადებულ ლუკას ღირსეული შემცვლელი, ხოლო ამ შემცვლელს ძირითადში დამკვიდრება სჭირდება. რაც შეეხება "კალიარის", აქ განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ელიან. **დავიდ სუასოს** წინა ხაზზე პარტნიორობას კვლავ **ანდრეა კაპონე** გაუწევს.

"კატანია" მასპინძლობს "მილანი", რომელსაც 10 დღეში ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელის. ამდენად, სიცილიელებს სტუმართა მხრიდან ძალების დაზოგვის იმედი შეიძლება ჰქონდეთ, სხვა შანსი მათ თითქმის არ აქვთ. "კალიარის" არ იყოს, გამარჯვების შემთხვევაში "კატანიასაც" საგრძნობლად ეზრდება სერია A-ში დარჩენის შანსი. **მასიმო ოდოსა** და **მარეკ იანკულოვსკის** ნაცვლად, **კარლო ანჩელოტი** კვლავ **კაფუსა** და **ჯუზეპე ფავალიზე** შეაჩერებს არჩევანს. შესაძლოა, **ჯენარო გატუზომ** ადგილი **იოან გურკუფს** დაუთმოს. არც ისაა გამორიცხული, რომ კარლეტომ **კაკაც** დაასვენოს. **რონალდო** კი ისევ ტრავმირებულია. მასპინძელთა შორის საეჭვოა ნახევარმცველ **ფაბიო კაზერტას** თამაში.

"უდინეზესა" და "ატალანტის" მთავარი საზრუნავი საევროპო ზონაში მოხვედრაა, რაც "ფრიულის" მატჩს სერიოზულ ინტრიგას ანიჭებს. უდინელთა ბანაკში სიტუაცია უაღრესად მძიმეა: დისკვალიფიკაციის გამო, **ალბერტო მალეზანის** 5 წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება - **ანტონიო დი ნატალე, ვინჩენცო იაკუინტა, ჯამპიერო პინცი, ალექსანდრ ლუკოვიჩი** და **ანდრეა კოდა**. ასეთ შემთხვევაში, ბერგამელთა შანსი ერთიორად იზრდება. თუმცა დანაკლისი მათაც აქვთ. მცველი **კლაუდიო რივალტა** დისკვალიფიცირებულია, ფორვარდ **კრისტიანო დონის** კი ტრავმა აწუხებს. წინა ხაზზე **ნიკოლა ვენტოლასა** და **კრისტიან ვიერის** ტანდემს ელიან.

"ლივორნო" და "სამპდორია" სხვადასხვა ამოცანებს წყვეტენ. მასპინძლებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ. ისინი ამას ნახევარმცველ **ლუიშ ვიდიგალისა** და ფორვარდ **პაულინიო ბეტანინის** გარეშე შეეცდებიან. **ვალტერ ნოველინო** კი თავდასხმაში **ფაბიო კვალიარელასა** და **ფაბიო ბაძანის** წყვილს გაამწესებს. ძირითადში ბრუნდება ნახევარმცველი **დანიელე ფრანჩესკინი**.

გავარდნილ "ასკოლისთან" გასვლით მატჩში "პალერმოს" კარს **ფედერიკო ალიარდი** დაიცავს, ნაცვლად **ალბერტო ფონტანასი**, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. ამავე მიზეზით არ იქნებიან მცველი **აიმო დიანა** და ფორვარდი **ედისონ კავანი**.

მილანი კაკას და სხვა წამყვან ფეხბურთელებს დაასვენებს

"რეჯინა"-"კიევო" სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება იქნება. "პარმასთან" წინა ტურში გამარჯვებამ **ლუიჯი დელ ნერის** გუნდს ხასიათი გამოუკეთა, თუმცა რეჯოკალაბრიაში ანალოგიური შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია. რომ არა დაკლებული ქულები, "რეჯინა" დღეს მე-9 ადგილზე იქნებოდა. რეალურად, დღეს ის გაცილებით უკეთესი გუნდია. მის თავკაც **ვალტერ მაძარის**, რომელსაც თამაშის ცქერა ტრიბუნიდან მოუწევს, ტრავმების გამო რამდენიმე საკადრო პრობლემა აქვს, მათ შორის, ერთი დისკვალიფიკაცია. ამ მიზეზით თამაშს მცველი **სალვატორე არონიკა** გამოტოვებს.

შეიძლება, სწორედ ტოსკანური დერბი იყოს "სიენის" უკანასკნელი შანსი იმისთვის, რათა ჯურღმულს თავი დაღწიოს. სერიოზული მიზნები აქვს "ემპოლისაც", თუმცა ეს უკვე ცხრილის ზედა ნაწილს ეხება. ეგ არის, რომ **ლუიჯი კანის** ძალიან სერიოზული დანაკლისი აქვს ნახევარმცველების - **სერხიო ალმირონისა** და **დავიდე მოროს** (ორივე დისკვალიფიკაცირებულია) სახით, ხოლო წამყვანი მცველები **ფრანჩესკო პრატალი** და **სტეფანო ლუკინი** ტრავმებს იშუშებენ. დისკვალიფიცირებულთა მხრივ, უფრო მეტი თავსატეხი აქვს სიენელთა დამრიგებელ **მარიო ბერეტას**. ასეთთა შორის არიან გამოცდილი მცველი **ვალერიო ბერტოტო**, ნახევარმცველები - **ალბერტო** და **ლუკა ანტონინი**, აგრეთვე ფორვარდი **დანიელე კორვია**. მწვრთნელს კვლავ ვეტერან **ენრიკო კიეზაზე** მოუწევს აქცენტის გაკეთება. მას ლიხტენშტაინელი **მარიო ფრიკი** გაუწევს პარტნიორობას.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	35	28	6	1	72-30	90
2. რომა	35	21	9	5	68-27	72
3. ლაციო	35	18	10	7	55-27	61
4. მილანი	35	18	11	6	54-30	60
5. ემპოლი	35	14	11	10	38-35	53
6. პალერმო	35	14	10	11	52-46	52
7. ფიორენტინა	35	19	9	7	54-28	51
8. ატალანტა	35	11	13	11	50-47	46
9. სამპდორია	35	12	10	13	42-42	46
10. უდინეზე	35	11	10	14	43-48	43
11. კალიარი	35	8	13	14	31-43	37
12. კატანია	35	9	10	16	43-66	37
13. ლივორნო	35	8	12	15	36-52	36
14. ტორინო	35	9	9	17	26-44	36
15. რეჯინა	35	11	13	11	46-46	35
16. კიევო	35	8	11	16	36-45	35
17. პარმა	35	8	11	16	34-54	35
18. სიენა	35	7	14	14	30-42	34
19. მესინა	35	5	10	20	31-59	25
20. ასკოლი	35	3	12	20	31-63	21

სავარაუდო ტრანსფერი

...უკვე ზლატანიც?

თუ რეალი ინტერს ადრიანოზე ვერ დაითანხმებს, ზლატანის შეძენას ეცდება

"რეალი" რომ **ადრიანოს** შეძენას ცდილობს, ესპანურ პრესაზე დაყრდნობით ამაზე გუშინ ვსაუბრობდით. მადრიდელთა სატრანსფერო გეგმებზე მორიგ ინფორმაციას იტალიური ვებგვერდები ავრცელებენ. საქმე ახლა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ეხება. შვედი რომ **ფაბიო კაპელოს** კარგა ხნის ფავორიტია, ახალი ამბავი არ არის. ბოლოს და ბოლოს, თავის დროზე, "იუვენტუსმა" ის სწორედ კაპელოს დაჟინებული მოთხოვნით იყიდა. იყო საუბრები იმაზეც, რომ ზლატანი მწვრთნელს მადრიდშიც გაჰყვებოდა. მაგრამ გასულ ზაფხულს "რეალმა" **ანტონიო კასანოს** შენარჩუნება გადაწყვიტა, იბრამ კი "ინტერს" მიაშურა.

თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, კაპელომ მოთხოვნა ახლა სამეფო კლუბის ბოსებს წაუყენა. ეტყობა, ზლატანი თვალში "რეალის" დირექტორატსაც მოსდის. როგორც ამბობენ, მადრიდიდან უკვე დაუკავშირდნენ ფეხბურთელის აგენტ **მინო რაიოლას** და საქმის კურსშიც ჩააყენეს. "რეალს" კონტრაქტის პირობებიც მზად აქვს: ხუთწლიანი ხელშეკრულება, ზედაც 5.7 მილიონი გირვანქა სეზონური ანაზღაურების სახით. და ეს ხდება მაშინ, როცა აგენტის პირით იბრაჰიმოვიჩმა უკვე შეუთვალა თხოვნა "ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის**, წლიური ხელფასის 4 მილიონ გირვანქამდე გაზრდასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ თუ მორატი ამაზე წავა, დიდია ალბათობა, შვედმა "რეალის" წინადადება უარყოს. არ ვიცით, რამდენად დასაჯერებელია, მაგრამ იმასაც ამბობენ, თითქოს "ნერაძურის" პატრონს ესპანურ მხარესთან მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი არ უთქვამს.

"რეალს" კიდევ ერთი წინადადება აქვს: ფულთან ერთად, მადრიდელები "ინტერს" **ანტონიო კასანოსაც** სთავაზობენ. კასანო თითქოს ამ ზამთარს უნდა გადასულიყო "ინტერში", მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი რეალისკენ მიფრინავს?

სიენა სახელს იცვლის

ჯერაც სერია A-ს ბინადარი "სიენა" სახელის შეცვლას აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობა საკითხის განხილვის პროცესშია. "სიენამ" ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა Banca Monte dei Paschi-სთან (ამჟამად, ტექნიკური სპონსორი). ამ ახალი და უფრო მასშტაბური გარიგების ერთ-ერთი პირობა ის გახლავთ, რომ კლუბის სახელწოდებაში სპონსორის სახელწოდებაც ფიგურირებდეს.

იტალიურ ფეხბურთში ეს უპრეცედენტო ფაქტი იქნება. აქამდე, მსგავსი კონტრაქტები მხოლოდ კალათბურთისა და ფრენბურთის კლუბებში იყო გავრცელებული. თუ ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ლიგა თანახმანი იქნებიან, მომავალი სეზონიდან გუნდს "მონტეპასკი სიენა" ერქმევა.

ბრეშა-ნაპოლი გადაიდო

სერია A-ში "იუვენტუსის" ოფიციალური დაბრუნება ამ უიქენდზე არ შედგება. საქმე ისაა, რომ "ბრეშასა" და "ნაპოლის" შორის სერია B-ს მორიგი ტურის მატჩი გადაიდო. შეხვედრა დღეს, ადგილობრივი დროით 15 საათზე იყო დანიშნული. გადადების მიზეზი მოსალოდნელი უწესრიგობაა. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ეჭვობს, რომ ბრეშას "სტადიო რიგამონტი" მატჩისთვის საკმარისად მზად არ არის. ქალაქის პოლიციასა და სტადიონის ადმინისტრაციას ზომების გამკაცრების მითითება მიეცათ. ბოლო პერიოდში ორივე გუნდის ტიფოზებს შორის ნამდვილი კომპიუტერული ომია გაჩაღებული. გულშემატკივართა ვებგვერდები მუქარის წერილებითაა სავსე. თუ დღეს-ხვალ პრობლემები მოგვარდება, შესაძლოა, მატჩი სამშაბათს გაიმართოს.

ფიორენტინა

ამორუზო ვიოლას ინტერესში

მუტუს ფლორენცია არ ეთმობა

ITALIURI პრესა გვარწმუნებს, რომ "ფიორენტინა" დღე-დღეზე კონტრაქტს გაუფორმებს ვეტერან ფორვარდ **ნიკოლა ამორუზოს**, რომელიც "რეჯინაში" ბრწყინვალე სეზონს ატარებს. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ამორუზოს ანგარიშზე 14 გოლია. 33 წლის ფორვარდმა ამაზე მეტი (15) მხოლოდ 1994/95 წლების სეზონში, "ფიდელის ანდრიის" (სერია B) შემადგენლობაში გაიტანა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, უკვე სერია A-ში, 14 ბურთი "პადოვას" სახელით შეაგდო. ფაქტობრივად, ამორუზოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. "ფიორენტინას" ის **ლუკა ტონის** შემცვლელად ესახება. ცხადია, ამორუზოს გამოცდილებაზე ("იუვენტუსი", პერუჯა", "ნაპოლი", "კომო", "მოდენა", "მესინა") საუბარი ზედმეტია, მაგრამ ვეჭვობთ, ის ტონის პირდაპირი ალტერნატივა იყოს. სავარაუდოდ, ამორუზო რეზერვის ფორვარდად მოიაზრება.

მაგრამ ეს არ არის ერთადერთი ტრანსფერი, რაც ორ გუნდს შორის იგეგმება. მოსალონდნელია, რომ ამ ზაფხულს "რეჯინაში" ჩაირიცხებიან **ვალერი ბოჟინოვი** და **არტურო ლუპოლი**. ბულგარელი ბოჟინოვი "ფიორენტინის" საკუთრებაა და ახლა "იუვენტუსშია" განათხოვრებული. რაც შეეხება ლუპოლის, რომელსაც იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ, ის "არსენალის" კუთვნილება იყო და "დერბი ქალუნთიში" თამაშობდა. შემდეგ, პერსპექტიულმა ახალგაზრდამ "ფიორენტინასთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფლორენციელებმა გადაწყვიტეს, უკეთესი პრაქტიკის მიზნით, ლუპოლი "რეჯინაში" გაენათხოვრებინათ.

ამასობაში, **ადრიან მუტუმ** დაადასტურა, რომ "ფიორენტინაში" კიდევ დიდხანს დარჩება. რუმინელი ფლორენციული ყოფით აღფრთოვანებულია. ამ სეზონში, ტონისთან ერთად, ის "ვიოლას" მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. მის აქტივში 15 გოლია. ერთითა მეტი აქვს გატანილი ტონის, რაც საერთო ჯამში 31 გოლია, ანუ, ნახევარზე მეტი, ვიდრე გუნდის სრული (54) სეზონური მონაგარი. მუტუს გულის სწყდება ტონის უეჭველი აბარგების გამო, მაგრამ იმედი აქვს, რომ "ფიორენტინა" მომავალ სეზონშიც ძლიერი იქნება და გაცილებით მაღალ მიზნებსაც დაისახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტურის წინ

დერბი, თან რა დერბი!!!

კანდიდატი სამია, სინი ერთი!

დღეს

ნიურნბერგი-კამბურგი
ბორუსია (დ)-შალკე
პერგა-ლევერკუზენი
ბოხუმი-შტუტგარტი
მაინცი-ბორუსია (მ)
არმინია-კაიზერი
ვერდერი-აინტრახტი
ალემანია-ვოლფსბურგი
კოტბუსი-ბაიერნი

ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში ყველა თამაში შაბათს, ანუ, დღეს ტარდება და ასე იქნება მომდევნო შაბათსაც. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, დორტმუნდია, სადაც რურის დიდმა დერბიმ **ლევან კობიაშვილის** "შალკეს" ბედი უნდა გადაწყვიტოს. გელზენკირხენელთა პირველი კონკურენტი, "შტუტგარტიც" რურში ჩადის და "ბოხუმს" ხვდება, "ვერდერი" კი "აინტრახტს" მასპინძლობს. დიდი ბრძოლებია ცხრილის ფსკერზეც: "მაინცი" უკვე გავარდნილ "გლადბახთან" ელიტაში დარჩენის უკანასკნელი, თეორიული შანსისთვისთვის იბრძოლებს, "ალემანია" კი, უშუალო კონკურენტ "ვოლფსბურგს" უმასპინძლებს.

რაკი დორტმუნდელებმა მიმდინარე სეზონში ჩაისვარეს, მათი უკანასკნელი ოცნება "შალკეს" გამწარებაა თუ "ბორუსია" მოსისხლე მტერს აატირებს, ამ გუნდის ქომაგები ამ სეზონით კმაყოფილები დარჩებიან - მათთვის "შალკეს" ოცნების კოშკების დანგრევა უდიდესი შვება იქნება. ამრიგად, რიგით 129-ე დერბი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გვპირდება. თანაც, BVB-ს ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ ინტერტოტოს თასის საგზური მაინც მოიპოვოს. თუ "შტუტგარტი" დამარცხდება, ხოლო "ვერდერი" კი ვერ მოიგებს, შალკელები მოსისხლე მტერთან გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობას ინაღდებენ - გელზენკირხენელთათვის ამაზე დიდი მოტივაცია რაღა უნდა იყოს. შალკელები, რომლებსაც ლაზარეთიდან **მლადენ კრსტაიჩი** უბრუნდებათ, დორტმუნდში 1998 წლის შემდეგ აღარ წაუგიათ (4 მოგება, 3 ფრე) და მეტიც, "ხუმარებმა" "ვესტფალენშტადიონზე" ბოლო სამი სტუმრობა ტრიუმფით დაასრულეს. შარშან "შალკემ" დორტმუნდში 2:1 იმარჯვა და მაშინ შავ-ყვითლებს ორივე გოლი **კევინ კურანიმ** გაუტანა, კაცმა, რომელიც დღეს გელზენკირხენელთა უდავო ლიდერია.

შალკელებს სჯერათ, რომ დორტმუნდში დღესაც იმარჯვებენ და ამასთანავე "ბოხუმის" იმედიც აქვთ, რომელიც "შტუტგარტს" მასპინძლობს. ამ გუნდს შვაბებთან საშინაო თამაშებში ძალიან კარგი სერია აქვს: "ბოხუმმა" შინ "შტუტგარტთან" ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ 1 დათმო. მიმდინარე სეზონის ბოლო 6 შეხვედრიდან კი, ბოხუმელებმა 5 მოიგეს (ბოლოს 3:0 ჰამბურგში) და ინტერტოტოს თასის საგზურის მოპოვების ჩინებული შანსი აქვთ. ამრიგად, ბუნდესლიგის ბომბარდირი **თეოფანის გეკასი** (20 გოლი) და მისი თანაგუნდელები ძალიან მოტივირებულები არიან. "შტუტგარტმა" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო და ჩემპიონობის შანსიც ამიტომ გაუჩნდა. შვაბებს დღეს კაპიტანი **ფერნანდო მეირა** არ ეყოლებათ, რომელიც დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განაცხადში იქნება ფორვარდი **მარიო გომესი**, რომელიც ტრავმის მიღებამდე ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე იყო (13 გოლი). დაშავების შემდეგ კი გომესს სწორედ გეკასმა გადაასწრო, რომელიც 8 თამაშია, მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. აქვე გეტყვით, რომ **არმინ ფეე** მეირას **ტასკით** შეცვლის და გეკასის მეურვეობა სწორედ ამ უკანასკნელს დაევალება.

"შალკესა" და "შტუტგარტს" "ვერდერი" მისდევს, ბრემენელები ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ თავს იმით იწონებენ, რომ თუ ბოლოს საქმე ბურთების შეფარდებაზე მიდგა, "ვერდერს" ვერავინ აჯობებს (+35). მაგრამ იმისთვის, რომ გაჩემპიონების შანსი ბოლო ტურამდე შეინარჩუნონ, ან ახლავე გალიდერდნენ, "მუსიკოსებს" "აინტრახტთან" აუცილებლად 3 ქულა სჭირდებათ. ფრანკფურტელებს ლიგაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებიათ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ხელცარიელები არ დარჩნენ. "ვერდერი" ყველანაირი სატრანსფერო სპეკულაციებისგან გათავისუფლდა, რადგან **კლოზეს** შემდეგ **ტორსტენ ფრინგსმაც** თქვა, არსად არ მივდივარო. ასე რომ, ბრემენელებს შეუძლიათ, მხოლოდ დარჩენილ მატჩებზე იფიქრონ.

თუ "ალემანიას" ელიტაში დარჩენა სურს, აუცილებლად უნდა მოუგოს "ვოლფსბურგს", გუნდს, რომელიც **ფრონტეკის** სამწყსოს უშუალო კონკურენტია და მას 3 ქულით უსწრებს. თუკი აახენელები "მგლების" დამარცხებას მოახერხებენ, გასავარდნი ზონიდან მაინც ვერ ამოვლენ, რადგან "ვოლფებს" ბურთების გაცილებით უკეთესი შეფარდება აქვთ. თუმცა ბოლო ტურში "ვოლფსბურგს" "ვერდერთან" უწევს ჭიდილი, რაც აახენურ კლუბს იმედიანად განაწყობს. ამბობენ, "ტივოლიზე" დამარცხების შემთხვევაში, "ვოლფსბურგის" ბოსები მთავარ მწვრთნელ **კლაუს აუგენტალერს** სასწრაფოდ დაიფრენენო. ამ ორ გუნდზე გაცილებით უარეს დღეშია "მაინცი", რომელსაც ელიტაში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსიღა შერჩა - **იურგენ კლოპის** ბიჭებს, სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, სამშვიდობოს 5 ქულა აშორებთ. დღეს "მაინცი" უკვე გავარდნილ "გლადბახს" მასპინძლობს.

სხვა შეხვედრებში უეფას ან ინტერტოტოს თასის საგზურისთვის მიდის ბრძოლა. უეფას თასზე მოსახვედრად საუკეთესო შანსები "ლევერკუზენსა" და "ჰანოვერს" აქვთ, რომლებიც ერთი საგზურისთვის იბრძვიან. "ნიურნბერგი", როგორც თასის ფინალისტი, ამ ტურნირზე უკვე მოხვედრილია. "ბაიერნს" კი, მორიგი ამხანაგური მატჩი აქვს კოტბუსში...

ვერცხლის სინი ყველას უნდა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შალკე	32	20	5	7	51-29	65
2. შტუტგარტი	32	19	7	6	56-34	64
3. ვერდერი	32	19	6	7	73-38	63
4. ბაიერნი	32	16	6	10	47-38	54
5. ნიურნბერგი	32	10	15	7	40-30	45
6. ლევერკუზენი	32	13	6	13	49-46	45
7. ჰანოვერი	32	12	8	12	40-44	44
8. ბოხუმი	32	12	6	14	45-47	42
9. ბორუსია (დ)	32	11	8	13	38-41	41
10. პერგა	32	11	8	13	46-51	41
11. კოტბუსი	32	11	8	13	37-44	41
12. ჰამბურგი	32	8	15	9	37-37	39
13. არმინია	32	10	9	13	43-46	39
14. აინტრახტი	32	8	13	11	43-55	37
15. ვოლფსბურგი	32	8	12	12	35-41	36
16. ალემანია	32	9	6	17	44-64	33
17. მაინცი	32	7	10	15	29-52	31
18. ბორუსია (მ)	32	6	8	18	23-39	26

როგორ დაიცავს ვიორნსი და როგორ შეუტევს კურანი?

რურის დიდი დერბი

დიდი ომი იქნება!

კურანი: ჩემპიონობა დორტმუნდში? ჩვენი ფანებისთვის ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?

დღეს, საღამოს ექვსის ნახევრიდან მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღება დორტმუნდისკენ იქნება მიპყრობილი. "დორტმუნდი"-"შალკე" - ჩვენი გერმანელი კოლეგები ამ მატჩს ყველა დროის ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელ დერბის უწოდებენ და თუ რატომ, ამაზე უკვე არაერთხელ ვწერდით. "ბორუსიის" კაპიტანმა **კრისტიან ვიორნსმა** სამიოდ დღის წინათ თქვა, ნებისმიერი ხერხით ვეცდებით, რომ "შალკეს" ჩვენს სტადიონზე ზეიმის საბაბი არ მიეცესო. გელზენკირხენელთა მთავარმეგოლე **კევინ კურანი** კი, რომელსაც 15 გოლი აქვს გატანილი, აცხადებს: *"პირობას ვდებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემპიონობა დორტმუნდში გავიფორმოთ. ჩვენი გულშემატკივრებისთვის ამაზე დიდი ბედნიერება წარმოუდგენელია!"* - "დორტმუნდი"-"შალკე" - ფეთქებადი და საინტერესო, როგორც არასდროს!

როგორც ვწერდით, გადამყიდველებმა ბილეთების გაყიდვა ინტერნეტში, ვებ-საიტ ebay-ს აუქციონზე დაიწყეს. ერთი ბილეთის ფასი 300 ევროდან იწყებოდა და 850 ევრომდე ადიოდა. საერთო ჯამში, დორტმუნდელებმა აუქციონზე გასაყიდად 900 ბილეთი გაიტანეს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა აბსოლუტურად ყველა აუქციონი შეაჩერეს. მიზეზი ის გახლავთ, რომ დიდი შანსი იყო, ბილეთი რომელიმე შალკელ ფანს შეეძინა და ასეთ შემთხვევაში, "ვესტფალენშტადიონზე" ის დორტმუნდელი ქომაგების გარემოცვაში მოხვდებოდა, რასაც მტერსაც კი არ უსურვებს კაცი.

ამას ემატება დისკუსია ბორუსიელთა მეგა-ბანერზე, რომელიც BVB-ს მაესურებში გადაცმულმა გელზენკირხენელებმა შარშან მოიპარეს და რომლის დაწვას პირველი წრის დერბიში გეგმავდნენ. "ვესტაფელშტადიონის" პრესმდივანი **ნორბერტ დიკელი** ამბობს: *"საკმარისია, დროა ბანერი, რომელიც ჩვენი სიამაყე იყო, გამოაჩინონ! თუმცა არა მგონია, რომ შალკელებმა ეს გააკეთონ. ამისთვის შური უნდა ვიძიოთ და მტრები ისე უნდა ავატიროთ, როგორც 2001 წელს ტიროდნენ!"*

თუმცა ამ "შალკეს" გამწარება არც ისე იოლია, მით უმეტეს, "დორტმუნდისთვის", რომელსაც საკუთარ მოედანზე მოსისხლე მტერთან 1998 წლის შემდეგ აღარ მოუგია. გელზენკირხენელთა ნახევარმცველი **ჰამით ალთინთოფი**, რომელმაც 2003 წელს, "აუფ შალკეზე" გამართულ დერბიში (2:2) BVB-ს ორი გოლი (ორივე შორი დისტანციიდან) გაუტანა, ამბობს: *"მოვიდა დრო, რომ რომან ვაიდენფელერი ისევ 30 მეტრიდან დავამწუხრო!"* "ბორუსიის" კარში გოლების გატანა კურანისაც სჩვევია (შარშან დუბლი შეასრულა): *"იმედი მაქვს, რომ შაბათსაც ვიხეირებ!"*

"თავს ისე ვგრძნობ, როგორც გლადიატორი, რომელმაც 80 000 მაყურებლის თვალწინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა იბრძოლოს!" - ეს კი "ბორუსიის" მარცხენა გარემარბ **დედეს** სიტყვებია...

გოტფრიდ ლენცი

მოსაზრება

ეფე: შალკე ნელსაც იტირებს

ეფენბერგი ჩემპიონობას ვერდერს უწინასწარმეტყველებს...

2001 წლის 19 მაისი "შალკეს" ისტორიაში ტრაგიკული დღეა და თუ რატომ, ეს ფაქტი შეხსენებას ალბათ, აღარ საჭიროებს. გოლი, რომელმაც გელზენკირხენულ კლუბს ჩემპიონობა უკანასკნელ წამებზე წაართვა, "ბაიერნი"-"ჰამბურგის" მატჩში, მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე **პატრიკ ანდერსონმა შტეფან ეფენბერგის** პასით გაიტანა. მიუნხენელთა მიერ გათამაშებული ის ჯარიმა ყველას გემახსოვრებათ. გეხსომებათ ისიც, თუ როგორ ტიროდნენ გელზენკირხენელები - ფეხბურთელები, ბოსები, ფანები.

ეფენბერგი დღეს ტელეკომპანია "პრემიერის" ექსპერტია. ის მიიჩნევს, რომ "შალკე" ვერც წელს გახდება ჩემპიონი. *"ვშიშობ, "შალკეს" ფანებს წლეულსაც ტირილი მოუწევთ. ჩემი აზრით, ჩემპიონი "ვერდერი" გახდება,* - აცხადებს ეფე და იქვე ამატებს, - *ყველაზე მეტად, ჩემპიონობას, რა თქმა უნდა, "შალკეს" ვუსურვებ, რადგან "ხუმარები" ნახევარი საუკუნეა, "ვერცხლის სინს" ელოდებიან. თანაც, 2001 წელს დიდი ტრაგედია გადაიტანეს და ალბათ, სამართლიანი იქნება, რომ ახლა ჩემპიონები გახდნენ. მაგრამ "შალკე" იმ სეზონს ვერასდროს დაივიწყებს. მაშინდელის გამო ყველაზე და ყველაფერზე შურისძიება, ცხადია, დიდი მოტივაციაა, მაგრამ ამავდროულად "შალკე" უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. არა მგონია, რომ მირკო სლომკას გუნდმა ამ წნეხს გაუძლოს და დორტმუნდში გაიმარჯვოს. დარწმუნებული ვარ, რომ "შალკე" "ვესტფალენშტადიონიდან" ერთ ქულაზე მეტს ვერ წაიღებს!"*

გელზენკირხენელთა ფან **დირკ ჰაფნერს** ეფენბერგის ამ სიტყვებზე ირონიულად ეცინება. ეს ის გულშემატკივარია, რომლის ფოტომაც, სადაც ის ცრემლებს აღვარღვარებდა, 2001 წლის მაისის ბოლოს, აბსოლუტურად ყველა გერმანული გამოცემის პირველი გვერდი მოიარა. ჰაფნერი დღეს 39 წლისაა და დარწმუნებულია, რომ ტირილი აღარ მოუწევს: *"ამჯერად ჩემპიონები ჩვენ გავხდებით, ცრემლებს კი "შტუტგარტის" ან "ვერდერის" ფანები დაღვრიან!"*

"2001 წელი დავიწყებულია, ისტორიაა. ამჯერად გაცილებით თავდაჯერებულები, მშვიდები და სტაბილურები ვართ!" - ეს სიტყვები კი **სლომკას** ეკუთვნის. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოთმინება ვიქონიოთ. ცოტაც და გავიგებთ, რა ელის შალკეს - ტირილი, თუ სიცილი...

გოტფრიდ ლენცი

შტეფან ეფენბერგი

ინტერვიუ ალესანდრო დელ პიეროსთან

ჩემპიონთა ლიგის პიმნი მომენატრა

ალექსი არ დაუშვებს, რომ მორალი უკითხონ...

მსოფლიოს ჩემპიონი სერია B-ში - პარადოქსია, მაგრამ ფაქტი. გერმანიაში ტრიუმფის შემდეგ, ალესანდრო დელ პიერო უცებ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის "იუვენტუსის" ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელშიც "ბიანკონერის" ტიფოზებს ეჭვი არ ეპარებოდათ. არც შემცდარან, რადგან დელ პიერო პირველი იყო, ვინც თქვა, ჩემს გუნდს მეორე ლიგაში მივყვებიო. სეზონის დამთავრდებამდე 5 ტურია დარჩენილი და "იუვეს" ელიტაში დაბრუნება თითქმის განაღდებული აქვს. ბოლონიელ ბელუჩისთან ერთად ალექსი სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირია (16 გოლით). გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც "სინიორას" კაპიტანს "კორიერე დელო სპორტმა" ჩამოართვა.

ალესანდრო დელ პიერო მეტოქეთა გარემოცვაში

- დელ პიერო, სერია A-მდე ერთი ნაბიჯი დაგრჩათ...

- ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ელიტაში დაბრუნება, რაც შეიძლება, სწრაფად გავინაღდოთ. თუმცა, საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა არა აქვს, სერია A-ს საგზურს დღეს მოვიპოვებთ, თუ ხვალ. მთავარია, რომ იქ ვბრუნდებით, სადაც "იუვენტუსის" ადგილია.

- როგორც იქნა, ეს კოშმარი დასასრულს მიუახლოვდა...

- სიმართლე გითხრათ, სულაც არ მიმაჩნია, რომ ეს სეზონი კოშმარი იყო. ჩემთვის არანაირი პრობლემა არ ყოფილა ის, რომ სერია B-ში მეთამაშა. ამ მეტად საინტერესო თავგადასავალში მონაწილეობა დიდი ენთუზიაზმით მივიღე და მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ყურადღება არაფრისთვის მიმექცია. ჩვენი ძველი დამსახურებები ლამის ყველამ დაივიწყა, "იუვესთვის" ეს სეზონი შეურაცხყოფა იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩვენი ადგილი სერია A-შია.

- იყო თუ არა ეს სეზონი თქვენთვის რთული?

- ჯერ ერთი, სეზონი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და შეჯამება მაინც ნაადრევია. "იუვემ" დიდი დარტყმა მიიღო და ძალიან რთული პერიოდი ჰქონდა, მაგრამ უამრავ პრობლემას, როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად გავუმკლავდით. ყველა სირთულე გადავლახეთ და ახლა მომდევნო სეზონს თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის.

- მოდით, შევაჯამოთ ის პერიოდი, რომელიც "იუვენტუსმა" უკან მოიტოვა.

- როგორც გახსოვთ, დიდი შანსი იყო, რომ სერია C-ში აღმოვჩენილიყავით, მაგრამ ბოლოს მაინც B-ში დაგვტოვეს, სადაც სეზონი მინუს 17 ქულით დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ 7 შეხვედრის მოგება მოვახერხეთ, მაინც სატურნირო ცხრილის ფსკერზე ვიმყოფებოდით, რაც ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, ძალიან რთული გასაგები და მისაღები იყო. სამაგიეროდ, ფსიქოლოგიური ზეწოლა დავძლიეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაქვეითების შემდეგ გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები წავიდა: არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა მიგვატოვა, მათ ნაცვლად კი, ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეები მოვიდნენ. ძველი გუნდიდან მხოლოდ ისინი დავრჩით, ვისაც "იუვენტუსზე" მართლა შესტკიოდა გული და "იუვესთან" ერთად სერია B-ში დაქვეითება არ ეთაკილებოდა. სიმართლე გითხრათ, ერთი მხრივ კარგიც იყო ის, რომ დაგვაქვეითეს - ყველა ფეხბურთელმა თავისი ნამდვილი სახე წარმოაჩინა. გარდა ამისა, შეიცვალა ხელმძღვანელობაც და ესეც არ იყოს, ისეთ გუნდებთან მოგვიხდა ჭიდილი, რომლებსაც მანამდე არ ვიცნობდით. "იუვე" ასეთ სიტუაციაში არასდროს ყოფილა და ამ მხრივ მართლაც გაგვიჭირდა, მაგრამ ყველაფერს მალევე ავუღეთ ალღო.

- და საბოლოო ჯამში?

- საბოლოო ჯამში, ჩინებული სეზონი ჩავატარეთ და გვინდა, რომ ის მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ. მერე კი, ელიტაში ღირსეული დაბრუნებისთვის უნდა მოვემზადოთ.

- სერია A-ში დაბრუნებას იზეიმებთ?

- აუცილებლად! და ძალიან მინდა, რომ გულშემატკივრებმაც ჩვენთან ერთად იზეიმონ. მინდა, ტურინის ქუჩები ზუსტად ისე გადაიჭედოს, როგორც სკუდეტოს მოგებისას. მთავარია, რომ სპორტული სულისკვეთება შევინარჩუნოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სერია B-ს და მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის მოგება ერთმანეთისგან არ უნდა განვასხვავოთ - იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ დღეში ჩავარდნილი "იუვესთვის", იტალიის მეორე ლიგაში პირველ ადგილზე გასვლა, ჩემპიონთა ლიგის მოგების ტოლფასია.

- როგორ გგონიათ, რას მიაღწევს "იუვე" მომდევნო სეზონში?

- მე ვიცი, რომ არ შევცდი, როცა ჩემი ბედი ამ გუნდს დავუკავშირე. იმედია, ჩემი სახელით აღარავინ სპეკულირებს, ახლა ხომ მაინც გაიგო ყველამ, რომ დელ პიერო "იუვენტუსს" არასდროს დატოვებს. სიმართლე გითხრათ, ძალიან თავდაჯერებული ვარ, თუმცა ვნახოთ, რას გვიქადის მომავალი სეზონი. მთავარია, რომ გუნდური სულისკვეთება შევინარჩუნოთ, რადგან ეს ყოველთვის გადამწყვეტი ფაქტორია.

- თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?

- ვფიქრობ, საჭირო აღარაა იმის გამეორება, რომ გუნდში ვრჩები. იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, ეს ფაქტია. მაგრამ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან ამ სეზონმა ამის საფუძველი მომცა.

- არაა გამორიცხული, რომ ჯიჯი ბუფონი, დავიდ ტრეზეგე და მაურო კამორანეზი "იუვენტუსიდან" წავიდნენ. არ ფიქრობთ, რომ მათი მხრიდან ასეთ დროს წასვლა აბსურდული და "სინიორასთვის" შეურაცხმყოფელი იქნება?

- ყველას თავისი მოსაზრება აქვს. მე ვიცი, რომ ვრჩები და ისიც ვიცი, რომ რჩება ნედვედიც.

- ნუთუ თქვენ და ნედვედი არ ესაუბრებით მათ და არ ცდილობთ, დაარწმუნოთ, რომ დარჩნენ?

- რა თქმა უნდა, ყოველთვის ამ თემაზე ვსაუბრობთ. მე სულ ვამბობ, რომ ყველა ის ფეხბურთელი, ვისი გაშვებაც ხელმძღვანელებს არ უნდათ, გუნდში უნდა დარჩნენ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გადავიტანეთ. მაგრამ მე ის ადამიანი არ ვარ, რომ სხვები ზეწოლის ქვეშ მოვაქციო. ვერავის ვერაფერს ვაიძულებ. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩემს ბრძანებებს ასრულებდა, ანჯელო დი ლივიო იყო (იცინის).

- გულახდილად გვითხარით, თქვენ არ ფიქრობდით იმაზე, რომ უმჯობესი იქნებოდა, სხვა გუნდში გადასულიყავით?

- გულახილად გეუბნებით, ასეთი რამ არც კი მიფიქრია. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი, ან "მილანთან" თამაში ძალიან მომენატრა.

- ხელმძღვანელებს ახალი კონტრაქტის შესახებ უკვე ესაუბრეთ?

- არა, რადგან ჩვენ შევთანხმდით, რომ ახალ ხელშეკრულებაზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებთ, როცა "იუვენტუსი" ელიტის საგზურს ოფიციალურად გაიფორმებს, ანუ მაშინ, როცა ამისთვის მოვიცლით. ვფიქრობ, არანაირი პრობლემა არ იქნება, რადგან ისედაც ყველაფერი ნათელია, თანაც, ჩემს კონტრაქტს ვადა 2008 წელს ეწურება.

- ხელმძღვანელებს რჩევებს თუ აძლევთ?

- რა მხრივ?

- მაგალითად, ვინ იყიდონ ან ვინ გაუშვან...

- თუკი ჩემი მოსაზრებით დაინტერესდებიან, მზად ვარ, რასაც ვფიქრობ ყველაფერი ვთქვა.

- როგორ "იუვეს" ვიხილავთ გაისად?

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. პირველ რიგში, "იუვემ" თავისი ტრადიციები და ხასიათი უნდა შეინარჩუნოს. "სინიორა" ყოველთვის ერთ მუშტად შეკრული გუნდი იყო, ასე იქნება გაისადაც. მოედანზე ყველა ფეხბურთელი 110 პროცენტით უნდა დაიხარჯოს!

- ბევრი ფიქრობს, რომ ექსტრაკლასის ფეხბურთელები "იუვეში" გადასვლას აღარ მოისურვებენ...

- თუ მხოლოდ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდი სერია A-ში ახალი დაბრუნებული იქნება, მაშინ აქ გადმოსვლა წესით არავის უნდა მოუნდეს. მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს უდიდესი ისტორიისა და წარსულის მქონე კლუბია, რომელიც ძველ დიდებას სულ მალე დაიბრუნებს. ვისაც "ბიანკონერის" მაისურის მორგება მოუნდება, ისიც უნდა იცოდეს, რომ "იუვენტუსისთვის" დიდების დაბრუნება მისი ვალიც იქნება.

- "ინტერის" ჩემპიონობაზე რას ფიქრობთ?

- "ნერაძურის" გაჩემპიონება უკვე მივულოცე. მართალია, ეს სეზონი ძალიან უღიმღამო და უინტერესო გამოვიდა, რადგან "ინტერს" სერიოზული კონკურენტი არ ჰყოლია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ "ნერაძური" ძალიან კარგად, შესანიშნავად გამოიყურებოდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან წუნუნს და "იუვენტუსისკენ" ხელების შვერას ყველა მოეშვება.

- დატოვა თუ არა კალჩოპოლიმ კვალი?

- "იუვემ" შეცდომები დაუშვა და ამისათვის უკვე დაისაჯა, თანაც ძალიან მკაცრად. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უნდა შეწყდეს საუბრები იმის შესახებ, რომ იტალიაში ბოლოს და ბოლოს სამართლიანი ჩემპიონატი ჩატარდა და რომ ეს სკუდეტოს სუფთაა. მორალისტი არ ვარ, მაგრამ არ დავუშვებ, რომ მორალი მიკითხონ!

- პატრიკ ვიეირა ამბობს, "მილანს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ ჰქონდაო...

- მართალია, იუსტიციამ არალოგიკური გადაწყვეტილებები მიიღო, მაგრამ ვინც "მანჩესტერთან" "მილანის" გრანდიოზულ თამაშს თვალი ადევნა, ვერ იტყვის, რომ "როსონერი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ღირსი არ იყო...

- ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დღესაც ნერვები გეშლებათ იმის გამო, რაც ზაფხულში მოხდა და თავს დაჩაგრულად გრძნობთ...

- როცა საქმე კალათბურთის კლუბ "ბენეტონს" ეხებოდა, ყველაფერი გასაგები იყო. ეს გუნდი სამაგალითოდ დასაჯეს. ხოლო კალჩოპოლის შემთხვევაში კი, მოსამართლეები გარკვეულ კომპრომისებზე წავიდნენ. არადა, კანონი დამთმობი არ უნდა იყოს. იყო საქმეები, სადაც ფეხბურთელებს ყალბი პასპორტები აღმოუჩინეს, სხვადასხვა გუნდს კი ორმაგი ბუღალტერია, მაგრამ არცერთი დამნაშავე არ დასჯილა. როცა ასეთ ფაქტებს ხედავ, ძალაუნებურად პროტესტის გრძნობა გიჩნდება. კალჩოპოლიშიც ბევრი დაინდეს...

- დიდიე დეშამზე რას ფიქრობთ?

- როგორც უკვე გითხარით, "იუვემ" შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. ამ წარმატებებში დეშამმა ერთ-ერთი უმთავრესი როლი შეასრულა და მე მიკვირს, რომ არსებობს ხალხი, რომლებიც მის გადადგომას მოითხოვენ.

- ახლა ყველა ამბობს, ისედაც ნათელი იყო, რომ "იუვე" ელიტაში უპრობლემოდ დაბრუნდებოდაო...

- ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ვინც ამას ამბობს, ეტყობა, მიმდინარე სეზონში ჩვენი არცერთი თამაში არ უნახავს, თორემ დაინახავდა, რაოდენ ძნელი იყო "იუვესთვის" თითოეული ქულის აღება...

გოტფრიდ ლენცი

მილანი

რონალდო ეტოოსთან ფანტასტიკურ ტანდემს შექმნის

გალიანიმ და ანჩელოტიმ ბრაზილიელის თანხმობა მიიღეს

როგორც ჩანს, „მილანი“ **სამუელ ეტოოს** შეძენაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ „როსონერის“ ხელმძღვანელობამ კამერუნელი ფორვარდი უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა. ბოროტი ენების თქმით, **სილვიო ბერლუსკონიმ რონალდინიოს** ხელში ჩაგდების იმედი დაკარგა და მთელი ძალისხმევა სწორედ ეტოოსკენ მიმართა. გუშინ იტალიურმა სააგენტობმა ახალი ინფორმაცია გაავრცელეს. **ადრიანო გალიანი** და **კარლო ანჩელოტი რონალდოს** შეხვდნენ და ჰკითხეს, სამუელთან ერთად თამაშზე რას ფიქრობდა. გაირკვა, რომ ბრაზილიელ ფორვარდს „ბარსელონის“ ვარსკვლავის სანინააღმდეგო არაფერი აქვს. პირიქით, რონალდო ბედნიერი იქნება, თუ ეტოო მისი მეწყვილე გახდება. მას სჯერა, რომ ისინი ფანტასტიკურ ტანდემს შექმნიან. „ლა გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, გალიანი სამხრეთამერიკელის პასუხით აღფრთოვანებული დარჩა. მილანური გაზეთის ჟურნალისტები დარწმუნებულები არიან, რომ აპენინური გრანდი ამიერიდან საქმეს მთელი სერიოზულობით მოჰკიდებს ხელს და აფრიკელ სუპერფორვარდს „სან სიროზე“ ჩაიყვანს.

შტუტგარტი

გომესი ბრუნდება

ბოხუმი ვალის დაბრუნებას ითხოვს

"შტუტგარტის" გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ მათი საყვარელი გუნდი შაბათს ბოხუმში გაიმარჯვებს და რომ ლიდერი "შალკე" დორტმუნდში წაიფორხილებს. ასეთ შემთხვევაში, გერმანიის პირველობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, პირველ ადგილზე შვაბები გადავლენ და ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატები გახდებიან (ბოლო ტურში შვაბები "კოტბუსს" მასპინძლობენ). გუშინ გერმანულმა საინფორმაციო სააგენტოებმა VFB-ს ფანებისთვის მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელეს: შვაბთა გოლეადორი **მარიო გომესი** გამოჯანმრთელდა და შაბათს ასპარეზობა შეუძლია. თუმცა გარკვეულია, რომ 90 წუთს ვერ ითამაშებს, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე იქნება და მოედანზე შესვლა ნებისმიერ მომენტში შეეძლება.

"ტკივილები აღარ მაწუხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მზად ვარ, თანაგუნდელებს დავეხმარო. არანაირი პრობლემა აღარ მაქვს და არც იმის მეშინია, რომ ტრავმას გავირთულებ," - აცხადებს ფორვარდი, რომელიც ტრავმის მიღებამდე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო (13 გოლი). გომესი ბრუნდება და საინტერესოა, უფრთხიან თუ არა მას ბოხუმელები. *"მარიო, რა თქმა უნდა, ჩინებული ფორვარდია, მაგრამ რომც ითამაშოს, ფორმაში არაა და მისგან სერიოზულ საფრთხეს არ ველით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ "შალკეს" შემდეგ "შტუტგარტიც" დავამარცხოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში, უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსი გვიჩნდება. ესეც არ იყოს, შვაბებს ჩვენი ვალი აქვთ: პირველ წრეში, "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" უიღბლოდ დავმარცხდით (0:1), თასზე 4:1 მოგვიგეს, ასე რომ, ვალის დაბრუნებისა და შურისძიების დრო მოვიდა!"* - აცხადებს ბოხუმელთა მთავარი მწვრთნელი **მარსელ კოლერი**.

ამასობაში, შვაბთა მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერს** შემოსწყრა. ამ უკანასკნელმა ორი დღის წინ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, გერმანიის ჩემპიონობას ყველაზე მეტად "შალკე" იმსახურებს, რადგან ამ გუნდმა 2001 წელს ტრაგიკულად დაკარგა პირველი ადგილიო. ფეე ცვანციგერის ამ განცხადებამ გააოგნა: *"რას ნიშნავს ეს? რატომ ამბობს DFB-ის პრეზიდენტი ასეთ რამეს? რატომ იმსახურებს "შალკე" ჩემპიონობას ჩვენზე მეტად?"* - სამართლიანად გაკვირვებულია "შტუტგარტის" თავკაცი.

ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ისტორიული სირცხვილი

ხეტაფე-ბარსელონა 4:0 (2:5)

ბერნდ შუსტერის "ხეტაფემ" "ბარსელონას" უმძიმესი მარცხი აგემა. ესპანეთის თასის ნახევარფინალში, პირველი მატჩის 2:5 წაგების შემდეგ, ხეტაფელებმა კატალონიური გრანდი მინასთან გაასწორეს, 4:0. "ბარსელონა", რომელსაც სამეფო თასი 24-ჯერ აქვს მოპოვებული, ასეთი უსუსური არავის უნახავს. მასპინძლებმა ისინი პირველივე წუთებიდან შეავიწროვეს. ანგარიში 38-ე წუთზე გაიხსნა: **ფრანსისკო კასკერომ** კუთხურის გათამაშებისას გაიტანა. ხუთ წუთში **დანიელ გუისამ ჯანლუკა ძამბროტას** შეცდომით ისარგებლა: **ალბერტ ხორკერამ** იერიშის მოგერიება ვერ შეძლო, 2:0. მეორე ტაიმის 25-ე წუთზე **ანხელ ვივარ დორადომ** მესამედ აიღო სტუმრების კარი. ორი მატჩის ჯამში ეს უკვე ხეფატელთა უპირატესობას ნიშნავდა. გუისამ სტუმარი მცველების კიდევ ერთი შეცდომით ისარგებლა და ანგარიშს კატასტროფული სახე მისცა. *"ეს მატჩი იმის დასტურია, თუ რა დიდებული თამაშია ფეხბურთი. ჩვენ ბრწყინვალენი ვიყავით, ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ფეხბურთში იმდენი რამ გამომიცდია და მინახავს, რომ ზუსტად ვიცი: გამარჯვება ყოველთვის შეიძლება. დღეს "ხეტაფე" შეუდარებელი იყო,"* - თქვა ნამატჩევს ბერნდ შუსტერმა.

გერმანელი მწვრთნელი მიმომხილველებს მთელი კვირა არწმუნებდა, ფინალში გასვლის შანსი კიდევ გვაქვსო. თავის მხრივ, მიმომხილველებს და ალბათ, "ბარსელონის" ფეხბურთელებსაც ეგონათ, რომ საპასუხო შეხვედრა წმინდა წყლის ფორმალობა იქნებოდა. ისინი მწარედ მოტყუვდნენ. "ხეტაფეს" მეტოქის დამწუხრება პირველივე იერიშისას შეეძლო. გუისა ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ დააყოვნა. **ოლეგერი** ფეხებში ჩაუხტა და მდგომარეობა განიმუხტა. სამ წუთში სტუმართა კართან ისევ ჩამოცხა. **მარის ვერპაკოვსკისმა** გუისას კარგი პასი გაუკეთა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან აიცილა. ტაიმის მიწურულს ხეტაფეს "კოლისეო" კინაღამ ჩამოიქცა. ხუთი წუთის შუალედით ორი გოლის გატანამ ფეხურთელები და 17 ათასი ფანი ბრძოლით ჟინით აანთო. "ხეტაფე" თამაშის განახლებისთანავე ეკვეთა მეტოქეს. შუსტერის შეგირდები თითოეული ბურთისათვის კბილებით იბრძოდნენ. 71-ე წუთზე სხვაობა სამ ბურთამდე გაიზარდა. "ბარსელონამ" გონს მოუსვლელად გაუშვა მეოთხე გოლიც. სტადიონი ექსტაზმა მოიცვა.

თამაშის შემდეგ **ფრანკ რიიკაარდი** გაფითრებული და გაოგნებული იყო: *"ცხოვრებაში ასეთი მძიმე განცდები იშვიათად მქონია. განადგურებული ვარ. ჩვენ ერთად ვიმარჯვებთ და ერთად ვმარცხდებით. როგორც მწვრთნელს, მომხდარის გამო პასუხისმგებლობას სრულად ვაცნობიერებ. "ხეტაფემ" გამარჯვება დაიმსახურა. მათ უნდა მივულოცოთ. "ბარსელონის" ფანებს კი პატიებას ვთხოვ. წარმომიდგენია, რა ხდება მათ გულებში."*

კითხვაზე, იმოქმედებს თუ არა ეს მარცხი კატალონიელების სალიგო შანსებზე, რიიკაარდმა მიუგო: *"თავს უნდა მოვერიოთ. საქმეს ცივი გონებით უნდა მივუდგეთ. ამ წუთას ქომაგებს და ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი რამ შეიძლია, ვუთხრა: ერთსულოვნება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. მძიმე წუთებში ერთსულოვნებას განსაკუთრებული ფასი აქვს."*

კომენტარი გააკეთა "ბარსელონის" პრეზიდენტმა **ხოან ლაპორტამაც**: *"ეს ჩემი მმართველობის უბნელესი ღამეა. რა გაეწყობა? წინ უნდა გავიხედოთ და ლიგის ღირსეულად დასრულებაზე ვიფიქროთ. რთული იქნება, მაგრამ მაინც შეგვიძლია, სეზონი ტრიუმფით დავასრულოთ. ჩემპიონატის მოგება ნამდვილად შეგვიძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვახერხოთ."*

ბერნდ შუსტერი ბარსელონის რბევას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო თასზე გასვლა შეიძლება გაჭირდეს

მსოფლიო თასი

შერჩევის წესი იცვლება

IRB-ის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო სისტემაში, რომელიც, რაგბის მამების თქმით, დღევანდელობის გათვალისწინებით და მსოფლიო თასის პრესტიჟის კიდევ უფრო ამაღლებისთვის მიიღეს. მსოფლიო თასზე ავტომატურად მოხვედრილ ნაკრებთა რიცხვი 12-მდე გაიზრდება. ანუ წლევანდელ მსოფლიო თასზე, რომელიც საფრანგეთში გაიმართება და მასში ისტორიაში მეორედ საქართველოს ეროვნული ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას, თითოეულ ჯგუფში (ასეთი კი ოთხია) სამ-სამი ნაკრები ავტომატურად მოიპოვებს 2011 წლის მსოფლიო თასის (რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართება) საგზურს. საფრანგეთში "ბორჯღალსნები" D ჯგუფში მოხვდნენ ფრანგებთან, ირლანდიელებთან, არგენტინელებთან და ნამიბიელებთან ერთად. ამ გადასახედიდან ადვილი სავარაუდოა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ავტომატურად ვერ დაიბევებს 2011 წლის მსოფლიო თასის საგზურს.

დანარჩენი საგზურებისთვის IRB ახალ ტურნირს შემოიღებს, "მსოფლიო ტროფის", სადაც რეგიონული ტურნირებიდან (ევროპა, აფრიკა, ოკეანეთი, აზია და ამერიკა) გასულები ითამაშებენ. მსოფლიო ტროფი 2010 წელს გაიმართება ერთ ქვეყანაში. ჯერ დაუდგენელია, თუ რამდენი ნაკრები მოიპოვებს ამ ტურნირზე თამაშის უფლებას და რამდენი მოხვდება 2011 წლის მსოფლიო თასზე. თუ მსოფლიო თასზე მონაწილეთა რიცხვს არ შეცვლიან, მაშინ ტროფიზე 8 საგზური გათამაშდება, თუკი მონაწილეთა რიცხვს 16-მდე შეამცირებენ - ოთხი. ჩვენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო თასზე მონაწილეთა რიცხვი 16 გახდება, "ბორჯღალსნებისთვის" 2011 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრა ურთულესი საქმე იქნება, თუ არადა და ყველაფერი იოლდება.

შეიცვალა ასაკობრივ შეჯიბრთა სტრუქტურაც, 19 და 21-წლამდელთა მსოფლიო თასების ნაცვლად გაიმართება ერთი შეჯიბრი - მსოფლიო ჩემპიონატი 20-წლამდელთა შორის. მსოფლიო ჩემპიონატზე 12 მონაწილის მაგივრად 16 იქნება, რაც ქართველთა შანსებს ზრდის. "მსოფლიო ტროფი" აქაც გაიმართება და მასში რვა 20-წლამდელთა ნაკრები ითამაშებს. ცვლილებები 2008 წლიდან შედის ძალაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ჩემპიონატი. შვიდკაცა

უშბას თასი შვიდკაცასთვის

დღეს და ხვალ ვაკეში, მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მოედანზე შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება. შეჯიბრებაში გენერალური სპონსორის, კომპანია "უშბას" სახელობის თასი გათამაშდება. ჩემპიონატში , რომელიც სამ ეტაპად გაიმართება, 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ქულების დარიცხვა შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის ანალოგიურად მოხდება.

A ჯგუფი: რუსთავი, უნივერსიტეტი, ლელო,აია,ლოკომოტივი1,ლოკომოტივი2

B ჯგუფი: აკადემია, დევები, ყოჩები1, ყოჩები 2, დინამო, არმაზი

ბესიკ ჯანგავაძე

თეორია

გიუტაშვილი რომა. დაიბადა 11.05.1937, თბილისი. ალპინიზმი. ევერესტის დამლაშქრავი პირველი ქართველი მთამსვლელი (1991, სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში). სსრკ ჩემპიონი სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში (1979, ტაჯიკეთის უნივერსიტეტის პიკი) და მეორე პრიზიორი (1977, ევგენი აბალაკოვის პიკი), 5-5-ჯერ ავიდა კომუნიზმის, ლენინისა და კორჟენევსკაიას პიკებზე. "თოვლის ჯიქი" (1989). მრავალი ასვლის ხელმძღვანელი ტიან-შანისა და პამირის მთებში, რუსეთის ალპინიზმის ფედერაციის საკლასიფიკაციო კომისიის მუდმივი წევრი 1997 წლიდან.

ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ისტორიული სირცხვილი

ხეტაფე-ბარსელონა 4:0 (2:5)

ბერნდ შუსტერის "ხეტაფემ" "ბარსელონას" უმძიმესი მარცხი აგემა. ესპანეთის თასის ნახევარფინალში, პირველი მატჩის 2:5 წაგების შემდეგ, ხეტაფელებმა კატალონიური გრანდი მინასთან გაასწორეს, 4:0. "ბარსელონა", რომელსაც სამეფო თასი 24-ჯერ აქვს მოპოვებული, ასეთი უსუსური არავის უნახავს. მასპინძლებმა ისინი პირველივე წუთებიდან შეავიწროვეს. ანგარიში 38-ე წუთზე გაიხსნა: **ფრანსისკო კასკერომ** კუთხურის გათამაშებისას გაიტანა. ხუთ წუთში **დანიელ გუისამ ჯანლუკა ძამბროტას** შეცდომით ისარგებლა: **ალბერტ ხორკერამ** იერიშის მოგერიება ვერ შეძლო, 2:0. მეორე ტაიმის 25-ე წუთზე **ანხელ ვივარ დორადომ** მესამედ აიღო სტუმრების კარი. ორი მატჩის ჯამში ეს უკვე ხეფატელთა უპირატესობას ნიშნავდა. გუისამ სტუმარი მცველების კიდევ ერთი შეცდომით ისარგებლა და ანგარიშს კატასტროფული სახე მისცა. *"ეს მატჩი იმის დასტურია, თუ რა დიდებული თამაშია ფეხბურთი. ჩვენ ბრწყინვალენი ვიყავით, ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ფეხბურთში იმდენი რამ გამომიცდია და მინახავს, რომ ზუსტად ვიცი: გამარჯვება ყოველთვის შეიძლება. დღეს "ხეტაფე" შეუდარებელი იყო,"* - თქვა ნამატჩევს ბერნდ შუსტერმა.

გერმანელი მწვრთნელი მიმომხილველებს მთელი კვირა არწმუნებდა, ფინალში გასვლის შანსი კიდევ გვაქვსო. თავის მხრივ, მიმომხილველებს და ალბათ, "ბარსელონის" ფეხბურთელებსაც ეგონათ, რომ საპასუხო შეხვედრა წმინდა წყლის ფორმალობა იქნებოდა. ისინი მწარედ მოტყუვდნენ. "ხეტაფეს" მეტოქის დამწუხრება პირველივე იერიშისას შეეძლო. გუისა ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ დააყოვნა. **ოლეგერი** ფეხებში ჩაუხტა და მდგომარეობა განიმუხტა. სამ წუთში სტუმართა კართან ისევ ჩამოცხა. **მარის ვერპაკოვსკისმა** გუისას კარგი პასი გაუკეთა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან აიცილა. ტაიმის მიწურულს ხეტაფეს "კოლისეო" კინაღამ ჩამოიქცა. ხუთი წუთის შუალედით ორი გოლის გატანამ ფეხურთელები და 17 ათასი ფანი ბრძოლით ჟინით აანთო. "ხეტაფე" თამაშის განახლებისთანავე ეკვეთა მეტოქეს. შუსტერის შეგირდები თითოეული ბურთისათვის კბილებით იბრძოდნენ. 71-ე წუთზე სხვაობა სამ ბურთამდე გაიზარდა. "ბარსელონამ" გონს მოუსვლელად გაუშვა მეოთხე გოლიც. სტადიონი ექსტაზმა მოიცვა.

თამაშის შემდეგ **ფრანკ რიიკაარდი** გაფითრებული და გაოგნებული იყო: *"ცხოვრებაში ასეთი მძიმე განცდები იშვიათად მქონია. განადგურებული ვარ. ჩვენ ერთად ვიმარჯვებთ და ერთად ვმარცხდებით. როგორც მწვრთნელს, მომხდარის გამო პასუხისმგებლობას სრულად ვაცნობიერებ. "ხეტაფემ" გამარჯვება დაიმსახურა. მათ უნდა მივულოცოთ. "ბარსელონის" ფანებს კი პატიებას ვთხოვ. წარმომიდგენია, რა ხდება მათ გულებში."*

კითხვაზე, იმოქმედებს თუ არა ეს მარცხი კატალონიელების სალიგო შანსებზე, რიიკაარდმა მიუგო: *"თავს უნდა მოვერიოთ. საქმეს ცივი გონებით უნდა მივუდგეთ. ამ წუთას ქომაგებს და ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი რამ შეიძლია, ვუთხრა: ერთსულოვნება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. მძიმე წუთებში ერთსულოვნებას განსაკუთრებული ფასი აქვს."*

კომენტარი გააკეთა "ბარსელონის" პრეზიდენტმა **ხოან ლაპორტამაც**: *"ეს ჩემი მმართველობის უბნელესი ღამეა. რა გაეწყობა? წინ უნდა გავიხედოთ და ლიგის ღირსეულად დასრულებაზე ვიფიქროთ. რთული იქნება, მაგრამ მაინც შეგვიძლია, სეზონი ტრიუმფით დავასრულოთ. ჩემპიონატის მოგება ნამდვილად შეგვიძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვახერხოთ."*

ბერნდ შუსტერი ბარსელონის რბევას ზეიმობს

არსენალი. ტრანსფერები

ვენგერმა მოტა და სავიოლა მოიკითხა

22 წლის პოლონელი მეკარე ლემანის კონკურენტი იქნება

არსენ ვენგერი ბარსელონელი **ტიაგო მოტას** ტრანსფერზე ფიქრობს. ბრაზილიელი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტი ხდება. მას **ფრანკ რიიკაარდთან** უთანხმოება აქვს. ფეხბურთელს ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებენ. "ელ მუნდო დეპორტივო" გვაუწყებს, რომ "არსენალის" გარდა, ტიაგოს "აიაქსიც" აკვირდება. ამსტერდამელთა თავკაცი **ჰენკ ითენ კეიტი** "ბარსელონის" ყოფილი მეორე მწვრთნელია. მას მოტასთვის სარფიანი კონტრაქტის შეთავაზება სურს.

"არსენალისა" და კატალონიური გრანდის გზება შეიძლება მეორედაც გადაიკვეთოს. ვენგერი **ხავიერ სავიოლას** ტრანსფერზეც ფიქრობს. არგენტინელ თავდამსხმელს ხელშეკრულება ივნისში უმთავრდება. მასთან თანამშრომლობა "ატლეტიკოსა" და "იუვენტუსს" სურთ. გაიჟღერა "რეალის" სახელმაც. და აი, სიას დაემატა "არსენალი". მოსიე არსენი შეეცდება, ბაჭიას წინასწარი კონტრაქტი გაფორმოს. "დეილი მეილის" ცნობით, "არსენალმა" **ტიერი ანრის** შემადგენლობის გაძლიერება აღუთქვა. სავიოლას შეძენის მცდელობა, შეიძლება, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყოს.

ვენგერი ამბობს, რომ **ვილიამ გალასი** არ იყიდება. "ჩელსიდან" ტრანსფერის შემდეგ ფრანგმა მცველმა ის ეფექტი ვერ მოახდინა, რასაც ელოდნენ. გავრცელდა ხმები მისი შესაძლო აბარგების თაობაზე, მაგრამ მწვრთნელმა განმარტა, რომ გალასს მის საგაისო გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: *"ტრავმების გამო ვილიამს ძალიან ბევრი გაუცდა. თავდაპირველად ადაპტაციის პერიოდი ჰქონდა. გამოჯანმრთელების შემდეგ თითქოს ფეხშეკრული თამაშობდა, მაგრამ ბოლო სამი-ოთხი თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა. დარწმუნებული ვარ, გაისად საუკეთესო გალასს ვიხილავთ."*

"მეთოფეების" თავკაცმა მიმომხილველებს უკვე მიღწეული შეთანხმების დეტალებიც გაუმხილა. მომავალი სეზონიდან "არსენალში" ითამაშებს პოლონეთის ნაკრების ახალგაზრდა მეკარე **ლუკაშ ფაბიანსკი**. ის 22 წლისაა და დღემდე ვარშავის "ლეგიის" ღირსებას იცავდა. ვენგერი ამბობს, რომ ფაბიანსკი **იენს ლემანის** სრულფასოვანი კონკურენტი გახდება: *"მასში მომავალი დიდი მეკარე დავინახეთ. უფრო მეტი მისი ჩამოსვლის შემდეგ გვეცოდინება. ყველაფერს ვარჯიში და თამაში გამოაჩენს. ძირითადში მოხვედრის შანსი ყველას თანაბარი აქვს."* მხარეებმა წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს. ტრანსფერი სეზონის დასრულებისთანავე შედგება.

დაფი ექვსი თვე დაისვენებს

"ნიუკასლის" გარემარბ **დემიენ დაფს** ექვსთვიანი დასვენება ემუქრება. ირლანდიელს ტერფის ოპერაცია გაუკეთეს. ის სარეაბილიტაციო პერიოდს დუბლინში გაატარებს. ქირურგების ცნობით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მუხლის მყესები მძიმედ იყო დაშავებული. ასეთი ტრავმების მოშუშებას კი მინიმუმ ექვსი თვე სჭირდება. დაფი 14 აპრილს, "პორტსმუთთან" მატჩისას დაშავდა და მას მერე შვებულებაში იმყოფება.

პროფილაქტიკური ოპერაცია ვუდგეიტს

ჯონათან ვუდგეიტი ესტონეთთან საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებს. "მიდლსბროს" ცენტრალურ მცველს მუხლზე პროფილაქტიკურ ოპერაციას გაუკეთებენ. ეს უმნიშვნელო ქირურგიული ჩარევა იქნება. მაგრამ საკმარისად სერიოზული იმისათვის, რომ ფეხბურთელმა მთელი ივნისის განმავლობაში დაისვენოს. 27 წლის ფეხბურთელმა რივერსაიდელებთან ხანგრძლივი კონტრაქტი ერთი თვის წინ გააფორმა. იქამდე ის "რეალის" საკუთრება იყო და "ბოროში" იჯარით წესით თამაშობდა. ესტონეთთან შეხვედრა 6 ივნისს გაიმართება. იქამდე, 1 ივნისს, ინგლისელები ბრაზილიას უმასპინძლებენ. ეს ნაკრების პირველი მატჩი იქნება განახლებულ "უემბლიზე".

გალის სასჯელი ემუქრება

"ტოტენჰემის" მცველ **ჰოსამ გალის** ორკვირიან ხელფასს ჩამოაჭრიან. "ბლექბერნთან" ხუთშაბათის მატჩისას (1:1) ის **სტიდ მალბრანკის** ნაცვლად შეუშვეს, 31 წუთში კი **რობი კინით** შეცვალეს. ეგვიპტელმა ლეგიონერმა მწვრთნელის გადაწყვეტილება იწყინა და მინდვრიდან გასვლისას მაისურა მოისროლა. ფანებმა უმალ სტვენა აუტეხეს. **მარტინ იოლი** შეუვალი იყო: *"ამ კლუბში ყველასათვის სავალდებულო ქცევის ნორმები მოქმედებს. არავის აქვს უფლება, მაისურს ასე უდიერად მოეპყრას, დიმიტარ ბერბატოვი იქნება ის, თუ რობი კინი. ასე რომ, ჰოსას პასუხის გაცემა მოუწევს."*

ნალდოს ბრემენში რჩება

მიროსლავ კლოზესა და **ტორსტენ ფრინგსის** შემდეგ, "ვერდერში" დარჩენა ბრაზილიელმა მცველმა **ნალდომაც** გადაწყვიტა. "კიკერის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 24 წლის ნალდომ "ბუსიკოსებთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2012 წლამდე იმოქმედებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ალიევის თასიდან ნონას ჭურნირამდე

ბაქოში დასრულდა ჰეიდარ ალიევის სახელობის მეორე საჭადრაკო ფესტივალი. გამარჯვებული გერმანელი **არკადი ნაიდიჩი** (2654) გახდა. ნაიდიჩი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად კი მიიჩნეოდა, მაგრამ სატურნირო დისტანციაზე არათანაბრად მიდიოდა და დანაკარგი ბოლ ტურებში აინაზღაურა. მეცხრე ტურში კი შავებით ხვდებოდა რეიტინგ-ფავორიტ **ნაიჯელ შორტს**. ორივეს 6,5 ქულა მოეგროვებინა და გამარჯვებით პირველობას ინაღდებდნენ. შავებით ნაიდიჩმა მოიგო.

სამწუხაროდ, ლიდერთა შორის ქართველები ვერ მოხვდნენ. საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა **ბაჩანა მორჩიაშვილს**, რომელმაც 6.5 ქულით მეთორმეტე ადგილზე დაასრულა შეჯიბრება. ბაჩანას კარიერაში ეს უმნიშვნელოვანესი შედეგია და მილოცვაც ერგება.მორჩიაშვილს საერთაშორისო ოსტატის ნორმატივიც უნდა შეესრულებინა, შესაძლოა, დიდოსტატისაც.

საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულეს **დავით ლომსაძემ** და **ლუკა პაიჭაძემ, თორნიკე სანიკიძემ** კი დიდოსტატის პირველი ბალი მოიპოვა. შესაძლოა, სხვა ქართველებსაც ჰქონდეთ მსგავსი წარმატება, თუმცა ვიდრე სამშობლოში არ დაბრუნდებიან, რაიმეს მტკიცება რთულია. ტურნირის ვებგვერდი ამის შესახებ ზუსტ ცნობებს არ იძლევა.

მორჩიაშვილზე მოგახსენეთ, მასზე ნახევარი ქულით ნაკლები 8 ჩვენებურმა დააგროვა; აქედან ერთი ქალია - **ბელა ხოტენაშვილი**. სხვათა შორის, ბელამ ყველა ქალბატონს აჯობა და ამისათვის მას განსაკუთრებული პრიზიც ერგო. 6 ქულა სულ 14-მა მონაწილემ დააგროვა და მე-15- 29 ადგილები გაიყვო.

საპრიზო ფონდი რიგიანი იყო. ნაიდიჩი 5000 ამერიკული დოლარით გამდიდრდა, ქართველთაგან საუკეთესო - ბაჩანა მორჩიაშვილს მხოლოდ 400 დოლარი ერგო; ამდენივე ხვდა წილად ბელა ხოტენაშვილს, როგორც ქალთა შორის გამარჯვებულს.

ძირითადი ტურნირის დასრულების შემდეგ მონაწილეთა დიდი ნაწილი ბაქოს დატოვებას არ იჩქარებს - დღეს, 15 საათზე ბლიცტურნირი გაიმართება.

ქართველი მოჭადრაკეების უმრავლესობა ალბათ დარჩება ბაქოში, მაგრამ **სალომე მელია, სოფიკო გურამიშვილი** და **მაკა ფურცელაძე** აუცილებლად გამოემგზავრებიან თბილისში, რადგან ხვალ თბილისის ჭადრაკის სასახლეში **ნონა გაფრინდაშვილის** გაჩემპიონების 45 წლის იუბილეს აღსანიშნავად, **ნინო გურიელის** ინიციატივით ერთდღიანი ბლიც-ტურნირი გაიმართება, სადაც სამი თაობის 12 ქალბატონი შეეჯიბრება ერთმანეთს. მელია, გურამიშვილი და ფურცელაძე ახალ თაობას წარმოადგენენ, **ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე** და **ნინო გურიელი** - უფროსს, ხოლო **ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე, მაია ლომინეიშვილი** და **ნანა ძაგნიძე** - საშუალოს. აქ მეტოქენი წრიულად გაეჯიბრებიან ერთმანეთს და პარტიაზე 5 წუთი მიეცემათ, ყოველ სვლაზე ორი წამის დამატებით.

ზვიად შათირიშვილი

საჭურნირო მდგომარეობა	
1. არკადი ნაიდიჩი (გერ. 2654)	7,5
2. ვადიმ მალახატკო (გელ. 2598)	7
3. ლუკ ვან ველი (ჰოლ. 2674)	7
4. ალექსეი ფიოდოროვი (გელ. 2611)	7
12. ბაჩანა მორჩიაშვილი (2396)	6,5
17. თორნიკე სანიკიძე (2426)	6
18. კონსტანტინე შანავა (2532)	6
19. დავით შინგელია (2523)	6
20. თამაზ გელაშვილი (2605)	6
22. დავით მალალაშვილი (2474)	6
24. დავით ლომსაძე (2268)	6
25. ლუკა პაიჭაძე (2392)	6
26. ბელა ხოტენაშვილი (2301)	6
32. სალომე მელია (2396)	5,5
33. მალხაზ სულაშვილი (2439)	5,5
40. სოფიკო გურამიშვილი (2267)	5,5
47. ლევან ბრეგაძე (2302)	5
50. ნინო გაციაშვილი (2317)	5
54. ლევან არუფიძე (2500)	5
55. დავით ზარქუა (2390)	5
65. მაკა ფურცელაძე (2348)	5
68. ჭილაძე ივერი (2346)	4,5
72. ანა გაფაფელი (2175)	4,5

ნონას გაჩემპიონებიდან 45 წელი გავიდა

თბილისი, საქართველო და ჩეჩნეთი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა 12-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატი. გოგონებში გამარჯვებული **ნანი მელაძე** გახდა 6.5 ქულით. მეორე ადგილზე **ნანი უნაფქოშვილი** გავიდა, მესამეზე - **დეა გოგიშვილი**. ამათაც 6.5 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით დაასრულეს ტურნირი.

ვაჟებში პირველობა ირაკლი **ბერაძემ** მოიპოვა 6 ქულით. ბერაძე მთავარი ფავორიტი იყო და ასეც დაასრულა კიდეც ჩემპიონატი, მაგრამ შუა ტურნირში მას სენსაციურად მოუგო **ნინო ხომერიკმა**. ნინომ 4.5 ქულით დაასრულა ტურნირი და მეშვიდე ადგილი დაიჭირა, რაც ძალიან კარგი შედეგია, თუმცა კიდევ უკეთ ითამაშა **ნატო იმნაძემ**, რომელმაც უშუალო დაპირისპირებაში აჯობა ხომერიკს, ბოლო ტურში ყაიმით ითამაშა და 5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. მეორე **რატი ცომაია** იყო 5.5 ქულით.

ფულადი ჯილდოების გარდა, პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის მედლები და მწერალ **სულეიმან გუმაშვილის** წიგნები გადაეცათ. სულეიმან გუმაშვილი ქისტი გახლავთ და საქართველოსა და ჩეჩნეთის მწერალთა კავშირების წევრია. ყველა პრიზიორს გადაეცა წიგნი - "ჩემი საქართველო", ხოლო გამარჯვებულებს მეორე წიგნიც ერგოთ - "ჩემი ჩეჩნეთი".

ზვიად შათირიშვილი

ჰეღათბურთი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ქართული სტუმარ-მასპინძლობა

სათაურის წაკითხვისას ზოგს შეიძლება თვალნინ შიშხინა მწვადი და წითელი ღვინო წარმოუდგეს, მაგრამ გუშინდელი მასპინძლობა უამისოდაც სამაგალითო იყო: "ბევრ სკოლაში ვყოფილვარ, არაერთ მოსწავლეს შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი დახვედრა არსად მინახავს". - ეს სიტყვები **ზაზა ფაჩულიამ** თბილისის მე-20 სკოლაში სტუმრობისას წარმოთქვა.

ზაზა ფაჩულია

ზაზა სკოლაში შუადღით მივიდა და აშკარად გაკვირვებული დარჩა მთელი სასწავლებლის მობილიზებით. როგორც ჩანს, დიდმა თუ პატარამ ზედმინევნით კარგად იცის "ატლანტა ჰოქსის" ქართველი ცენტრის შესახებ. შეიძლება ამის მიზეზი მე-20 სკოლის დირექტორიც იყოს - საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ნუგზარ კანდელაკი**. მისი ორგანიზებით მოსწავლეები ზაზას დიდ დარბაზში შეხვდნენ. ჯერ ეკრანზე ფაჩულიას თამაშების მომენტები იხილეს, შემდეგ კითხვების დასმის საშუალება მიეცათ.

კითხვები ყველა სფეროს შეეხებოდა, რომლებზეც ზაზა ამომწურავად პასუხობდა. ჰკითხეს მისი და **შაკილ ონილის** ურთიერთობაზე, მეგობრებზე, ნუგზარ კანდელაკზე.

- ბატონი ნუგზარი პირველად დემირელის სახელობის სკოლაში გავიცანი - რელიგიას მასწავლიდა. არ დავმალავ, ეს საგანი ყველაზე მეტად მიყვარდა, თუმცა არც ტექნიკური საგნების მიმართ ვიყავი გულგრილი. ისიც გეცოდინებათ, რომ შარშანწინ, თქვენს დირექტორთან ერთად საკალათბურთო ნაკრებში ვმუშაობდი, - გაიხსენა სტუმარმა.

ნუგზარ კანდელაკი ზაზას დაჰპირდა, რომ სკოლის ფანკლუბი აგვისტოს მატჩებისას ეროვნულ ნაკრებს ტრიბუნებიდან აქტიურად დაეხმარება.

შეხვედრას დამატებით ხიბლს სკოლის ანსამბლ "გეორგიკას" სიმღერები სძენდა. სხვათა შორის, ამ ანსამბლთან ნუგზარ კანდელაკს ძველი ურთიერთობა აკავშირებს. მისი პირველ საკალათბურთო გუნდს "გეორგიკა" იმიტომ ერქვა, რომ მაისურები სწორედ ანსამბლის წევრებმა აჩუქეს.

მწვრთნელ-მოთამაშე დარბაზიდან მოედანზე ისე გავიდნენ, რომ კითხვების რაოდენობა ბოლომდე არ იყო ამოწურული. სკოლის არენას ამშვენებდა აბრა "გიორგი დემეტრაძის სახელობის მოედანი".

მოთამაშენი ორად გაიყვნენ - მწვრთნელები და მოსწავლეები. ზაზა ჯერ ერთ გუნდს ეხმარებოდა, შემდეგ - მეორეს. ატლანტელი არც ეფექტურ ზემოდან გდებებს ერიდებოდა და არც პასებს.

თამაშის შემდეგ ფაჩულიას 50-მდე ავტოგრაფის გაცემა მოუხდა და სკოლა დატოვა საკუთარი მანქანით, რომელსაც საინტერესო ნომერი აქვს - NBA 027.



ნუგზარ კანდელაკი

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვის თამაშები



ინტერვიუ დავით გოგეჭიშვილთან

ასკაციანი ტრაბზონისკენ

ივლისის დასაწყისში თურქეთის ქალაქ ტრაბზონში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშები გაიმართება. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება ცნობილი მოჭიდავე, სპორტსაზოგადოება "დინამოს" თავმჯდომარის მოადგილე დავით გობეჯიშვილი. გუშინ ბატონ დავითს ვესტუმრეთ და შავი ზღვის თამაშების შესახებ ვესაუბრეთ.

- შავი ზღვის აუზის თამაშები 2-8 ივლისს გაიმართება თურქეთის ქალაქ ტრაბზონში. სულ 12 ქვეყანა იასპარეზებს. მათ შორისაა რამდენიმე ისეთი სახელმწიფო, რომელიც შავ ზღვას არ ესაზღვრება. მაგალითად – საბერძნეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ხორვატია.

შეჯიბრება ტარდება რამდენიმე სახეობაში და ჩვენ თითქმის ყველაში გამოვდივართ – ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ველოსპორტში, მშვილდოსნობაში...

ახლახან გაიმართა წილისყრა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. სათამაშო სახეობებში ქვეყნები დაიყო სამ-სამ ქვეჯგუფად. რატომღაც, მოხდა განთესვა და სამწუხაროდ, ჩვენ ასეთ ქვეყნებს შორის ვერ მოვხვდით. კალათბურთში განთესილები იყვნენ საბერძნეთი, თურქეთი და რუსეთი. წილისყრამ მოგვაგვედრა საბერძნეთის ჯგუფში. ფეხბურთში უპირატესობა მიენიჭათ რუსეთს, უკრაინასა და თურქეთს. საქართველოს ნაკრები უკრაინის ჯგუფში ითამაშებს. ფრენბურთში რუსეთის ჯგუფი გვერგო.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სახეობებს, აქ ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული ყველაფერი. საქმე ის არის, რომ შეჯიბრების წესდების თანახმად, თუკი რომელიმე სახეობაში სულ მცირე, ექვსი ქვეყნის სპორტსმენები მაინც არ შეიკრიბება, ამ სახეობაში ტურნირი არ გაიმართება. საორგანიზაციო საკითხებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სპორტის მინისტრის მრჩეველი თამაზ თევზაძე.

- რამდენკაციანი დელეგაციით მივემგზავრებით თურქეთში?

- საკმაოდ მრავალრიცხოვანი, დაახლოებით ასკაციანი დელეგაციით წავალთ. ტრაბზონი საქართველოსთან ახლოსაა და იქ ჩასვლა ძვირი არ დაგვიჯდება. ამიტომაც, ჩვენი სპორტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება მეტ სპორტსმენს მისცეს თავის გამოჩენის შანსი.

თურქეთში წასვლამდე მოხდება გუნდის ოფიციალური გაცილება, სპორტსმენებს დაურიგდებათ მაღალი ხარისხის ეკიპირება. მასპინძლებმა გაგვაცნეს იქაური პირობები და ამ მხრივაც კმაყოფილები ვართ. თურქებმა საორგანიზაციო მხარეს თავი მშვენივრად გაართვეს.

- რა ასაკში ტარდება შეჯიბრება?

- სხვადასხვა ასაკია. ძირითადად, ახალგაზრდები და ჭაბუკები. ეს არის ერთგვარი ახალგაზრდული ოლიმპიადა.

- დაახლოებით რამდენ მედალს ვგეგმავთ?

- მედლები აუცილებლად იქნება, მაგრამ რაოდენობასა და ხარისხზე საუბარი ახლა ძნელია. საქმე ის არის, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები იმ დროს ტარდება, როდესაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები იწყება. რაკიღა ჩვენი ბევრი სპორტსმენი აბიტურიენტის ასაკშია, ჯერ არ ვიცით, მოახერხებენ თუ არა თურქეთში წამოსვლას. როდესაც საბოლოო შემადგენლობა ჩამოყალიბდება, მაშინ უკვე შეიძლება პროგნოზებზე საუბარი.

- უახლოეს წლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშების საქართველოში ჩატარება ხომ არ იგეგმება?

- ამაზე ოფიციალურად საუბარი ჯერ არ ყოფილა. თუმცა, ჩემი აზრით, საქართველო ამისათვის მზად არის ეკონომიკურადაც და მორალურადაც. შენდება ახალ-ახალი დარბაზები, სპორტი წინ მიდის და ასეთი დონის შეჯიბრება დიდად წაგვადგებოდა. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც თბილისში ჩავატაროთ, სავსებით შესაძლებელია შავი ზღვის თამაშებს უმასპინძლოს ბათუმმა, ქუთაისმა ან სხვა რომელიმე დიდმა ქალაქმა...

კობა ხატისაშვილი

ჭიდაობა

პრემია ჩვენზე იყოს!

კვირკველია, ნოზაძე, მოდებაძე, საღირაშვილი, გოგშელიძე

კომპანია "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" ამასწინათ ევროპის ჩემპიონატზე თავგამოჩენილი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. კომპანიის თავკაცებმა გადაწყვიტეს, ეს ტრადიციად დაამკვიდრონ და ყველა მაღალი დონის შეჯიბრებაზე გამოჩენილი სპორტსმენები დააჯილდოვონ.

გუშინ, კომპანიის ხელმძღვანელობა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ესტუმრა და ევროპის ჩემპიონატის მედალოსნები პირდაპირ ვარჯიშისას, დარბაზში დააჯილდოვა ფულადი პრემიებით. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, **რამაზ ნოზაძე** და **მანუჩარ კვირკველია** ჩემპიონები გახდნენ, თავისუფალ ჭიდაობაში კი **გელა საღირაშვილს** ვერცხლის მედალი, **გიორგი გოგშელიძეს** და **ალექსანდრე მოდებაძეს** ბრინჯაო ერგოთ.

მოჭიდავეებს პრემიები გადასცეს "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტმა **ზაზა რაზიკაშვილმა** და კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გიორგი ასანიძემ**.

ზაზა რაზიკაშვილი: - გადავწყვიტეთ, საერთაშორისო ასპარეზზე თავგამოჩენილი ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ასეთი დაჯილდოება ტრადიციად დავამკვიდროთ. წინ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირია. მთავარია, ბიჭებმა მაღალი შედეგები აჩვენონ და პრემიები ჩვენზე იყოს.

რამაზ ნოზაძე: - ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ დიდი შრომა და წარმატებები გვიფასდება. ამას გარდა, ეს ბავშვებისთვისაც სტიმულია. როდესაც პატარები ხედავენ, რომ სპორტსმენს შრომა არ ეკარგება, ქუჩაში დგომის მაგივრად, სპორტში ჩაერთვებიან. ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლით, საშემოდგომო მსოფლიო ჩემპიონატზე არანაკლები შედეგების ჩვენებაზე გავაკეთეთ განაცხადი და ვიმედოვნებ, სექტემბერში ყველაფერი კარგად იქნება.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი და სოფიო მელიქიშვილი

ფრანგთან წააგო

ფლორიდის ინდიან ჰარბორ ბიჩის ტურნირის (50 ათასი დოლარი) მერვედფინალში 17 წლის **ანა ტატიშვილი** (335) 18 წლის ფრანგ **ირენა პავლოვიჩთან** (307) სამ სეტში დამარცხდა - 1:6, 6:1, 5:7. ტურნირზე ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების (სამი საკვალიფიკაციოში) შემდეგ ანა ერთეულთა თანრიგს დაემშვიდობა, მისი და სოფიო მელიქიშვილის წყვილი კი მეოთხედფინალში ამერიკელებთან (**კარლი გალიკსონი, ლინდსი ლი-უოტერსი**) დამარცხდა - 6:2, 1:6, 6:7 (7).

კუხალაშვილი მეოთხედფინალში

იტალიის ქალაქ პრატოში ჩიტა დი პრატოს მე-15 საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის. ეს მეორე კატეგორიის ტურნირია, რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობდა - **ლაზარე კუხალაშვილი** და **ეკა გორგოძე**. 15 წლის ეკა გორგოძე პირველ წრეში 14 წლის იტალიელ **მარტინა ტრევიზანს** შეხვდა. ორივე ჩოგბურთელისთვის ეს სადებიუტო ტურნირია 18-წლამდელთა ასპარეზზე (გორგოძეს დიდებშც უთამაშია და 769-ე ჩოგანია). პირველი სეტი გორგოძემ მოიგო, თუმცა შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში ტრევიზანმა იმარჯვა - 7:5, 4:6, 5:7. წყვილთა თანრიგში გორგოძე და ებრაელი **ანგელიკა ალიევი** გამარჯვებით იწყებენ, მათ ლიტვურ-რუსული დუეტი დაამარცხეს - 6:1, 6:4.

ლაზარე კუხალაშვილი კი 18-წლამდელთა ასპარეზზე ელიტის წარმომადგენელია - 16 წლის კუხალაშვილი მსოფლიოს 55-ე ჩოგანია, ჩიტა დი პრატოს ტურნირზე ლაზარე მეორე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ლაზარე თავისუფალი იყო თამაშისგან, მერეში მან ბელგიელ **ალექსანდრ ფოლის** მოუგო - 4:6, 6:4, 7:6 (6). მერვედფინალში კუხალაშვილმა მე-14 ნომრად განთესილ კანადელ **ვასეკ პოსპიშილს** შეხვდა და სამ სეტში მოუგო - 6:1, 4:6, 6:1. ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში მეხუთე ნომრად განთესილ რუს ვლადიმირ ზინიაკოვს ეთამაშება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვოლეიბური

პირადი რეკორდი: მეხუთე ადგილი!

მსოფლიო ტურის ბაჰრეინის ეტაპზე ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა. ჩვენმა ფრენბურთელებმა საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავეს, რეიტინგში 360 ქულა და ფულად 10 ათასი დოლარი მიითვალეს.

ჩვენმა წყვილმა ტურნირის ბოლოსწინა დღის პირველ შეხვედრაში, მე-2 ნომრად განთესილი გერმანულების, **ბრინკისა** და **დიკმანის** დამარცხება ვერ შეძლო - 0:2 (14:21, 15:21), თუმცა მერე ავსტრიელებს **დოპლერსა** და **გარტმაიერს** მოუგო 2:0 (21:15, 21:18) და ბრძოლა გააგრძელა.

მომდევნო შეხვედრაში გეორ-გიას მეტოქე იყო გერმანული წყვილი, **რეკერმანი-ურბაცკა**, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონები, ბრაზილიელები **რიკარდო** და **ემანუელი** გამოთიშა შეჯიბრიდან. ჩვენმა ფრენბურთელებმა აქაც იყოჩაღეს - 2:1 (21:18, 18:21, 19:17).

ამ მოგებით გეორ-გიას ნახევარფინალში გასვლის შანსი მიეცა. ჰოლანდიელ დუეტთან (შული-ნუმერდორი) ჩვენებმა თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ დამარცხდნენ - 1:2 (14:21, 21:16, 8:15).

ბესიკ ჯანგავაძე

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲜᲓᲔᲠᲡᲐᲛᲓᲔ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ (5)–ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ (1) 74:81

20:18, 24:10, 17:32, 13:21

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ: დენგი (21 ქ. 14 მ. 2 დ), გორდონი (16 ქ. 6 მ), ჰაინრიხი (13 ქ. 11 მ. 7 პ), პი. ჯეი. ბრაუნი (10 ქ. 10 მ. 2 ჩ), ბ. უოლასი (5 ქ. 12 მ. 2 დ).

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ: პრინსი (23 ქ. 11 მ. 2 დ), ბილაპსი (21 ქ. 7 პ. 2 ჩ), რ. უოლასი (16 ქ. 11 მ. 5 დ), რ. ჰამილტონი (16 ქ. 5 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 0:3

"იუნაითედ სენტრში" "დეტროიტმა" 19-ქულიანი ჰანდიკაპი ამოქაჩა, სერიაში 3:0 დაწინაურდა და ილინოისელ მასპინძელს მომდევნო წრეში გასვლის ყველანაირი შანსი მოუსპო. არა, შანსი თეორიულად ყველგან და ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამ [illegible]კული პროფესიული სპორტის ისტორიაში, 0:3 ჩამორჩენ[illegible] შემდეგ, სერია მხოლოდ 1942 წლის "ტორონტო მეიპლ ლივზს" (NHL), 1975 წლის "ნიუ იორკ აილენდერსსა" (NHL) და 3 წლის წინათ, ბეისბოლისტთა ფლეი ოფის მომავალ ჩემპიონს, "ბოსტონ რედ სოქსს" გადაურჩენიათ. კალათბურთში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ისედაც, დღევანდელი "ბულზი" საამისოდ მზად ნაღდად არ არის და ოპონენტსაც ძალიან ბევრით ჩამორჩება.



პრინსი და ბილაპსი

დღევანდელ "პისტონზს", სპეციალისტთა დიდი ნაწილი შეტევაში ზედმეტი იმპროვიზაციისთვის, დაწინაურების შემდეგ კონცენტრაციის დაკარგვასა და მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობისთვის აკრიტიკებს, მაგრამ როგორი არგუმენტებიც არ უნდა მოიყვანონ მიჩიგანელთა წინააღმდეგ, გუნდი იგებს, შედეგი დიდებულია და "პისტონზი" მიმდინარე ფლეი ოფში ერთადერთია, ვისაც ჯერ მატჩი არ წაუგია.

ნოსტალგია **ლარი ბრაუნის** "მკვლელი" გუნდისადმი გასაგებია, მაგრამ ფლეი ოფის პირველმა ორმა წრემ, **ფლეიპ სონდერსის** "პისტონზის" საჩემპიონო ამბიციებს ხაზი ერთხელაც და ალბათ, საბოლოოდ გაუსვა. ამ შემადგენლობითა და შემართებით, აღმოსავლეთის ფავორიტს დასავლეთიდან სუპერფინალში გასული გუნდის დამარცხებაც შეეძლება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე მოჩანს.

"როდესაც 20 000 ადამიანი შენს წინააღმდეგ არის განწყობილი, ეს დამატებით მოტივაციას გაძლევს. "ბულზი" კარგი გუნდია, რომელიც ამ შემადგენლობით მომდევნო სეზონში უფრო სოლიდურადაც ითამაშებს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ "ჩიკაგოზე" მაღალი დონის კალათბურთს ვთამაშობთ", - მიაჩნია "პისტონზის" ლიდერს, გამთამაშებელ **ჩონსი ბილაპსს**.

"ბულზის" პირველ ორ მატჩში ნალეკვის მერე, "დეტროიტი" მესამე მეოთხედის დაწყებამდე 28:44 აგებდა. მესამე 12-წუთეულის სტარტზე, მასპინძელთა უპირატესობა უკვე 19 ქულა (49:30) იყო და მეოთხედის შუაში, როდესაც სონდერსმა წუთშესვენება აიღო, "დეტროიტი" 38:55 აგებდა.

აქედან მოყოლებული კი, ბილაპსმა, **ტაიშონ პრინსმა** და **რაშიდ უოლასმა** აიწყვიტეს, სტუმარმა ჯერ ჩამორჩენა შეამცირა, მერე კი წინაც გავიდა.

"პისტონზი", რომელსაც აღმოსავლეთის ზედიზედ მეხუთე ფინალს ერთადერთი მოგებაღა აშორებს, დომინირებს და ამის ფონზე როგორღაც დაიკარგა **ლუოლ დენგის** უნივერსალიზმი, **ბენ გორდონის** სისწრაფე და **ბენ უოლასი**, რომელსაც ამჯერადაც არა უშავდა, თუმცა, ყველაფერი ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

მესამე მეოთხედში პრინსმა 13, რაშიდმა კი 10 ქულა მოიპოვა. ბოლო 10 წამში, "პისტონზის" უოლასმა ჯერ დენგს დაუფარა, მერე კი, მეოთხედის ბოლო წამზე, 8 მეტრიდან ბურთი "ბულზის" კალათში ჩაუშვა და მეოთხე 12-წუთეულს, "დეტროიტი" უკვე მინიმალური ჩამორჩენით (61:60) შეხვდა. ბოლო მეოთხედის დაწყებიდან 2 წუთის მერე, რაშიდმა კიდევ ერთი სამიანით თავისი გუნდი დააწინაურა.

ლუოლ დენგმა 21 ქულა კი დააგროვა, მაგრამ ამ ნიჭიერმა ფორვარდმა, თამაშიდან 22 სროლიდან მხოლოდ 8 შეასრულა ზუსტად და გადამწყვეტ ეპიზოდებში ვერც პრინსს მოუხერხა რამე და ვერც - უოლასს.

"მეოთხე თამაში უნდა მოვიგოთ და მერე, იქნებ კიდევ ერთი შეხვედრა დავასრულოთ ჩვენს სასარგებლოდ...თუმცა სერიის მოგება უკვე თითქმის არარეალურია", - ამბობს **კირკ ჰაინრიხი.**

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სტივი და ამარე

NBA. ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲬᲣᲗᲘᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ბოლოს, სიმბოლური ხუთეულის დასახელება გაცილებით აქტუალური და ხშირ შემთხვევაში, საკამათო გახდა, ვიდრე გასული საუკუნის ბოლოს იყო. მოთამაშეები პირველ, მეორე ან თუნდაც მესამე ხუთეულში ვერმოხვედრის გამო, ხშირად პროტესტს ღიად გამოხატავენ და წამით, შარშანდელი სიტუაცია გვახსენდება, როდესაც ამერიკელი მასმედიელებისგან დაჩაგრულმა **კარმელო ენტონიმ** დიდი სკანდალი ააგორა. ბევრი სადავო ალბათ, წელსაც იქნება - ვერცერთ ხუთეულში ვერ მოხვდა სეზონის დასაწყისში ჯერ "ფილადელფიის", მერე კი "დენვერის" წევრი **ალენ აივერსონი,** ხოლო **ჯეისონ კიდი** ("ნიუ ჯერსი") კი, ვინც ერთ მატჩში საშუალოდ ლამის სამმაგ დუბლს უყრიდა თავს, ასევე ამ აღიარების გარეშე დარჩა.

წლევანდელ პირველ ხუთეულში, გამოკითხვის მონანილე 129 მასმედიელმა "ფინიქსის" ერთბაშად ორი წევრი - ფლეიმეიქერი **სტივ ნეში** და ფორვარდ-ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი** შეიყვანეს.

2003-04 წლების რეგულარულის მერე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მთავარ სიმბოლურში ერთი გუნდის ორი წარმომადგენელი მოხვდა - მაშინ ეს პატივი წილად ხვდათ "ლეიკერსის" წევრებს - **კობი ბრაიანტსა** და **შაკილ ონილს**.

არიზონული ტანდემის გარდა, პირველ ხუთეულში არიან რეგულარულის პირველი მექუნე ბრაიანტი, "სპურსის" ლიდერი **ტიმ დანკანი** და "მავერიქსის" გერმანელი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი**.

ნეშისთვის ეს ზედიზედ მესამე აღიარებაა. კანადელი საშუალოდ გაკეთებულ და ჯამურ პასებში წლეულს პირველ ადგილზე გავიდა და 11.6 შედეგიანი გადაცემით კარიერის რეკორდიც დაამყარა. ნეში გახდა პირველი მოთამაშე **მეჯიქ ჯონსონის** მერე, რომელმაც სეზონი მინიმუმ 18 ქულითა (18.6) და 11 შედეგიანი გადაცემით ჩაამთავრა. ლეგენდარულმა მეჯიქმა ეს შედეგი 1990-91 წლების სეზონში აჩვენა.

სტაუდმაიერმა სეზონი 20.4 ქულითა და კარიერაში სარეკორდო - 9.6 მოხსნით დაასრულა. მისი, ნეშისა და **შონ მერიონის** ტრიოს არაჩვეულებრივი თამაშით, "სანზმა" წყნარი ოკეანის დივიზიონი მოიგო. ამარე ცენტრებში ქულებით მხოლოდ "ჰიუსტონის" ჩინელ გიგანტს - **იაო მინს** ჩამორჩა.

მესამედ მოხვდა პირველ ხუთეულში ნოვიცკიც, ვისთვისაც ეს რეგულარული (და არა ფლეი ოფი) კარიერაში ყველაზე წარმატებული გამოდგა - მისმა გუნდმა 67 გამარჯვებით დალასური რეკორდი დაამყარა და დირკი ერთ მატჩში საშუალოდ 24.6 ქულას, 8.9 მოხსნასა და კარიერაში ყველაზე მეტს - 3.4 პასს უყრიდა თავს.

დანკანი მოქმედ მოთამაშეებში, პირველ გუნდში მოხვედრით აშკარა ლიდერია - სტაბილურობის ეტალონად ქცეული ტიმისთვის, ეს მეცხრე ასეთი აღიარებაა. მისი სტატისტიკა იყო - 20.0 ქულა, 10.6 მოხსნა და 3.4 შედეგიანი გადაცემა. 80-დან 78 შეხვედრაში მან 10 და მეტი ქულა დააგროვა.

ბრაიანტი კი ზედიზედ მეორე წელია, არავის უთმობს საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს. კობის წლევანდელი საშუალო მონაგარი 31.6 ქულა გახლდათ. და პირველ გუნდში იგი მეხუთედ შეიყვანეს. ლიგის ისტორიაში ის გახდა ოდენ მეორე მოთამაშე, რომელმაც ზედიზედ 4 შეხვედრაში 50 და მეტი ქულა გააკეთა. კობი აგრეთვე 5.7 მოხსნასა და 5.4 ზუსტ პასს აგროვებდა.

პირველად თავის კარიერაში **შაკილ ონილი** ვერცერთ ხუთეულში ვერ მოხვდა, თუმცა ტრავმებით გაწამებული "დიზელის" რეგრესი მოსალოდნელი და იოლად პროგნოზირებადიც იყო.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘᲔᲣᲚᲘ

ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: დირკ ნოვიცკი (დალასი) - 634 ქულა (125 I ადგილი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო) - 573 (94).

ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ: სტივ ნეში (ფინიქსი) - 645 (129), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) - 643 (128).

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) - 494 (36).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲣᲗᲘᲔᲣᲚᲘ

ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) - 494 (64), კრის ბოში (ტორონტო) - 234 (8).

ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ: გილბერტ არენასი (ვაშინგტონი) - 295, ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) - 278 (10).

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: იაო მინი (ჰიუსტონი) - 333 (38).

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲘᲔᲣᲚᲘ

ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: კევინ გარნეტი (მინესოტა) - 225 (5), კარმელო ენტონი (დენვერი) - 142 (1).

ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ: დუეინ უეიდი (მაიამი) - 241 (1), ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი) - 86.

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) - 108 (1).

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ: კარლოს ბუზერი (იუტა) - 127, შაკილ ონილი (მაიამი) - 70 (3), ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) - 58, მარკუს კემბი (დენვერი) - 42 (2), შონ მერიონი (ფინიქსი) - 41, ალენ აივერსონი (ფილადელფია/დენვერი) - 39, ტონი პარკერი (სან ანტონიო) - 39, ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) - 15, დერონ უილიამსი (იუტა) - 15, ჯოშ ჰოვარდი (დალასი) - 11, ელტონ ბრენდი (კლიპერსი) - 8, მეჰმეთ ოქურო (იუტა) - 7, ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) - 6, მაიკლ რედი (მილუოკი) - 6, რეი ალენი (სიეტლი) - 5, რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) - 4, ჯო ჯონსონი (ატლანტა) - 3, ბენ გორდონი (ჩიკაგო) - 3, ჯეისონ ტერრი (დალასი) - 3, კრის პოლი (ნიუ ორლეანი) - 3, პოლ პირსი (ბოსტონი) - 2, ბენ უოლასი (ჩიკაგო) - 2, ედი კარი (ნიუ იორკი) - 2, ლუოლ დენგი (ჩიკაგო) - 1, კრის უებერი (ჩიკაგო) - 1, ჯერმეინ ონილი (ინდიანა) - 1, მანუ ჯინობილი (სან ანტონიო) - 1, ტაისონ ჩენდლერი (ნიუ ორლეანი) - 1, პაუ გასოლი (მემფისი) - 1.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ წარუმატებელი რეგულარული სეზონისა, "ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაუგრძელა მთავარ მწვრთნელ - **დოკ რივერსს**.

"დოკი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა და მას სრულ ნდობას ვუცხადებ", - ამბობს "ბოსტონის" აღმასრულებელი დირექტორი **დენი ეინჯი**.

რივერსის მოქმედ კონტრაქტს 2007-08 წლების სეზონის შემდეგ გასდიოდა ვადა. ჯერჯერობით, უცნობია, ახალი კონტრაქტის ფინანსური დეტალები.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲞᲘᲜᲒᲘᲡᲘ ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲡ?

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ მიმდინარე ქალთა ტურნირის მერვედფინალში, თანამემამულე **პატი შნიდერთან** მატჩის დროს, ტრავმა მიიღო შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **მარტინა ჰინგისმა**. ის შეხვედრა მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა 0:6, 4:6 დათმო და როგორც თამაშის შემდეგ გაირკვა, მარტინას ზურგი ჰქონია დაზიანებული. ამის გამო, შვეიცარიელმა შეაჯალოა "როლან გაროსი" გამოტოვოს, რომელიც 27 მაისს აიღებს სტარტს.

"არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა ასეთ მოკლე დროში გამოჯანმრთელებას. ვითამაშებ თუ არა "როლან გაროსზე", ამას საბოლოოდ ორი კვირის შემდეგ გადაწყვეტ. თუ 100 პროცენტით მზად არ ვიქნები, საფრანგეთში სათამაშოდ არ გავემგზავრები", - განუცხადა BBC-ს ჰინგისმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ღია პირველობა "დიდი სლემის" სერიის ერთადერთი ტურნირია, რომელიც მარტინას არ მოუგია.

ᲞᲐᲐᲡᲘ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ჩოგბურთის პირველი ნომერი - **ტომი ჰაასი** ტრავმის გამო გამოტოვებს ჰამბურგის "მასტერსს", რომელიც მომავალ კვირას გაიმართება. მსოფლიოს მე-11 ჩოგანის თქმით, მშობლიურ ქალაქში გამოსვლა მას მხარის დაზიანების გამო არ შეუძლია.

სავსებით შესაძლებელია, რომ ჰაასს დიუსელდორფში გასამართი გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუწიოს, თუმცა, "როლან გაროსისთვის" ის მწყობრში იქნება.

გუშინვე გაირკვა, რომ ჰამბურგში ვერ ითამაშებს ATP-ის კიდევ ერთი წამყვანი ჩოგბურთელი - არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**.

ᲤᲝᲢᲑᲝᲚᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

ᲝᲠᲘ, არც ისე სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტის - რუსეთის ნაკრების გულშემატკივრებმა. ამ გუნდისა და მთლიანად პირველობის საუკეთესო ბომბარდირმა - **ალექსეი მოროზოვმა** მუხლის ტრავმა მიიღო და ის 5-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ასე რომ, რუსეს ფინეთთან ნახევარფინალში სერიოზული დანაკლისი ექნებათ.

მოროზოვმა შვიდ მატჩში 13 ქულის (8 გოლი+5 პასი) დაგროვება შეძლო. ის აგრეთვე პირველობის ლიდერია გატანილი გოლების რაოდენობით.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ რუსეთის ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა, "სან ხოსე შარქსის" მეკარემ - **ევგენი ნაბოკოვმა**. NHL-ის ფლეი ოფიდან გამოვარდნილმა გოლკიპერმა, ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა და ამის გამო თქვა უარი მოსკოვში ჩასვლაზე.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲛ ᲐᲠᲨᲝᲚᲘ ᲓᲐᲘᲭᲝᲕᲐ

"ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ ᲤᲚᲐᲘᲔᲠᲖᲛᲐ" ორნლიანი კონტრაქტი გააფორმა ახალგაზრდა ფორვარდ **სკოტი აპშოლთან**. ამ ორი სეზონის განმავლობაში, 23 წლის თავდამხსმელი 2.45 მილიონ დოლარს მიიღებს.

აპშოლი წელს, რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას გადავიდა "ფილადელფიაში". მანამდე ის "ნეშვილ პრედატორზის" ღირსებას იცავდა. სულ ამ ჰოკეისტს, NHL-ში 95 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 42 ქულაა (17 გოლი+25 პასი).



ფიშერი ანგარიშს ხსნის

NHL. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲝᲢᲐᲕᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲑᲐᲤᲐᲚᲝ (1)-ᲝᲢᲐᲕᲐ (4) 2:5

1:2, 1:0, 0:3

გოლები: 0:1 ფიშერი-2, 0:2 ალფრედსონი-7 (კორვო-5, სპეცა-8), 1:2 აფინოგენოვი-3 (ვანეკი-3, კალინინი-3), 2:2 ლიდმანი-2 (პომინვილი-3), 2:3 საარიკინი-1 (მაკამონდი-3), 2:4 სპეცა-6 (რედენი-5, ალფრედსონი-6), 2:5 მაკამონდი-3 (პიტლი-10).

ᲡᲔᲠᲘᲐ 0:1

ის, რომ წლევანდელ ფლეი ოფში "ოტავას" სერიოზული ამბიციები აქვს, წინა სერიაში დამტკიცდა, როცა ამ გუნდმა საერთო ანგარიშით - 4:1 გაანადგურა **მარტინ ბროდოს** "ნიუ ჯერსი". საერთოდაც, "ბაფალოსთან" სერიამდე "სენატორები" ისე მივიდნენ, რომ ყველაზე ნაკლები მატჩი ჰქონდათ წაგებული - 10 შეხვედრაში კანადელები მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ ("პიტსბურგთან" პირველი წრის სერიაც 4:1 მოიგეს).

გარდა ამისა, "ოტავას" "სეიბრზთან" პირადი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. შარშანდელ სტენლის თასზე, სწორედ "ბაფალომ" გამოთიშა "სენატორზი" ბრძოლას კონფერენციის ნახევარფინალში.

გუშინდელ შეხვედრაში, სტუმრები ყველა კომპონენტში ჯობდნენ მეტოქეს. 14-ით მეტი დარტყმა (34:20) შეასრულეს, 6-დან ორჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპიტარესობა, ხოლო მეტოქეს 5-დან არცერთხელ არ მისცეს ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშების საშუალება. ჯამში, ყველაფერმა ამან, "ოტავას" დამაჯერებელი გამარჯვება განაპირობა და "სენატორზმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

"ოტავა" ზედიზედ მეათე წელია ფლეი ოფში თამაშობს, მაგრამ კონფერენციის ფინალში მხოლოდ მეორედ არის გასული. სხვათა შორის, კანადელებს ამ 10 წლის განმავლობაში არასოდეს მოუგიათ სერიის პირველი ორი მატჩი. ასე რომ, მეორე შეხვედრაში, რომელიც ასევე ბაფალოში გაიმართება, სტატისტიკა მასპინძლების მხარეს იქნება.

მაგრამ, არსებობს მეორე სტატისტიკური მონაცემიც, რომელიც "სეიბრზის" უპირატესობაზე ნამდვილად არ მეტყველებს. ამ გუნდს, თავისი არსებობის ისტორიაში 14-დან 13 სერია აქვს წაგებული იმ დროს, როცა ის პირველ მატჩში მარცხდებოდა.

გუშინ, ოტაველებმა შეწყვიტეს "ბაფალოს" ოთხმატჩიანი საშინაო მოგებათა სერია. გამარჯვებულთა საუკეთესო ფორვარდმა - **დენი ჰიტლიმ** კი, შვიდ მატჩამდე აიყვანა სერია, რომლის დროსაც, ის მინიმუმ ერთ ქულას აგროვებდა შეხვედრაში.



დღეს სტარტს აიღებს ამ სეზონის პირველი ველომარათონი, 90-ე ჯირო დ'იტალია, ანუ იტალიის წრე, რომელიც სტარტიდანვე მოქმედი ჩემპიონის, იტალიელი **ივან ბასოს** გარეშე ჩაივლის.

რბოლა კუნძულ სარდინიაზე, დროზე გუნდური რბოლით დაიწყება, სადაც სულ სამი ეტაპი ჩატარდება, რის შემდეგაც, პელოტონი საზღვაო და საჰაერო გზებით, სამხრეთ იტალიას ეწვევა. იქიდან გეზს ალპებისკენ აიღებს, შემდეგ დოლომიტის მთიანეთისკენ გადაინაცვლებს და სტარტიდან სამი კვირის შემდეგ, მილანში დასრულდება.

პელოტონს 3 442 კილომეტრი აქვს გასავლელი. ეტაპების უმეტესობა სპრინტერული ფინიშით კი დასრულდება, მაგრამ იმავდროულად, ველომრბოლებს არნახულად ბევრი სამთო მონაკვეთის გავლაც მოუწევთ. ისინი სულ ორჯერ დაისვენებენ და ამდენჯერვე დროზე ინდივიდუალურ რბოლებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲛ ᲒᲐᲘᲡᲔᲘᲠᲜᲐ

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡᲐ და შვეიცარიის მეოთხედფინალის შედეგი, ყველაზე იოლად პროგნოზირებადი იყო. მაგრამ, ამასთან ერთად, ყველას კარგად ახსოვდა ტურინის შარშანდელი ოლიმპიადა, როცა შვეიცარიელები მთავარი სენსაციის ავტორები გახდნენ და **უეინ გრეეკის** მიერ შეკრებილი კანადელი ვარსკვლავები დაამარცხეს.

მაგრამ, ამჯერად სენსაცია არ შედგა. მთავარი ინტრიგა ის იყო, თუ რამდენს ხანს გაუძლებდნენ ევროპელები კანადელთა შეტევებს. 16 წუთი გაძლეს და შემდეგ, თავად დაეხმარნენ მეტოქეს ანგარიშის გახსნაში - შვეიცარელმა მცველმა **ჟანენმა** შაიბა კანადის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირ **მეტიუ ლომბარდის** ჩააბარა და მანაც იოლად გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმის შუა ნაწილისთვის, კანადას უკვე 25 ზუსტი დარტყმა ჰქონდა შესრულებული, თუმცა, ეს მხოლოდ ორ გატანილ გოლში აისახა. ამასობაში კი, ერთი შაიბა შვეიცარიამაც შეაგდო. ყოფილ თანამემამულეებს 37 წლის **პოლ დიპიეტრომ** გაუტანა, რომელიც თავის დროზე "მონრეალში" თამაშობდა და ცოტა ხნის წინათ მიიღო შვეიცარიის მოქალაქეობა.

მაგრამ ევროპელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ფინელმა არბიტრმა მოედნიდან ორი ევროპელი გააძევა და **რიკ ნეშმა ერიკ სტაალის** პასით გამოიყენა ორკაციანი უპირატესობა. ამ გოლის შემდეგ, თითქმის ცხადი გახდა, რომ ნახევარფინალში კანადის ნაკრები გავიდოდა.

■ ■ ■

გაცილებით დაძაბული გამოდგა მეორე მეოთხედფინალი, სადაც გამარჯვებულის ვინაობა ბულიტების სერიით გაირკვა.

ამ მატჩისთვის ამერიკას სტენლის თასის ერთ-ერთი ბომბარდირი - "ნიუ ჯერსის" ფორვარდი **ზაკ პარიზე** დაემატა, მაგრამ მან თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამას გარდა, ფინელებმა აშშ-ის კიდევ ერთი ლიდერის - **პოლ შჩასტნის** განეიტრალებაც შეძლეს.

სკანდინავებს მთელი მატჩის განმავლობაში ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ მათ ვერცერთხელ ვერ შეძლეს წინ ორი შაიბით გასვლა. ფინელების ყველა შედეგიან შეტევას, ამერიკა გოლით პასუხობდა და საბოლოოდ, შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა, სადაც, 10 წუთი ფრთხილი თამაში მიდიოდა და საქმე ბულიტების სერიამდე მივიდა.

ზედიზედ ცხრა ბულიტი უშედეგო იყო. მხოლოდ პარიზემ ააცილა კარს შაიბა, დანარჩენ შემთხვევაში, მეკარეები - **კარე ლეჰტონენი** და **ჯონ გრემი** ერთმანეთის მიყოლებით იგერიებდნენ პენალტებს. ბოლოს, შაიბასთან ფინელთა ყველა გამოცდილი წევრი, სტენლის თასის მფლობელი და 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონი - **იერე ლეჰტინენი** მივიდა, რომელმაც ერთადერთი ბულიტი გაიტანა და ფინეთი ნახევარფინალში გაიყვანა.

ᲙᲐᲜᲐᲓᲐ-ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ 5:1

1:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 ლომბარდი-5, 2:0 მაიერსი-4 (მერფი-5, ჩიმერა-5), 2:1 დიპიეტრო-3 (რაიპერტი-2, კამიშელი-1), 3:1 ნეში-3 (ფანოფი-5, ე. სტაალი-4), 4:1 ლომბარდი-6 (ფანოფი-6, დოუნი-3), 5:1 უებერი-1 (დოუნი-4, ე. სტაალი-5).

ᲐᲨᲨ-ᲤᲘᲜᲔᲗᲘ 4:4 ბ. 0:1

0:1, 3:3, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ტ. რუუტუ-3 (მ. კოივუ-2, კალიო-2), 1:1 პეტერსენი-2 (გრინი-2, ლაროზი-1), 1:2 სარავო-2 (სიოდერჰოლმი-1, ნ. კაპანენი-6), 2:2 არნასონი-1 (კესელი-4, ბოჩენსკი-3), 2:3 ვიუპკოლა-3 (პელტონენი-6), 3:3 სტემპნიაკი-6 (ბეკსი-2, ბალარდი-3), 3:4 კალიო-1 (ტ. რუუტუ-2, ნუმელინი-4), 4:4 ჰათჩინსონი-3 (არნასონი-3, კესელი-5).

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

12 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲤᲘᲜᲔᲗᲘ
ᲙᲐᲜᲐᲓᲐ-ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ (ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡᲘ)	
ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	13 (8+5)
ᲓᲐᲕᲘᲓᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	13 (6+7)
ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	12 (2+10)
ᲒᲐᲑᲝᲠᲘᲙᲘ (ᲡᲚᲝᲕᲐ�კ)	11 (5+6)
ᲛᲐᲠᲢᲔᲜᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	11 (4+7)
ᲡᲢᲔᲛᲞᲜᲘᲐᲙᲘ (ᲐᲨᲨ)	10 (6+4)
ᲖᲐᲠᲘᲞᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	10 (3+7)
ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ (ᲙᲐᲜ)	9 (6+3)
ᲓᲝᲣᲜᲘ (ᲙᲐᲜ)	9 (5+4)
ᲢᲐᲠᲜᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	9 (1+8)

ᲒᲝᲚᲘᲡᲛᲫᲘᲠᲔᲑᲘ	
ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	8
ᲓᲐᲕᲘᲓᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	6
ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ (ᲙᲐᲜ)	6
ᲡᲢᲔᲛᲞᲜᲘᲐᲙᲘ (ᲐᲨᲨ)	6
ᲐᲜᲢᲝᲜᲔᲜᲙᲝ (ᲑᲚᲠ)	5
ᲓᲝᲣᲜᲘ (ᲙᲐᲜ)	5
ᲒᲐᲑᲝᲠᲘᲙᲘ (ᲡᲚᲝᲕᲐ�კ)	5
ᲕᲝᲚᲤᲘ (ᲒᲔᲠ)	5

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ	
ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	10
Ი. ᲘᲝᲜᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	8
ᲢᲐᲠᲜᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	8
ᲓᲐᲕᲘᲓᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	7
ᲛᲐᲠᲢᲔᲜᲡᲝᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓ)	7
ᲨᲢᲐᲜᲘ (ᲡᲚᲝᲕᲐ�კ)	7
ᲖᲐᲠᲘᲞᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡ)	7



ლეჰტინენის გადამწყვეტი ბულიტი

ᲕᲔᲚᲝᲡᲠᲝᲠᲢᲘ

ᲯᲘᲠᲝ Დ'ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲬᲠᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

სარდინიაში პელოტონი იმ დროს გაივლის, როცა კუნძულზე **ჯუზეპე გარიბალდის** მე-200 დაბადების დღეს აღნიშნავენ. სარდინიაზევე, ველომრბოლებს პირველი აღმართი ელით. სარდინიიდან ჯიროს ქარავანი სალერნოში გადაინაცვლებს და მას პირველი დასვენება მატერიკზე გადასვლასთან დაკავშირებით ექნება.

რბოლის განახლებისთანავე, ველომრბოლებს პირველი სერიოზული წინააღმდეგობის გავლა ელით. მეოთხე ეტაპზე გასავლელი იქნება 17.1-კილომეტრიანი აღმართი (მონტეევერჯინე დი მერკოლიანო), რომელზეც ზოგიერთი მონაკვეთის დახრის მაჩვენებელი 10%-ზე მეტია. პირველი სამთო ფინიშიც (ხუთიდან) ამ ეტაპზე იქნება.

საიუბილეო ჯიროს მონაწილენი კიდევ ერთი იუბილეს აღნიშვნაში მიიღებენ მონაწილეობას – მერვე ეტაპს პელოტონი ლეგენდარული იტალიური საავტომობილო კომპანიის, "ფერარის" სატესტო ტრეკზე დაასრულებს, რის შემდეგაც, კომპანიის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას.

მე-12 ეტაპზე პელოტონი საფრანგეთს ეწვევა, რათა იქაურ ალპებში, ურთულესი აღმართი კოლ დ'იზოარი გაიაროს. მანამდე კი, სანამ საფრანგეთის საზღვარს გადაკვეთავენ, ველომრბოლები რბოლის უმაღლეს წერტილს (მთა ჩიმა კოპი) გაივლიან, რომლის პიკიც ზღვის დონიდან 2744 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. კოლ დ'იზოარზე 14.15-კილომეტრიანი აღმართია გასავლელი, შემდეგ კი გზა დაბლა, ბრიანსონში განლაგებული ფინიშისკენ ეშვება.

ველომრბოლებს ურთულეს გამოცდას უმზადებს მე-15 ეტაპი, რომელზეც გასავლელია მთა ტრე ჩიმე დი ლავერადო. ეს სამთო მონაკვეთი ბოლოს ჯიროზე 1989 წელს გამოიყენეს. მის დასკვნით ნაწილში, აღმართის დახრის მაჩვენებელი 18%-ს აღწევს. ამ მთამდე კი ორი ძალიან ძნელი გადასასვლელია. ერთის სიგრძე 11.6 კილომეტრია, მეორისა კი - 9.8 კილომეტრი. ეს გადასასვლელები ველომრბოლებს არაქათს გააცლის და შემდეგ, 7.15-კილომეტრიან ტრე ჩიმე დი ლავერადოზე გამოჩნდება, თუ ვის აქვს ყველაზე გამძლე ფეხები.

ამის შემდეგ, პელოტონი ცოტა ხნით ავსტრიაში შეივლის, რის შემდეგაც ორი გადამწყვეტი (მე-17 და მე-20) ეტაპი ექნება გასავლელი. როგორც ამბობენ, ამ ორიდან ველომრბოლები ყველაზე მეტად პირველს (მთა ზონკოლანი) უფრთხიან. ბოლოს ეს მთა ჯიროზე 2003 წელს გამოიყენეს. ის რბოლა **ჯილბერტო სიმონიმ** მოიგო, ვინც მოგვიანებით, ჯიროს ჩემპიონიც გახდა. ამ სამთო მონაკვეთის სიგრძე 10.1 კილომეტრია და მასზე 22, 20 და 18%-იანი მონაკვეთებია გასავლელი.

ზონკოლანის შემდეგ, ორი სპრინტერული ეტაპია, რომლებზეც ფავორიტები სულს მოითქვამენ და მეოცე ეტაპზე დროზე რბოლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ ეტაპის ფინიში ვერონაშია და ალბათ საბოლოოდ იქ გაირკვევა რბოლის ჩემპიონის ვინაობაც.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲯᲘᲠᲝ Დ'ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ

12 ᲛᲐᲘᲡᲘ: 1-ლი ეტაპი, კპარერადან მადალენამდე, გუნდური, 24 კმ
13 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-2 ეტაპი, ტემპიო პაუსანიადან ბოსამდე, 203 კმ
14 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-3 ეტაპი, ბარუმინიდან კალიარიმდე, 195 კმ
15 ᲛᲐᲘᲡᲘ: დასვენების დღე
16 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-4 ეტაპი, სალერნოდან დი მონტეევერჯინემდე, 158 კმ
17 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-5 ეტაპი, ტეანოდან ფრასკატიმდე, 172 კმ
18 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-6 ეტაპი, ტივოლიდან სოლეტომდე, 181 კმ
19 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-7 ეტაპი, სოლეტოდან სპარპერიამდე, 239 კმ
20 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-8 ეტაპი, მუგელოდან ფიორანომდე, 194 კმ
21 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-9 ეტაპი, რეჯიო ემილიადან ლიდო დი კამაიორემდე, 182 კმ
22 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-10 ეტაპი, კამაიორადან სანტუარიო დელა გვარდიამდე, 230 კმ
23 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-11 ეტაპი, სერავალედან პინეროლომდე, 192 კმ
24 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-12 ეტაპი, სკალეგედან ბრიანსონამდე (საფრანგეთი), 163 კმ
25 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-13 ეტაპი, ბიელადან სანკტუარიმდე, დროზე რბოლა, 13 კმ
26 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-14 ეტაპი, კანტუდან ბერგამომდე, 181 კმ
27 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-15 ეტაპი, ტრენტოდან ლავერადომდე, 191 კმ
28 ᲛᲐᲘᲡᲘ: დასვენების დღე
29 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-16 ეტაპი, აგორდოდან ლინცამდე (ავსტრია), 196 კმ
30 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-17 ეტაპი, ლინციდან ზონკოლანამდე, 146 კმ
31 ᲛᲐᲘᲡᲘ: მე-18 ეტაპი, უდინედან რიეზე პიო X-მდე, 182 კმ
1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ: მე-19 ეტაპი, ტრევიზოდან კომანო ტერმემდე, 178 კმ
2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ: მე-20 ეტაპი, ბარდოლინოდან ვერონამდე - დროზე რბოლა, 42 კმ
3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ: 21-ე ეტაპი, ვესტონეედან მილანამდე, 181 კმ

ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ: 3 442 კმ
ᲡᲠᲘᲜᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘ: 8
ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘ: 5
ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘ: 5 (4 ᲡᲐᲛᲗᲝ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ)
ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲜᲓ. ᲠᲑᲝᲚᲐ: 2 (1 ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲖᲔ)
ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ: 1
ᲓᲠᲝᲖᲔ ᲠᲑᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ: 105 კმ
ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ: 2
ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ: 30



როჯერ ფედერერი

ტურნირების მიმოხილვა

ციდან დაშვებული ფედერერი

როჯერ ფედერერი, პრაქტიკულად, უნაკლო მეჩოგნეა, სისუსტეები თითქმის არ აქვს. თითქმის იმიტომ, რომ თიხნარზე ისევე კარგად ვერ ირჯება, როგორც ბალახსა და ჰარდზე. მაგრამ შარშანდელ სეზონში თიხნარზეც შესანიშნავად ითამაშა და მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა სანუკვარი მიზნის მიღწევამდე - საფრანგეთის ღიას მოგებამდე. ეს ერთი ნაბიჯი მას **რაფაელ ნადალმა** არ გადაადგმევინა.

ამ სეზონში კი საქმე უფრო რთულადაა (ფედერერისთვის). მან წაგებებს მოუხშირა - რომის მასტერსს მესამე წრეში გამოეთიშა. მანამდეც რამდენიმე თამაში წააგო. ოღონდ, მისი დაცემა (ამდენი ხნის ბატონობის შემდეგ მოსალოდნელი) თიხნარის სეზონამდე ცოტა ადრე, მასტერსის სერიის ორ ამერიკულ ტურნირზე დაიწყო. ინდიან ველსსა და კი ბისკეინში ნაგემი მარცხი მაინც ბევრმა შემთხვევითობად შერაცხა. ახლა კი, უკვე სათიხნარო ტურნირებზე, კიდევ ორს გამოეთიშა ნაადრევად. ჰოდა, მთლიანობაში ზედიზედ ოთხ ტურნირს ვერ იგებს. ეს უკვე ტენდენციაა და ამას შვეიცარიელი მაესტრო ვერსად გაექცევა.

რომში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირის მესამე წრეში, ფედერერს მარცხი იტალიელმა **ფილიპო ვოლანდრიმ** აგება, ვინც ტურნირზე გამოსვლის უფლება უაილდ ქარდის წყალობით მოიპოვა. ფედერერის გარდა, მოწინავე განთესილთაგან ტურნირს ამერიკელი **ენდი როდიკიც** დაემშვიდობა, რომელსაც იოლად აჯობა არგენტინელმა **ხუან იგნასიო ჩელამ**. მაგრამ თუ როდიკის წაგება არც არვის გაჰკვირვებია, ფედერერისგან მაინც ყველა ელოდა, რომ შარშანდელივით შეძლებდა ფინალში გასვლას. შეგახსენებთ, რომ შარშან, რომის მასტერსის ფინალში, ფედერერმა და ნადალმა ეპიკური მატჩი ითამაშეს, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა და ესპანელმა მოიგო.

ახლა კი შვეიცარიელი თავის თავს არ ჰგავს - ვინ გაიხსენებს, რომ ერთ შეხვედრაში, რომელშიც მხოლოდ ორი გეიმი ითამაშა, ფედერერს 44 უნებლიე შეცდომა დაეშვას. ასეთი რამ ალბათ, მისი კარიერის დასაწყისში თუ იქნებოდა შესაძლებელი. ახლა კი... ძნელია იმის თქმა, თუ რისი ბრალია ეს, მაგრამ ფაქტია, რომ რაც მსოფლიოს პირველი ჩოგანია, როჯერმა ზედიზედ ოთხი ტურნირი ნაადრევად დატოვა. მოკლედ, ციდან მიწაზე დაეშვა. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დასასრულის დასაწყისს, მაგრამ ფაქტია, რომ შვეიცარიელი ძველებურად ვეღარ დომინირებს და ეს სეზონი მის კარიერაში საუკეთესო აშკარად ვერ გახდება.

"წაგება საწყენია, მაგრამ რას ვიზამ. თუ კორტზე გამოდიხარ, ხანდახან წაგებასაც უნდა შეეჩვიო. ბოლო სამი სეზონია, ეს გრძნობა მივიწყებული მქონდა, ახლა კი გამახსენდა. ვიმედოვნებ, ყოველივე შემდგომში მოტივაციის წყაროდ გამომადგება. რატომღაც, რიტმიდან ამოვარდნილი ვიყავი. არც მონოდება გამომდიოდა, ხშირადაც ვცდებოდი. მსგავსი რამ ადრეც მომდიოდა, მაგრამ მაინც ვახერხებდი გამოძრომას. მაგრამ ამჯერად ეს არ გამომივიდა, რადგან ვოლანდრიმ კარგად ითამაშა. ის ჩემთვის ადრეც უხერხული მეტოქე იყო", - განაცხადა ფედერერმა.

ვოლანდრიმ კი მეოთხედფინალური ბარიერიც გაიარა - ჩეხ **ტომას ბერდიჩს** მოუგო. მოკლედ, ტურნირის ორგანიზატორები არ შემცდარან, როცა მას უაილდ ქარდი ჩააბარეს. მოკლედ, ბოლო 29 წელიწადის განმავლობაში ვოლანდრი პირველი იტალიელი მეჩოგნეა, ვინც ტურნირის ნახევარფინალს მიაღწია. ვოლანდრიმდე ბოლოს ეს 1978 წელს **ადრიანო პანატამ** შეძლო, ვისაც ფინალისკენ გზა ლეგენდარულმა შვედმა **ბიორნ ბორგმა** გადაუღობა.

ნადალმა კი იოლად მოუგო მისთვის უხერხულ მეტოქეს, რუს **მიხაილ იუჟნის,** რის შემდეგაც კიდევ ერთხელ გაესინჯა ექიმებს. ესპანელი კვლავ შეუძლოდაა, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებს წინსვლას. თიხნარზე მის მიერ ზედიზედ მოგებული შეხვედრების რაოდენობა კი 74-ს გაუტოლდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

INTERNAZIONALI BNL D'ITALIA
რომი (იტალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

1/8 ფინალი

ფილიპო ვოლანდრი (იტა)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 6:2, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 15) 6:2, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ენდი როდიკი (აშშ, 3) 6:0, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 4:6, 6:2, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 5)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:2, 7:5; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 6)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:7 (4), 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 7)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:2, 6:2; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 12)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:1, 6:2.

1/4 ფინალი

ფილიპო ვოლანდრი (იტა)- ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 12) 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**- ტომი რობრედო (ესპ, 7) 1:6, 6:3, 6:3

WTA

გერმანიის ღია
ბერლინი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

1/8 ფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 6:2; **პატი შნიდერი (შვეიც, 15)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 4) 6:4, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:1, 6:7(3), 2:3 პენგის უარი; **ნადია პეტროვა (რუს, 7)**-ელენა დემენტიევა (რუს, 10) 6:3, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 8)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 3:6, 6:3, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 5:0 ბონდარენკოს უარი.

პრაღის ღია

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

II რაგ

ვიქტორია აზარენკა (ბელრ)-ნატალი დეში (საფ, 5) 7:6 (3), 6:1; აკიკო მორიგამი (იაპ, 6)-მეგან შონესი (აშშ) 6:1, 6:3; **კამილ პინი (საფ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:4, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:1, 6:3.

12 მაისი. შაბათი

იმედი

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

HTB-პლუსი (უცხოური)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბლეკბერნი.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:40 ტოქ-შოუ - 2:1.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე (LIVE).
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 გერმანიის ჩემპიონატი. ალემანია-ვოლფსბურგი.
21:25 საფეხბურთო კლუბი.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:59 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-სოლტ ლეიკ სიტი.
08:50 სპორტინფორმი.
09:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სან პაულუ (ბრაზილია).
10:45 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
11:02 სპორტინფორმი.
11:14 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. დოჰა. კატარი.
14:16 სპორტის სამყარო.
14:44 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:13 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. დეტროიტი-ანაპაიმი. I მატჩი.
17:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:28 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე (LIVE).
19:28 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
21:01 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეკრეატივო (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სან პაულუ (ბრაზილია).
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ბაფალო-ოტავა. II მატჩი (LIVE).
06:38 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-სოლტ ლეიკ სიტი.

EUROSPORT

10:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
11:00 მულტისპორტი.
11:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მანამა. ბაჰრეინი.
12:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. 1/2 ფინალი. ბელგია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
16:45 ჩოგბურთი.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. I ეტაპი (LIVE).
19:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
19:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. მანამა. ბაჰრეინი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
23:00 კრივი. ზემძიმე წონა. ე. ჰოლიფილდი (აშშ)-ვ. მედელოუნი (აშშ). აშშ.
00:45 რესტლინგი.
02:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
13:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
13:30 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. II მატჩი. ნიდეროსტერაიზი (ავსტრია)-ლადა (რუსეთი) (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
15:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია.
16:15 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ლიგა. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
17:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მანამა. ბაჰრეინი.
18:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
19:15 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
20:00 არმრესტლინგი.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
21:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონცა. იტალია.
22:15 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი.
23:15 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
00:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-როჩესტერი (LIVE).
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
02:30 ახალი ამბები.

13 მაისი. კვირა

I არხი

21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი (LIVE).

რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

მზე

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი (LIVE).

HTB-პლუსი (უცხოური)

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შტუტგარტი.
11:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველეს სარსფილდი.
13:45 რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-სატურნი (LIVE).
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. აიაქსი-ჰერენვეენი. საპასუხო მატჩი (LIVE).
18:25 იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-კიევი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. შეფილდი-ვიგანი.
22:20 ტოქ-შოუ - 2:1.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-რივერ პლეიტი (LIVE).
01:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.

SPORT 1 (უკრაინა)

08:28 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შტუტგარტი.
10:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
12:32 სპორტის სახეები.
13:01 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
14:51 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ბაფალო-ოტავა. II მატჩი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-კიევი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სტატფე-ატლეტიკო (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სარაგოსა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
02:47 აფროსნობა. ამერიკის თასი.
03:31 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. დეტროიტი-ანაპაიმი. II მატჩი (LIVE).
06:06 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-კიევი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
12:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი (LIVE).
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. მონცა. იტალია (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონცა. იტალია (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
17:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. II ეტაპი (LIVE).
19:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
19:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ფინალი. ბელგია (LIVE).
21:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. მონცა. იტალია.
23:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:30 კრივი. ს. პალომო (ესპანეთი)-ფ. ნოალესი (ესპანეთი). ბარსელონა. ესპანეთი.
01:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ფინალი. ბელგია.
02:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონცა. იტალია (LIVE).
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონცა. იტალია.
13:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. მანამა. ბაჰრეინი.
13:45 ახალი ამბები.
14:15 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ტოიტჩენტალი. გერმანია (LIVE).
16:00 ახალი ამბები.
16:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი (LIVE).
16:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-როჩესტერი.
17:45 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. I მატჩი. ლადა (რუსეთი)-სლაგელსე (დანია) (LIVE).
19:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. მონცა. იტალია.
20:15 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ტოიტჩენტალი. გერმანია.
21:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-როჩესტერი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ფინალი. ბელგია.
02:30 ახალი ამბები.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
03:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა

ეფოვილი-ნოტინგემი	0:2

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

კილი-ალენი	2:1
ულმენი-ვუპერტალი	0:3

რეგიონალლიგა (სამ)

შტ. კიკერსი-ვიუნსენი A	1:0
დარმშტადტი-კაიზერი A	4:0
ზინგენი-ელვერსბერგი	2:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

ამიენი-შატრუ	3:1
ბასტია-სტრასბური	1:2
ბრესტი-გენიონი	2:1
ლიონი-აიაჩო	2:2
გინგამპ-ბუარ	3:1
ლიბერნი-ისტრი	1:2
ვე

მსურველებს შეუძლიათ, გადაიხადონ

ბავშვთა სპორტი დღევანდელ საქართველოში

გიორგი ჩოჩიშვილი

საქართველო ევროსაბჭოს წევრია, სადაც, თურმე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სპორტს, "როგორც სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობს (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებს შორის) და ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს".

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონაწერს ევროპის სპორტის ქარტიიდან:

"ხელისუფლებამ სპორტის მიზნით, უნდა განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები ამ ქარტიის დებულებების ხორცშესხმისთვის სპორტული ეთიკის კოდექსის პრინციპის საფუძველზე, იმისთვის, რომ:

1. ყოველ პიროვნებას მიეცეს საშუალება სპორტში ჩაბმისთვის და კერძოდ:

ა. უზრუნველყოს ახალგაზრდობა ფიზიკური განათლების მიღებითა და ძირითადი სპორტული ოსტატობის მიღწევის შესაძლებლობით;

ბ. შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოს ყველა პიროვნება სპორტში ჩაბმისა და უსაფრთხო, ჯანსაღ გარემოში ასპარეზობის შესაძლებლობებით"...

ამ დებულების წაკითხვის შემდეგ ადამიანს შეექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო, მართალია, ევროსაბჭოში გაწევრიანდა, მაგრამ მთლიანად არა. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე ქალაქ თბილისის მერია ამ პატივსაცემი ევროპული ორგანიზაციის მიღმა დაგვრჩნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის მაგალითს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ქარტიის დებულების სრული უგულებელყოფა, რომელიც ყველაზე ნათლად გამოიხატა ორ გადაწყვეტილებაში:

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბევრგან გაუქმდა ფიზიკური აღზრდის აკადემიური საათები და უმუშევრები დარჩნენ სპეციალისტები;

2. თბილისის მერიამ დაფინანსება შეუწყვიტა დედაქალაქის სპორტულ სკოლებს და მათ თვითდაფინანსებაზე გადასვლა უბრძანა.

ამასთან, თვითდაფინანსებაზე გადასვლა მოხდა იმ პირობებში, რომ წინასწარ არ მომზადდა არავითარი ალტერნატიული გეგმა, განათლების სამინისტრომ კი თითქოს "სექციურ მუშაობაზე" აიღო გეზი.

თუ როგორ "გაცხოველდა" სექციური მუშაობა, ნებისმიერ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში შეგიძლიათ საკუთარი თვალით ნახოთ - პირდაპირ "იდეალური" სინყნარეა ამ მხრივ - არავინ არავის არაფერს ავალდებულებს. ამ ქვეყანაზე გაუქმებაზე იოლი არაფერია. ახლის - მით უფრო, უკეთესის - შექმნას კი შესაბამისი გონივრული გეგმა და, რაც მთავარია, სურვილი სჭირდება... სამინისტრომ პილატესავით დაიბანა ხელები და განზე გადგა.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მეორე თემაზე - თბილისის სპორტული სკოლებისთვის მინიჭებულ "უდიდეს თავისუფლებაზე", რომელმაც ნამდვილი შოკი გამოიწვია სპორტულ სკოლებში, და, საერთოდ, სპორტულ წრეებში. ეს საზოგადოება, მართალია, გარეგნულად ჩვეული ინერტულობით, მაგრამ დიდი შეშფოთებით შეხვდა ამ დედაქალაქურ სიურპრიზს. მათი კომენტარებიდან ერთი საერთო დასკვნის გამოტანა შეიძლება: უდაბნოში რომ ნორჩი ნერგი ჩარგო და უთხრა - მე წყალს ვერ მოგაწვდი, თავს მიხედეო.

საინტერესოა, ვინ ჩაგონა დედაქალაქის "მამებს", რომ თვითდაფინანსება საუკეთესო გამოსავალია იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ბავშვთა და მოზარდთა სპორტს ეხება? სპეციალისტები, რომლებსაც ამ სფეროში უხდებათ მუშაობა, პირიქით - მის ნაადრევ სიკვდილზე ლაპარაკობენ. ვისაც შევეკითხეთ - მიყოლებით, ყოველგვარი შერჩევის გარეშე - აბსოლუტურად ყველა (ვინც კი კომენტარი გაბედა), დაბეჯითებით ერსა და იმავეს ამტკიცებს: სპორტში, ორიოდე სახეობის გარდა, ძირითადად ღარიბი მშობლების შვილები მოდიან. მათ არათუ ვარჯიშის საფასური, საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ფულიც კი ძალიან უჭირთ. ამიტომ ქალაქის მერიის გადაწყვეტილების შემდეგ, ანუ 2007 წლის იანვრიდან სპორტში მომეცადინე მოსწავლეთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და კიდევ უფრო შემცირდება.

არადა, საქართველოში ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო სპორტში ჩაბმული მოზარდების რაოდენობის მიხედვით (მოსახლეობის საერთო რიცხვის ფონზე). ამის შესახებ შესაბამისი მონაცემები აქვთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტში.

მოკლედ, თბილისის მერიის გადაწყვეტილება არავითარ სოციალურ კვლევას არ ეფუძნებოდა. რომელ ევროპულ ქარტიაზეა საუბარი - ასეთ პირობებში ვინ უნდა "უზრუნველყოს ახალგაზრდობა ფიზიკური განათლების მიღებითა და ძირითადი სპორტული ოსტატობის მიღწევის შესაძლებლობით"?!

დღევანდელი ვითარების დროს, როცა ქვეყანაში არ არსებობს ხელმოკლე ოჯახების (მათ რიცხვს კი, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიეკუთვნება) დახმარების ფართო პროგრამა, სოციალური უთანასწორობა ისეთ უალტერნატივო სფეროშიც კი გახდა საგრძნობი, რასაც მოზარდების ფიზიკური აღზრდა და სპორტი ჰქვია. სპორტი სელექციურ საფუძველს - ნიჭიერთა შერჩევას ეყრდნობა, დღეს კი საამისოდ ერთადერთი კრიტერიუმიღა რჩება - მშობლის ჯიბე. დღეს ფული, ანუ მისი უქონლობა, მრავალი ბავშვისთვის გადაულახავი ბარიერი გახდა სპორტისკენ მიმავალ გზაზე.

თვით თბილისის მერიის ხელმძღვანელობაც კი მიხვდა თავისი გადაწყვეტილების სიმძიმეს და ძალიან მალე ტრადიციულ მაშველ რგოლს - აფიშირებულ აქციას "ჩაებღაუჭა", რომელსაც კომუნისტების დროს "მხიარული სტარტები" ერქვა. ესაა სასკოლო შეჯიბრები. არაფერი მაქვს მისი სანინააღმდეგო იმის მიუხედავად, რომ იგი კარგი "მასალაა" პიარისთვის, ტელევიზორშიც თავს მოინონებ. მაგრამ რა ეშველება მთავარს - რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ, რეგულარულად ივარჯიშონ სპორტის სასურველ სახეობაში? რამდენი მოსწავლე უნდა მოიცვას ამ აქციებმა, მით უმეტეს, რომ მის შედეგებზე რაც გინდა იმას ილაპარაკებ, მომკითხავი არავინაა.

აქსიომაა, ერთგვარი აიწონა-დაიწონას კანონი - რამდენ ბავშვსაც მიიზიდავ სპორტში, იმდენივე, ან თითქმის იმდენივე აკლდება ქუჩას. დააყენეთ სკოლებში თუნდაც ათასი ელექტრონული თვალი - ამას ვერაფერი შეცვლის. მოკლედ, რაც ხელთ ჰქონდათ, ანუ თურაშაული, ის უკუაგდეს და ტყეში ეძებენ პანტას. და ეს იმ დროს, როცა მოზარდთა შორის დანაშაულობათა რიცხვი და მათი ხასიათი დღეს მართლაც შემზარავია. ნარკომანია ხომ მთლად საყმაწვილო სენი გახდა საქართველოში.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე სპეციალისტის კომენტარი თბილისის მერიის მართლაც გამაოგნებელი სიახლის შესახებ.

თემურ ყაზარაშვილი, საქართველოს ჭიდაობის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი: "ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა?! სპორტსმენებს ფული გამოართვით და ხელფასები იქიდან მიიღეთო. აქ, ჭიდაობაზე, ძირითადად ღარიბი ხალხის შვილები მოდიან, ხშირად გზის ფულიც არ აქვთ... ეს იქნება ძალიან მძიმე დარტყმა ანტიეური ჭიდაობისთვის, უმძიმეს პირობებში აღმოვჩნდებით.

ჩვენ წინასწარ არავინ შეგვეკითხა. არც კი ვიცი, რომელი ქვეყნის მოდელი აიღეს. თუ გერმანიისა, იქ მომზადების 90 პროცენტს სახელმწიფო უზრუნველყოფს, მით უმეტეს საწყის ეტაპზე. რაღაც ფორმა მაინც მონახონ, რომ თუნდაც მარტო მწვრთნელებს მისცენ ხელფასი. ამ სიახლით ჩვენ ბავშვებს ქუჩაში ვყრით. ბოლოს და ბოლოს, ვარჯიშის დანიშნულება ხომ ისაცაა, რომ ისინი ქუჩას ჩამოვაცილოთ"...

რამაზ გურგენიძე, საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: "ეს გადაწყვეტილება უსამართლოა, ამით სპორტის ხვალინდელ დღეს კლავენ. ძალოსნობაში, როგორც წესი, ღარიბი ფენის წარმომადგენელთა შვილები მოდიან, რომლებსაც არავითარი სახსარი არ გააჩნიათ, რომ ვარჯიშში ფული გადაიხადონ. ან რა დიდი თანხაა საჭირო, რომ ორიოდე მწვრთნელს ხელფასი გადაუხადონ?.. ისინი იანვრიდან ჯამაგირის გარეშე დარჩნენ. ისედაც რას იღებდნენ და დღეს რაღა აქვთ... ვარჯიშები, ჯერჯერობით, გრძელდება, მაგრამ სადამდე?.. ვარჯიშის კი არა, ბევრი ბავშვი და ხშირად მწვრთნელებიც ფეხით მოდიან დარბაზში, გზის ფულიც კი არ აქვთ.

ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. ეს წინადადება უშუალოდ სპორტის მესვეურებისგან რომ არ მომდინარეობს, ფაქტია"...

გურამ ფარულავა, ძალოსნობის ღვაწლმოსილი სპეციალისტი: "50-მდე ძალოსანს ვამზადებ. ჩემი განყოფილება გივი კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრს ეკუთვნის, მაგრამ აქ, გიორგი ასანიძის სახელობის დარბაზში ვავარჯიშებ ყველას. ეს დარბაზი კერძო საკუთრებაა, ამიტომ ვარჯიშისთვის ფულს არ გვახდევინებენ - არც შუქის, არც არენდის. ასანიძემ ისიც აკრძალა, რომ ბავშვებს ფული გამოვართვათ, ამიტომ ჩვენთან, ძალოსნობაში მოვარჯიშეთა იგივე კონტინგენტი დარჩა.

სკოლაში კი გვთხოვენ, მოვარჯიშეებისგან თქვენი შეხედულებით აკრიფეთ ფული - რამდენიც შეგიძლიათო, მაგრამ როგორ? ვართ ახლა უხელფასოდ, ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში. როდემდე გავძლებთ, არ ვიცი"... (ქალაქ თბილისში, ძალოსნობაში, ნაკრების წევრების გარდა, ერთადერთი მხოლოდ ბატონ გურამ ფარულავას ჯგუფია - მეტი არავინ, - გ. ჩ.).

ვლადიმერ გოიაშვილი, ს/ს სპორტკომპლექს "ლაგუნა ვერეს" გენერალური დირექტორი: "ეს ახალი სისტემა იმ ქვეყნებისთვისაა, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტია საშუალო ფენა. ჩვენთან ხომ პირიქითაა. რამდენადაც ვიცი, არავის შეეკითხნენ, აიღეს და გადაწყვიტეს...

თუ მერიამ ქალაქის სპორტსკოლები არ დააფინანსა, ვის მოვთხოვოთ შედეგები? იმ რაიონებს, საიდანაც თბილისში ნიჭიერი მოზარდები ჩამოჰყავთ?..

50 წელიწადია სპორტში ვარ. დღეს შეგვიძლია ძველ დროს ვუძახოთ საზიზღარი და კომუნისტური, მაგრამ შეიძლება, რომ ის, რასაც ფიზიკური აღზრდა ჰქვია, საერთოდ ამოშალო სასკოლო ლექსიკიდან? თავის დროზე გიორგი მერკვილაძის თაოსნობით ჩამოყალიბდა და შემდეგ დაღვინდა მთელი სისტემა: ფიზკულტურის გაკვეთილები, კლასგარეშე სწავლება, პირველად ჩვენთან გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული და სპორტული სკოლა-ინტერნატი... სხვა რესპუბლიკებიდან და ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ, რათა ჩვენი მეთოდები ენახათ. მართლაც შესანიშნავი სისტემა იყო, მათ შორის იმისთვის, რომ ხელმოკლე ხალხის შვილებს ვარჯიშის საშუალება ჰქონოდათ. იმ გაჭირვების დროს ცარიელ დარბაზს ვერ ნახავდი, ძალიან ბევრი ბავშვი მოდიოდა. რის ფული, რა ფული! ოღონდ მოზარდი ქუჩაში არ ყოფილიყო და ევარჯიშა.

დღეს კი ცნება - ფიზიკური კულტურა და სპორტი განათლების სისტემიდან თითქმის ამოღებულია, კლასგარეშე მეცადინეობა ხომ გამორიცხულია. ადრე მივაღწიეთ იმას, რომ ნიშანი ფიზკულტურაში ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. ახლა? - ნახეთ სკოლებში, ბავშვები გიჟებივით დარბიან დერეფნებში, ერთმანეთს ხელს კრავენ... ბავშვი მუდამ მოძრაობაშია, ეს ბუნების კანონია. ადრე ამ ენერგიის ნაწილი ფიზკულტურის გაკვეთილებზე იხარჯებოდა, იყო დიდი შესვენებებიც სპეციალურად მოძრავი თამაშებისთვის... ადრე მქონდა ზუსტი მონაცემები, რომ სკოლის მოსწავლეების 60 პროცენტს სქოლიოზის ნიშნები აღმოაჩნდა. ახლა ასეთ დიდ გამოკვლევას აღარ ატარებენ, მაგრამ დაინტერესებულმა ხალხმა 2-3 სკოლა შეისწავლა და დაადგინა, რომ ამ სენის ნიშნები უკვე მოსწავლეთა 80 პროცენტს აქვს. წარმოიდგინეთ?..

თითქოს რომ უნდათ გადაიღონ გერმანიის, ამერიკის, ინგლისის მოდელები, რაღაც დონეს ხომ უნდა მივუახლოვდეთ?.. ადრე თბილისში რამდენიმე აფთიაქი იყო, ახლა კი 150-მდეა და ყველა მუშაობს. ეტყობა, ამ გაჭირვებაშიც ჰყავთ კლიენტები. გაიზარდა ავადმყოფობა, ნარკომანია, პროსტიტუცია...

ჩვენ თავზეც გეტყვით - რამდენი წერილი მოდის თავდაცვის სამინისტროდან, პოლიციიდან, სხვადასხვა დეპარტამენტებიდან - გამოიჩინეთ გულისხმიერება და დაგვეხმარეთ უფასოდ ცურვის შესწავლაშიო (კიდევ საბაზრო ეკონომიკას ეძახიან). შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, რა თქმა უნდა, მაგრამ წარმოგიდგენიათ, სადესანტო რაზმი მივიღეთ და მათგან ნახევარმა ცურვა არ იცოდა!? ეს ხომ ცხოვრების ერთი აუცილებელი ჯაჭვია: სკოლა - უმაღლესი სასწავლებელი ან ჯარი. ყველაფერი გაანადგურეს...

უკვე მერვე წელიწადია, ამ აუზის წართმევა უნდათ. ვიცი, ვინც არიან. მათ ამ ნაგებობის არა სპორტული, არამედ სხვა მიზნით გამოყენება სურთ. საერთოდ, როგორ შეიძლება სპორტული ობიექტების გაყიდვა? ან ის, რომ ჩვენ - საცურაო აუზსა და, ვთქვათ, ლუდის ქარხანას თანაბარი გადასახადი გვქონდეს წყალზე?..

საბჭოთა კავშირი კარგა ხანია დაიშალა. ახალი რეალობის წინაშე დავდექით. 5 წელინადი წერეს სპორტის ახალი კანონის პროექტი და მაინც საშინელება დაწერეს. ახლა ამბობენ, უნდა შეიქმნას სპორტული კლუბებიო. კანონში ხომ უნდა აისახოს, ახლანდელ პირობებში როგორ უნდა შეიქმნას კლუბები?.. ბიზნესმენებს დაინტერესება ხომ უნდა ჰქონდეთ, რომ ინვესტიციები სპორტშიც ჩადონ. როცა საქართველოში პირველი კომერციული ფირმები შეიქმნა, მაშინ ბიზნესმენები უფრო მეტ თანხებს აბანდებდნენ სპორტში"...

კალათბურთის ღვაწლმოსილი მწვრთნელი, რომელსაც მრავალი ცნობილი მოთამაშე აღუზრდია (მან ვინაობის დასახელება არ ისურვა): "მუშაობამ აზრი დაკარგა. ეს იყო ძალიან მოუფიქრებელი გადაწყვეტილება. ასეთ სერიოზულ საკითხს წინასწარ ყველაფრის გათვლა და მომზადება სჭირდება.

მე წამოვედი სამსახურიდან, სადაც 30 წელიწადი ვიმუშავე. მართალია, საპენსიო ასაკში ვარ, მაგრამ სხვა რამის გამო წამოვედი: ხელფასები აღარ არის, ბავშვებს კი ვერ გავძარცვავ, ასე მუშაობა არ შემიძლია. მართალია, მწვრთნელებს აქამდეც ცუდი ყოფა ჰქონდათ და ზოგიერთი, რა დასამალია, ფულსაც იღებდა იმ მშობლებისგან, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, მაგრამ იმის "ფუფუნება" მაინც იყო, რომ ნიჭიერი ბავშვები უფასოდ მოგვემზადებინა. ჩვენ ძირითადად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებთან გვიწევდა მუშაობა. ახლა მეგობრის ან ახლობლის ბავშვს ფულს როგორ გამოვართმევ, მით უმეტეს, თუ ნიჭიერია... საქართველოში, თბილისში ვცხოვრობთ, ბოლოს და ბოლოს.

ეს ყველაფერი სხვაგვარად უნდა გაკეთებულიყო. საერთოდ, ყველაფერი ბიზნესმა უნდა დაარეგულაროს, ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ბავშვთა სპორტშიც"...

გაგრძელება იქნება

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურაძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაკიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარ რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი
(დილოი, ს.ბ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა